საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№16 (534)
6 - 12 მაისი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

11



რუსეთის მთავრობა ქართველ ვეტერანებს მიმდინარე წელსაც გაუწევს ერთჯერად ფულად დახმარებას. თითოეულ პიროვნებაზე 200 ლარია გამოყოფილი

## 9 მაისი
## დიადი გამარჯვების დღე




გვახსოვდეს და ვიამაყოთ ჩვენი ისტორიით!

4-5

## ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან



## მსოფლიო საკონცენტრაციო ბანაკამდე

აღიარება იმისა, რომ რუსეთის გარდა სხვა ალტერნატივა არ გვაქვს და შეიძლება შიმშილით დავიხოცოთ, დასავლეთის ღალატია?! 8



იცით თუ არა, ბატონებო, რომ სწორედ ის ცხრა პროდუქტი გაძვირდა, რომლებზეც ხელისუფლებამ ფასების შენარჩუნების პირობა დადო? 9





ნიკოლოზ მჟავანაძე:
ამ მავნე ეკონომიკური პოლიტიკის ავტორები დღეს გამოდიან და აცხადებენ, რომ თურმე ჩვენ იდეალური ეკონომიკური გარემო გვაქვს, მათ შორის საშუალო ფენის განვითარებისთვის 10

დიუციფონი – 16
პრინციპულად განსხვავებული მოქმედების საბჭოთა პრეპარატი ვირუსების წინააღმდეგ





«აი თქვენ კეთილი ექიმი აიბოლიტი — ბილ გეიტსი!» ანუ მსოფლიო პანდემიის ტროას ცხენი

24



რა აკავშირებს ტეხასისა და უჰანის ლაბორატორიებს ერთმანეთთან 24



აშშ-ში ფართომასშტაბიანი გამოძიება დაიწყო

# 9 მაისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს მოსახლეობამაც. ომის დაწყებისას წითელი არმიის რიგებში მსახურობდა 130 ათასი ჩვენი თანამემამულე. მათ მიიღეს მტრის პირველი დარტყმები. სულ კი საქართველოდან დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა 700 ათასი ადამიანი, მათგან 300 ათასი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. აღსანიშნავია, რომ ამ რაოდენობის მსხვერპლი არ გაუღია არც ერთ მეომარ ქვეყანას (პროცენტული შეფარდებით), რომელთა ტერიტორიაზეც უშუალოდ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები.**




# გამარჯვების დღე

## დღესასწაული, რომელიც თაობებს აერთიანებს

75

## გვახსოვდეს და ვიამაყოთ ჩვენი ისტორიით!

**75 წლის წინათ, 1945 წლის 9 მაისს, დასრულდა დიდი სამამულო ომი, დასრულდა საბჭოთა კავშირის გამარჯვებით. ამ ომმა შეცვალა მსოფლიო ისტორიის მსვლელობა, ადამიანების ბედი და მსოფლიო რუკა. საბჭოთა კავშირის ხალხებს უპირისპირდებოდა მძლავრი, კარგად ორგანიზებული და კბილებამდე შეიარაღებული მტერი — ნაცისტური გერმანია და მისი მოკავშირეები. საბჭოთა კავშირის ხალხებმა თავგანწირვით იბრძოლეს და გაიმარჯვეს.**

1945 წლის 8 მაისს ბერლინის გარეუბან კარლსჰორსტში ხელი მოეწერა ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ამ აქტს ხელი მოაწერეს ვერმახტის მთავარსარდლობის შტაბის უფროსმა, ფელდმარშალმა **გუსტავ კეიტელმა,** გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების ადმირალმა **ჰანს გეორგ ფრიდებერგმა** და ლუფტვაფეს გენშტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა **ჰანს იურგან შტუმფმა.** კაპიტულაცია ჩაიბარეს საბჭოთა კავშირის მარშალმა **გიორგი ჟუკოვმა** და დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების მარშალმა **არტურ უილიამ ტედერმა.** კაპიტულაციის გაფორმებას ესწრებოდნენ და ასევე ხელმოწერით დაადასტურეს ეს აქტი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის პირველმა უფროსმა გენერალმა **კარლ ენდრიუ სპაატსმა** და საფრანგეთის მარშალმა **ჟან მარი ლატრ დე ტასინიმ.** ამ ისტორიული დოკუმენტით დასრულებულად გამოცხადდა სამხედრო კონფლიქტი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, რაც, აგრეთვე, ნიშნავდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას ევროპის კონტინენტზე.

მეორე მსოფლიო ომი (1939-1945 წწ.) კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ომია, რომელიც გააჩაღა ფაშისტურმა **გერმანიამ** ასევე ფაშისტურ **იტალიასა** და მილიტარისტულ **იაპონიასთან** ერთად და რომელშიც ჩართული იყო 62 სახელმწიფო (დაახლოებით 1,7 მლრდ ადამიანი) იმხანად არსებული 73-დან. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ევროპის, აზიისა და აფრიკის ტერიტორიებზე და ყველა ოკეანეში. ეს არის ერთადერთი ომი, რომელშიც გამოიყენეს ატომური იარაღი.

**დიდი სამამულო ომი კი დაიწყო 1941 წლის 22 ივნისს, როცა გერმანიას უკვე დაპყრობილი ჰქონდა ევროპის 11 ქვეყანა და სამხედრო ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა.**

1941 წლის ივნისის შუა რიცხვებში გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა (იტალია, უნგრეთი, რუმინეთი, ფინეთი) საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებთან თავი მოუყარეს უზარმაზარ სამხედრო ძალას — 190 დივიზიას (5 მლნ-მდე კაცი), 3700-მდე ტანკს, 4250 თვითმფრინავს, 47 460 ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს, 193 სამხედრო ხომალდს. გერმანელ სამხედროებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ, სულ რაღაც, 3-4 თვეში საბჭოთა კავშირს დაამარცხებდნენ.

1941 წლის 22 ივნისს, 3 საათსა და 45 წუთზე, გერმანელმა ფაშისტებმა დაიწყეს შეტევა საბჭოთა კავშირზე. მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობებისა, მტერმა პირველი სამი კვირის განმავლობაში ქვეყნის ევროპული ნაწილის მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიპყრო.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტისა და სახალხო კომისრების საბჭოს თავმჯდომარე **სტალინმა** 1941 წლის 3 ივლისს ქვეყნის მოსახლეობას რადიოთი მიმართა. ეს მიმართვა იქცა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამად, როგორც ფრონტის წინა ხაზზე, ისე ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ძალიან მოკლე ხანში, ომის უმძიმეს პირველ თვეებში ქვეყანამ შეძლო სახალხო მეურნეობის გადაწყობა ომის ყაიდაზე. სამხედრო პროდუქციის საწარმოებლად საჭირო მანქანა-დანადგარები გადაზიდეს საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ ნაწილში — ურალში, სადაც, თავდაპირველად, სანამ ქარხნებს ააგებდნენ, საველე პირობებში უშვებდნენ პროდუქციას.

**დიდ სამამულ ომში, რომელიც 1418 დღეს გაგრძელდა, საბჭოთა კავშირმა 26 მლნ-ზე მეტი ადამიანი დაკარგა დაღუპულების, ტყვედ ჩავარდნილების, დაავადებებით გარდაცვლილებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახით, მათ შორის 12 მლნ სამხედრო მოსამსახურე (სულ მსოფლიო ომმა 71,1 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა), ფინანსურ-ეკონომიკურმა დანაკარგმა კი 610 მლრდ დოლარი შეადგინა.**

კავკასიისა და სტალინგრადის დასაცავად გამართული გმირული ბრძოლების, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისა და გერმანელი ფაშისტების კურსკის რკალზე განადგურების შემდეგ ომში უპირატესობა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებმაც ჯერ ქვეყნის საზღვრები აღადგინეს, შემდეგ გაათავისუფლეს პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია. 1945 წლის 1 მაისს, დაახლოებით 3 საათზე, საბჭოთა არმიის მეომრებმა — **მიხეილ ეგოროვმა** და **მელიტონ ქანთარიამ** რაიხსტაგის თავზე წითელი დროშა ააფრიალეს. ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს ჯერ 7 მაისს მოეწერა ხელი რეიმსში (საფრანგეთი), შემდეგ კი, როდესაც სტალინს არ მოეწონა არც ხელმომწერთა რანგი და არც ხელმოწერის ადგილი — 8 მაისს ბერლინის გარეუბან კარლჰორსტში. გერმანიის **კაპიტულაცია ძალაში შევიდა 8 მაისს, 23 საათსა და 1 წუთზე, ცენტრალური ევროპის დროით, როცა საბჭოთა კავშირში (მოსკოვში) უკვე 1-ელი საათი და 1 წუთი იყო. შესაბამისად, სსრკ-ში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე 9 მაისს აღინიშნება, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში — 8 მაისს.**



* გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს მოსახლეობამაც. ომის დაწყებისას წითელი არმიის რიგებში მსახურობდა 130 ათასი ჩვენი თანამემამულე. მათ მიიღეს მტრის პირველი დარტყმები. სულ კი საქართველოდან დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა 700 ათასი ადამიანი, მათგან 300 ათასი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. აღსანიშნავია, რომ ამ რაოდენობის მსხვერპლი არ გაუღია არც ერთ მეომარ ქვეყანას (პროცენტული შეფარდებით), რომელთა ტერიტორიაზეც უშუალოდ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები.



*** ქართველი მეომრები გმირულად იბრძოდნენ კავკასიის მისადგომებთან, რუსეთის ევროპულ ნაწილში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, მონაწილეობდნენ ბერლინის შტურმში.**

* არანაკლებ გმირული თავდადება გამოიჩინა ზურგში დარჩენილმა მოსახლეობამაც. 1941 წლის სექტემბრიდან საქართველოს 46 რაიონის მოსახლეობა აქტიურად შეუდგა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობას დასავლეთ საქართველოში და 1942 წელს დაასრულა.

*** დიდი სამუშაოები ჩაატარეს საქართველოს მშრომელებმა დარიალის ხეობისა და კავკასიის უღელტეხილების გასამაგრებლად. უკვე 1941 წელს საქართველოს ქარხნები აწარმოებდნენ ავტომატებს, შაშხანებს, ნაღმსატყორცნებს, ქვემეხის ჭურვებს, არემონტებდნენ ტანკებს, თვითმფრინავებს; კვების მრეწველობამ წითელ არმიას მიაწოდა მილიონობით მანეთის პროდუქცია. საქართველო იყო ჯავშანფოლადის საწარმოებლად საჭირო ვოლფრამისა და მოლიბდენის ერთადერთი მიმწოდებელი.**

* 165 ქართველ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 244 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

უდიდესი განსაცდელის ჟამს ქართველმა ხალხმა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ერებმა, გამოავლინა გმირული სული, გამძლეობა, თავდადება, გამარჯვების რწმენა.

აღსანიშნავია ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედის — სტალინის როლი ფაშისტური აპოკალიფსის წინააღმდეგ ბრძოლაში. სტალინმა ურთულეს ვითარებაში შეძლო, დაერწმუნებინა საბჭოთა კავშირის მოსახლეობა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო „წმინდა ომი", საბჭოთა ხალხმა ირწმუნა სტალინის მოწოდება: **„სიმართლე ჩვენს მხარესაა, ჩვენ გავიმარჯვებთ!"**. საბჭოეთის ლიდერმა შეძლო, ქვეყანა გადაექცია ერთ მუშტად შეკრულ სამხედრო ბანაკად და გაემარჯვა.

ამ გამარჯვებისთვის კი უამრავმა საბჭოთა ადამიანმა, მათ შორის ქართველებმა, მსხვერპლად გაიღო ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე.

დიდმა სამამულო ომმა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ თითოეულ ოჯახში დატოვა კვალი. ჩვენი ბაბუები და ბებიები თავგანწირვით ებრძოდნენ მტერს შეტევით ოპერაციებში, თხრიდნენ სანგრებს და აკეთებდნენ საველე ჰოსპიტლებს, გადიოდნენ ტყეში პარტიზანებად. თითოეულს თავისი წვლილი შეჰქონდა დიად გამარჯვებაში. და ეს აახლოვებდა ომის ბოლო დღეს.

**ჩვენი, ამჟამინდელი თაობის, ამოცანაა, არასოდეს დავივიწყოთ გმირობა ხალხისა, რომელმაც ერთიანობითა და მხარდამხარ დგომით, შრომისმოყვარეობითა და თავდადებით, იდეალებისადმი ერთგულებითა და სამშობლოსადმი სიყვარულით უზრუნველყო ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.**

გამარჯვების დღე — ეს არის დღესასწაული, რომელიც აერთიანებს თაობებს. გვახსოვდეს და ვიამაყოთ ჩვენი ისტორიით!

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S. რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერ დიმიტრი პესკოვის განცხადებით, ვლადიმერ პუტინი 9 მაისს ყვავილებით შეამკობს უცნობი ჯარისკაცის საფლავს და იქიდან მიმართავს თანამემამულეებს, რათა პატივი მიაგოს დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას და ქვეყანას მიულოცოს გამარჯვების დღე.**

**„ცივილიზებული“ დასავლეთის (წაიკითხე, აშშ) დაწყებითი სწავლების სკოლებსა თუ კოლეჯებში მიმდინარეობს მოზარდი თაობის მიზანმიმართული გამოთაყვანების პროცესი. ასეთმა „განათლებულებმა“ საერთოდ არ იციან, მეორე მსოფლიო ომში აშშ მონაწილეობდა თუ არა და, თუ იციან, რომ მონაწილეობდა, ვის ებრძოდა, დარწმუნებით თითქმის არავინ იცის. და, თუ რაიმე „იციან“, უკეთეს შემთხვევაში არის ის, რომ მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანია აშშ-მა დაამარცხა.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეორე მსოფლიო თუ დიდი სამამულო ომი?

**მოვიდა კიდევ ერთი 9 მაისი, რიგით 75-ე მას შემდეგ, რაც დიდი სამეულის (აშშ, ინგლისი, სსრკ) სახელით ცნობილმა ანტიჰიტლერულმა კოალიციამ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შედეგად კაცობრიობა იხსნა მისი არსებობის განმავლობაში ყველაზე დიდი მტრისგან — გერმანული ფაშიზმისგან.**

ეს გამარჯვება მსოფლიოს დაახლოებით 71 მილიონი ადამიანის (სსრკ-მა დაკარგა 28.8 მლნ ადამიანი, აშშ-მა — 417 ათასი, დიდმა ბრიტანეთმა — 380 ათასი) სიცოცხლის ფასად დაუჯდა და იქნებ, თუნდაც მხოლოდ ამ მარტივი არითმეტიკიდან გამომდინარე, შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის, დიდი სამეულის (**უინსტონ ჩერჩილი, ფრანკლინ დელანო რუზველტი, იოსებ სტალინი**) გამარჯვების მთავარი აქტორი სსრკ (სტალინი) იყო.

„გენერალისიმუს სტალინის მთავარსარდლობით წითელმა არმიამ ლომის წილი რომ დაიდო, ეს ფაქტი საეჭვოდ არ გაუხდიათ არც თეირანსა თუ იალტაში დიდი სამეულის ისტორიულ შეხვედრებზე და არც მოგვიანებით — ომის დამთავრებისა და სტალინის გარდაცვალების შემდეგ, რის დასტურადაც თუნდაც **უინსტონ ჩერჩილის** სიტყვაც კმარა, რომელიც მან, კომუნიზმის დაუძინებელმა მტერმა და „ცივი ომის“ ავტორმა, 1959 წელს ლორდთა პალატის სხდომაზე წარმოთქვა: **„რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას დიდი განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი — სტალინი... სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. როცა ის იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ თითქოს ბრძანებაზე ვდგებოდით და, რა გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, რატომლაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული...“**

ახლა კი რას ვხედავთ? — ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს ისტორიის უსინდისო გადაწერის მცდელობა. ამ პროცესმა განსაკუთრებით ბოლო 30 წლის განმავლობაში შეიძინა დიდი მასშტაბი — ეს ის პერიოდია, როდესაც დასავლეთის ქვეყნების სახელისუფლო სტრუქტურებში უმრავლესობას აგრესიული ნეოლიბერალები წარმოადგენენ და, აქედან გამომდინარე, მივიღეთ პარადოქსული სურათი — დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობას, რომელიც ქრისტიანულ ღირებულებებზე აღიზარდა, მართავს უზნეო და ულმერთო სატანისტების უმცირესობა, რომლებიც ვიმეორებ, სახელისუფლო წრეებში, სამწუხაროდ, უმრავლესობაა და თავიანთი დაწერილი თუ დაუწერელი კანონების მიხედვით აცხოვრებენ ამა თუ იმ „დემოკრატიული“ ქვეყნის საზოგადოებას. დემოკრატია ბრჭყალებში იმიტომ, რომ დარღვეულია დემოკრატიის მთავარი პოსტულატი — უმრავლესობა უნდა მართავდეს ქვეყანას და არა პირიქით, რასაც მე, თქვენმა მონა-მორჩილმა, ნეოლიბერასტული დიქტატურა ვუწოდე. ამ დიქტატურის შედეგია ლგბტ სექტების არათუ ხელშეუხებლობა, არამედ წახალისება-წაქეზება; იუვენალური იუსტიცია, რომლის შიშით მამას შვილი ვერ დაუტუქსავს, რადგან ე.წ. ბავშვთა უფლებების კოდექსის მიხედვით, მშობელს უფლება არ აქვს, შვილს ნარკოტიკის მოხმარება და პროსტიტუცია დაუშალოს, მსგავსი ქმედება თურმე ბავშვთა უფლებების შელახვა ყოფილა.

ერთი შეხედვით, თითქოს „კალამი გამექცა“, არა? სად ჩერჩილ-სტალინი, მეორე მსოფლიო ომი, ისტორიის გაყალბება და სად ნეოლიბერასტული დიქტატურა ან ლგბტ სექტები და ბავშვთა უფლებები? არა, კალამი არ გამქცევია, ძვირფასო მკითხველო, რადგან ზემოხსენებულ, რბილად რომ ვთქვათ, უზნეო პარადოქსებთან ერთად, ისტორიის გაყალბების სადავეებიც ნეოლიბერასტულ ევრო-ამერიკულ (ევროსაბჭო, ევროკავშირი, ნატო და ა.შ.) სახელისუფლო სტრუქტურებს უჭირავთ ხელში და, აბა, თუ ბიჭი ხარ, მიდი და ეჭიდავე. სწორედ ევროსაბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ფაშიზმი და კომუნიზმი, **ჰიტლერი** და **სტალინი** ერთნაირი ბოროტება ყოფილა. რეზოლუცია, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი ლიბერასტული ევროსაბჭოს წევრებმა, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, ბანდერული (წაიკითხე, ფაშისტური) უკრაინისა და მისი მოკავშირე საქართველოს დეპუტატებიც იყვნენ.

ამ, რბილად რომ ვთქვათ, უსინდისო რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა გლობალური პოლიტიკის მთავარ მოთამაშეთაგან დიდი რუსეთისა და პატარა ისრაელის დეპუტატებმა მისცეს. დიახ, უსინდისობა რბილად არის ნათქვამი, რადგან მანიაკი ადოლფ ჰიტლერისა და მისი საკუთარ ბუნაგში გამანადგურებელი სტალინის ერთ დონეზე დაყენება უსინდიობაზე მეტს ნიშნავს.

შინაური თუ გარეული ლიბერასტების მიერ სტალინის ფიგურის განქიქება ამ ხალხის მიერ მეორე მსოფლიო ომის ისტორიის გაყალბების მრავალი მიმართულების პროცესში ერთ-ერთი ინსტრუმენტი, გნებავთ, საშუალებაა. **„ცივილიზებული“ დასავლეთის (წაიკითხე, აშშ) დაწყებითი სწავლების სკოლებსა თუ კოლეჯებში მიმდინარეობს მოზარდი თაობის მიზანმიმართული გამოთაყვანების პროცესი. ასეთმა „განათლებულებმა“ საერთოდ არ იციან, მეორე მსოფლიო ომში აშშ მონაწილეობდა თუ არა და, თუ იციან, რომ მონაწილეობდა, ვის ებრძოდა, დარწმუნებით თითქმის არავინ იცის. და, თუ რაიმე „იციან“, უკეთეს შემთხვევაში არის ის, რომ მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანია აშშ-მა დაამარცხა** — ამაზე ჰოლივუდში ბლოკბასტერებიც კი გადაიღეს, მაგალითად, „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ (ოსკაროსანი ფილმი). და, თუ სსრკ-ც მონაწილეობდა ამ ომში, მხოლოდ „სადღაც იქ, შორს (მოსკოვთან, სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლებში, სადაც ხერხემალში გადატეხეს უძლეველი ვერმახტის ჯარები და მსოფლიოს დაანახვეს, რომ ფაშისტების საბოლოოდ დასამარება მხოლოდ დროის ამბავი იყო) ომობანას თამაშობდნენ“.




**დღესაც არ გამნელებია შარშანდელი 9 მაისის სირცხვილის განცდა, როდესაც არასამთავრობო არაკაცებმა მხცოვან მამა-პაპებს, იმ «სხვისი ომის» ვეტერანებს სასტვენების წივილითა და დოლის ბრაგა-ბრუგით ჩაამწარეს ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის მემორიალთან გვირგვინების მიტანა. და რისთვის, რა დანაშაულისთვის — იმ ომის მოგებისთვის, რომელშიც კაცობრიობის მტრებს რომ სძლიეს და დიდ სამამულო ომად რომ მიაჩნიათ? და დღესაც რომ უყვართ მთავარსარდალი, გენერალისიმუსი იოსებ სტალინი?**

რაც შეეხება ისტორიის გამყალბებელ შინაურ ლიბერასტებს, რა თქმა უნდა, ისინი ყოველივე ზემოთქმულს თითქმის სრულად იზიარებენ. თითქმის, რადგან დასავლელი ლიბერასტებივით ბოლომდე ვერ ცინიკოსობენ, სამაგიეროდ სსრკ-ის გამარჯვებას ე.წ. ლენდ-ლიზის ხაზით აშშ-ის სამხედრო თუ სასურსათო დახმარებას უკავშირებენ, რაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, რადგან არა მგონია, რომ ამერიკელების მიერ ლენდ-ლიზით გამოგზავნილი კუს კვერცხის ფხვნილი რომ არა, სტალინგრადსა და კურსკში დავმარცხდებოდით. ისე, ლენდ-ლიზი სულაც არ ყოფილა სსრკ-ის მიმართ უანგარო ქველმოქმედება. უფრო, პირიქით — სწორედ ლენდ-ლიზის წყალობით ამუშავდა ამერიკის ეკონომიკა და მაშინ, როდესაც საბჭოთა ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა, ე.წ. დიდი დეპრესია საბოლოოდ დაიძლია — ლენდლიზით შემოსული ტანკებისა თუ კუს კვერცხის ფხვნილის საფასურს ომის დამთავრების შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში ოქროთი იხდიდა სსრკ. **ე.წ. მეორე ფრონტიც მაშინ გახსნეს „მოკავშირეებმა“, როდესაც ომის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, თორემ მანამდე პარტერიდან უყურებდნენ, მოსკოვთან მოიტეხდა კისერს სტალინი თუ სტალინგრადსა და კურსკთან.**

ჩვენს ბავშვებს საშუალო სკოლებში, სანამ ლიბერასტების სამჭედლო ილიაუნამდე მივლენ, იმას ასწავლიან, რომ „ის“ ომი ჩვენი ომი არ იყო და არც დიდი სამამულო ომი არსებობს. იყო მხოლოდ მეორე მსოფლიო ომი, რომლის დამთავრებიდან 75 წლისთავს 8 მაისს ზეიმობს ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე დასავლეთი და აქედან გამომდინარე, ჩვენც 8 მაისს უნდა ვიზეიმოთ, თორემ რას იტყვის ევროპა, ხომ მოგვეჭრა თავი?!

ხუტასი არ იყოს „შერეკილებიდან“, თვალი დაუდგა ევროპას და, ქვემოთ, თუ საჭირო შეიქნა, არც რუსეთს მოვერიდები და ერთად ვიმსჯელოთ, ის ომი საბჭოთა საქართველოსთვისაც დიდი სამამულო ომი იყო თუ სხვისი ომი (წაიკითხე, რუსეთის, გნებავთ, კომუნისტების), რომელშიც (როგორც ერთ-ერთ პარლამენტარს უკადრებია) თურმე ცხვრებივით მიერეკებოდნენ ქართველებს.

ზემოთ რიცხვები მოვიყვანე — მრავალმილიონიანი მოსახლეობის აშშ-მა და ბრიტანეთმა მეორე მსოფლიო ომში, შესაბამისად, 400 და 380 ათასი კაცი დაკარგეს, ხოლო მრავალეროვანმა საბჭოეთმა — 28.8 მილიონი. საქართველომ კი, რომლის მოსახლეობა იმხანად 2 მილიონ 200 ათასი იყო, 700 ათასი მებრძოლი გაგზავნა იმ ომში, რომელიც „ჩვენი არ იყო“ და მათგან 300 ათასი დაიღუპა.

მხოლოდ ამ მშრალი ციფრების ანალიზი შეგაძრწუნებს კაცს. ანალიზი, რომლის უნარიც, როგორც ჩანს, ლიბერასტებს არ აქვთ — ოჯახი არ დარჩა ისეთი, რომელსაც ვინმე ახლობელი არ დაღუპვია დიდ სამამულო ომში. ვიცი, დრო-ჟამმა გაცვითა ეს ფრაზა, მაგრამ ქართველი ერის ტრაგიზმს დღესაც ზედმიწევნით გადმოსცემს.

სხვამ თავისი გაიხსენოს, მე კი ჩემსას ვიტყვი — **ჩემი ორი ბაბუა იბრძოდა იმ „სხვის ომში“ — ერთი ქერჩის კოშმარს გადაურჩა; ხოლო მეორე, ავიაციის ესკადრილიის კაპიტანი, 1944 წლის 4 ნოემბერს გმირულად დაიღუპა და როგორ, ლიბერასტებო, ცხვრები იყვნენ ჩემი მამა-პაპანი? მართლა ცხვრებივით რომ მიერეკებიან ჩვენს ტალიკ-ტალიკ ბიჭებს ავღანეთსა თუ მსოფლიოს სხვა „ცხელ წერტილებში“ — ეს არის სამამულო ომი და ის, სადაც 300 ათასი ქართველი ვაჟკაცი დაიღუპა, სხვისი ომი იყო?**

დღესაც არ გამნელებია შარშანდელი 9 მაისის სირცხვილის განცდა, როდესაც არასამთავრობო არაკაცებმა მხცოვან მამა-პაპებს, იმ „სხვისი ომის“ ვეტერანებს, სასტვენების წივილითა და დოლის ბრაგა-ბრუგით ჩაამწარეს ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის მემორიალთან გვირგვინების მიტანა. და რისთვის, რა დანაშაულისთვის — იმ ომის მოგებისთვის, რომელშიც კაცობრიობის მტრებს რომ სძლიეს და დიდ სამამულო ომად რომ მიაჩნიათ? და დღესაც რომ უყვართ მთავარსარდალი, გენერალისიმუსი იოსებ სტალინი?

შარშან ამ პერიოდში დიდი სამამულო ომის მონაწილეთა რაოდენობა 2 ათასიც აღარ იყო. დღეს, ალბათ, კიდევ უფრო შემცირდა და დარჩენილთ კიდევ ერთხელ გილოცავთ დიდ სამამულო ომში გამარჯვებიდან 75 წლისთავს! მრავალ 9 მაისს დაესწარით!

**დავით მხეიძე**

**P.S. ზემოთ ვთქვი, რომ, თუ დამჭირდა, არც რუსეთს მოვერიდები-მეთქი და მივმართავ პირადად რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს: ბატონო პრეზიდენტო! ყოველი წლის 9 მაისს დიდი ზარზეიმით რომ აღნიშნავთ გამარჯვების დღეს, ძალიან კარგია, მაგრამ ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი, გენერალისიმუსი სტალინის ხსენება რატომ „გავიწყდებათ“? მაგრამ არა უშავს, რაც ოფიციოზს გავიწყდებათ, კარგად ახსოვს რუს ხალხს, რომელიც, კორონავირუსის პანდემიის მიუხედავად, 9 მაისს კიდევ ერთხელ „ჩაახრჩობს“ სტალინის საფლავს ყვავილების ზღვაში.**

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოთა სიმბოლიკის ამკრძალავ ამ კასტას, დასავლური იმპერიალიზმის ამ ყურმოჭრილ ყმებს, იმავე დასავლეთის ყურმოჭრილი ჟურნალისტებიდან არავინ შეეკითხება, — საბჭოთა ჯარისკაცის საფლავთან და საბჭოთა არმიის ვეტერანებთან რა სინდისით მიდიხართ, სტალინის შეურაცხმყოფელი და მისი ძეგლის ჩამომგდები ხელისუფლება ამ დღეს, 9 მაისს, სირცხვილით როგორ არ იწვით და სადმე, სიბნელეში, ღამურებივით რატომ არ იმალებითო. და არც მომავალში შეეკითხება, რადგან ხელისუფლებაც, ოპოზიციაც და ე.წ. თავისუფალი პრესაც იმავე ბინძური ხელიდან იკვებებიან, რომლიდანაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ადოლფ ჰიტლერი და მისი ფაშისტური ბანდა იკვებებოდა.**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### მესამე გადაცემა

# ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან მსოფლიო საკონცენტრაციო ბანაკამდე

**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო, ეთერშია გადაცემა „ოქროს კვეთა", რომელსაც, როგორც ყოველთვის, გაგუძღვები მე, ვალერი კვარაცხელია.

75 წელიწადი ისტორიისთვისაც კი დიდი დროა, ეპოქაა მთელი. 75 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარისკაცებმა — მელიტონ ქანთარიამ და მიხეილ ეგოროვმა გამარჯვების წითელი დროშა რაიხსტაგზე აღმართეს. ამ 75 წელიწადში ცხოვრება მთლიანად შეიცვალა, შეიძლება ითქვას, რომ დაინგრა, ამოყირავდა. ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ურემი გადაბრუნდა, მაგრამ გზა არ გამოჩნდა...

რაიხსტაგზე საბჭოთა დროშის აღმართვიდან 75 წლის შემდეგ, ლარსთან რუსეთ-საქართველოს საზღვარს მელიტონ ქანთარიას შვილიშვილი **თემურ ფიფია** მოადგა. ქართველმა მებაჟე-მესაზღვრეებმა მისი ბარგი გასინჯეს და... შეშფოთდნენ. თემურ ფიფიას დიდი სამამულო ომის 75-ე წლისთავის გამო რუსეთში დამზადებული სამკერდე ნიშნების მთელი პარტია უპოვეს.

**ქართველი მებაჟე:** — მოქალაქე ფიფია, ეს რა არის?



**თემურ ფიფია, საბჭოთა კავშირის გმირის, მელიტონ ქანთარიას შვილიშვილი:** — სამამულო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამკერდე ნიშნებია.

**ქართველი მებაჟე:** — მერე, რად გინდათ, თანაც ამდენი?

**თემურ ფიფია:** — ომის ვეტერანებს მინდა დავურიგო, მათთვის ყველაზე ძვირფასი დღე ახლოვდება, 9 მაისი, დიდ სამამულო ომში გამარჯვების უდიდესი დღესასწაული, რომელიც თავგანწირვისა და სისხლის ფასად მოიპოვეს და მსოფლიო ფაშისტური ულისგან იხსნეს.

**მეორე ქართველი მებაჟე:** — მოქალაქე ფიფია, თუ გესმით, რომ ეს კომუნისტური სიმბოლიკაა, რომელიც დემოკრატიული საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია?!

**თემურ ფიფია:** — ეს კომუნისტური სიმბოლიკა არ არის, ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლიკაა.

**ვალერი კვარაცხელია:** — მებაჟეებმა, საკითხის გადაწყვეტა საკუთარ თავზე რომ არ აეღოთ, თათბირი უფროსთან გამართეს. სამკერდე ნიშანზე, რომელიც ფიფიას რუსეთიდან საქართველოში შემოჰქონდა, სტალინგრადის ბატალიებისას საბჭოთა ჯარისკაცების არნახული მამაცობით მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად „მამაის ყორღანზე" აღმართული 85 მეტრის სიმაღლის ქანდაკების (დედასამშობლო გვიხმობს!) ასლი იყო გამოსახული. კარგა ხანს იმსჯელეს, მაგრამ ვერ გადაწყვიტეს, ჩაეთვალათ თუ არა იგი კომუნისტურ სიმბოლოდ. შემდეგ სადღაც დარეკეს და ტელეფონითაც დიდხანს ითათბირეს.

— ჩამოართვით! — მიიღეს ბოლოს ასეთი ბრძანება.

ჩამოართვეს. თვითონ თემურ ფიფიას კი სტაცეს ხელი და საკარანტინო ზონაში გააქანეს — კორონავირუსი მძვინვარებდა უკვე. **მელიტონ ქანთარიას** შვილიშვილს, საბედნიეროდ, ვირუსი არ აღმოაჩნდა და ორი კვირის თავზე კარანტინიდან გაათავისუფლეს, მაგრამ საცხრამაისო სამკერდე ნიშნები, როგორც კანონმდებლობით აკრძალული სიმბოლიკა, აღარ დაუბრუნეს. ფიფიამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, მაგრამ, სანამ სასამართლო გაიმართება, 9 მაისი ჩაივლის. საქართველოში მოქმედმა უზნეო კანონმა, რომელსაც ცინიკური სახელი „თავისუფლების ქარტია" ჰქვია, ჩაშალა მელიტონ ქანთარიას შვილიშვილის კეთილშობილური ჩანაფიქრი გამარჯვების 75 წლისთავზე ომის ვეტერანების სამკერდე ნიშნებით დაჯილდოების შესახებ.

**ამ სულელური კანონის მიმღები და დამცველი ხელისუფლების უმაღლესი პირები კი, პანდემიას თუ არ მოიმიზეზებენ, 9 მაისს, ალბათ, შინმოუსვლელი საბჭოთა ჯარისკაცის საფლავთან იმ ხუთქიმიანი ვარსკვლავის წინ გამწკრივდებიან, რომლიდანაც მარადიული ცეცხლი უნდა ამოდიოდეს, მაგრამ აღარ ამოდის. მერე საბჭოთა კომუნისტური სიმბოლიკით მკერდდამშვენებულ ვეტერანებს მიეახლებიან, ფარისევლურად მოუსვამენ მხრებზე ხელს და იქაურობას, როგორც კორონავირუსით დაბინძურებულ ადგილს, სწრაფად გაერიდებიან, რადგან ჭირის დღესავით სძულთ საბჭოთა კავშირიც, 9 მაისიც, დაღუპული უცნობი ჯარისკაციც და ჯერ კიდევ ცოცხალი ვეტერანებიც; სძულთ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი თავიანთი წინაპრებიც და მათი ქართველი მთავარსარდალიც.** სძულთ, რადგან ახალი პატრონები უყვართ, რომლებიც, სოციალისტური ცხოვრების წესის არდაშვების სანაცვლოდ, გამდიდრებაში ხელს არ უშლიან და ერთადერთ დისკომფორტს მხოლოდ იმით უქმნიან, რომ, რატომღაც, 9 მაისს ამ ადგილზე მოსვლას და ერთი-ორი ცალი ნიანგის ცრემლის გადმოგდებასაც აიძულებენ. **იქ მისვლას იმიტომ აიძულებენ, რომ მელიტონ ქანთარიას შვილიშვილი ან ვინმე მისი მსგავსი არ მივიდეს და ეს დღე და ეს ადგილი სიმართლისა და სოციალური სამართლიანობის ტრიბუნად არ აქციოს. ესენიც, სხვა რა გზა აქვთ, ასრულებენ, იმას, რასაც ოკეანისგაღმელი პატრონები კარნახობენ.**

სამწუხაროდ, **საბჭოთა სიმბოლიკის ამკრძალავ ამ კასტას, დასავლური იმპერიალიზმის ამ ყურმოჭრილ ყმებს იმავე დასავლეთის ყურმოჭრილი ჟურნალისტებიდან არავინ შეეკითხება, — საბჭოთა ჯარისკაცის საფლავთან და საბჭოთა არმიის ვეტერანებთან რა სინდისით მიდიხართ, სტალინის შეურაცხმყოფელი და მისი ძეგლის ჩამომგდები ხელისუფლება ამ დღეს, 9 მაისს, სირცხვილით როგორ არ იწვით და სადმე, სიბნელეში, ღამურებივით რატომ არ იმალებითო.** არც მომავალში შეეკითხებიან, რადგან ხელისუფლებაც, ოპოზიციაც და ე.წ. თავისუფალი პრესაც იმავე ბინძური ხელიდან იკვებებიან, რომლიდანაც გასული საუკუნის 30-იან წლებში **ადოლფ ჰიტლერი** და მისი ფაშისტური ბანდა იკვებებოდა.



**ნიკოლაი სტარიკოვი, მწერალი და ისტორიკოსი:** — ჰიტლერს, როგორც დაგეშილ ძაღლს, ისე კვებავდნენ ვაშინგტონისა და ლონდონის გარკვეული წრეები. ეს ერთი მიზნით კეთდებოდა: წაექეზებინათ იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზნით შეგნებულად მცირდებოდა მანძილი გერმანიიდან საბჭოთა კავშირამდე. ფაშისტურმა გერმანიამ იოლად გადაყლაპა ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი. ისინი ჰიტლერს გზას უთავისუფლებდნენ და მოჰყავდათ საბჭოთა კავშირის საზღვრებამდე.

**ვალერი კვარაცხელია:** — დღეს ამერიკელები და ევროპელები ფაშიზმის დამარცხების საქმეში თავიანთ წვლილს ისე წარმოაჩენენ, ლამის საბჭოთა ხალხზე წინ დგებიან, მაშინ, როდესაც, რეალურად, ფაშისტური გერმანიის მიერ ჩადენილ გაუგონარ ბოროტებასთან არიან წილნაყარნი და, ომის დასასრულს მეორე ფრონტი თუ გახსნეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სტალინმა ყველა სხვა გზა მოუჭრა და აიძულა, ეს ნაბიჯი გადაედგათ. **დასავლელები ფაშიზმთან თავიანთ წილნაყარობას დღევანდელი საქმიანობითაც ამტკიცებენ. როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა, ყველგან ანადგურებენ განმათავისუფლებელი საბჭოთა ჯარისკაცების ობელისკებს, ანგრევენ საბჭოთა მხედართმთავრების ძეგლებს და, ყველგან, ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებენ საბჭოთა კავშირისა და სტალინის მიმართ უკიდეგანო სიძულვილს.**

კაპიტალისტური სამყაროს წრეგადასული სიძულვილი სტალინის პიროვნების მიმართ წარსულზე მეტად მომავალს უკავშირდება, რადგან შესანიშნავად იციან, რომ სტალინის მიერ შექმნილი და დამკვიდრებული ცხოვრების წესი მათი არა მხოლოდ წარსულის, არამედ მომავლის ალტერნატივაცაა. კაპიტალიზმი, რაც უფრო მეტად ეფლობა მისი უკანასკნელი სტადიისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების ჭაობში, რაც უფრო ლპება და იხრწნება, მით მეტ სისაძაგლეს სჩადის.

კაპიტალიზმის ერთ-ერთმა კაშკაშა ვარსკვლავმა **ბილ გეითსმა**, ჯერ კიდევ ათი წლის წინათ, **დევიდ როკფელერთან, ჯორჯ სოროსთან, მაიკლ ბლუმბერგთან** და ფულის სხვა ტომრებთან ერთად ჩამოაყალიბა ორგანიზაცია სახელწოდებით **„კარგი კლუბი"**, რომლის მთავარი მიზანი პლანეტაზე „ჭარბი მოსახლეობის" პრობლემის გადაწყვეტაა.

— პლანეტა არჩენს შვიდ მილიარდ ადამიანს, რომლებიც მოიხმარენ საკვებს, ჟანგბადს, გარდა ამისა, გამოჰყოფენ ნახშირორჟანგს, იყენებენ ტრანსპორტს, რომლის გამონაბოლქვი წამლავს გარემოს და აზიანებს ეკოლოგიას, — აცხადებენ ისინი და პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმსაც იქვე გვთავაზობენ: — პლანეტის შვიდმილიარდიანი მოსახლეობა ექვსი მილიარდით უნდა შემცირდეს!

ჩნდება შეკითხვა, — როგორ? **ექვსი მილიარდი ადამიანის დახოცვა არ გინდა? როგორ უნდა მოხდეს ეს?**

პლანეტის უდიდეს „ფილანტროპს" ამაზე ნაფიქრი აქვს, თანაც დიდი ხნის წინათ.



**ბილ გეითსი, მილიარდერი:** — უნდა განხორციელდეს პლანეტაზე მცხოვრებთა საყოველთაო ვაქცინაცია!

**ვალერი კვარაცხელია:** — ბილ გეითსისთვის, რომელიც სრულიად სხვა სფეროში მოღვაწეობს, რატომ შეიქნა ჯანდაცვის სფერო ისე მნიშვნელოვანი, რომ იგი გასცდა საკუთარი ქვეყნის ფარგლებს და პლანეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა თავისი საქმიანობის მთავარ მიმართულებად გამოაცხადა?

**ბილ გეითსი:** — ჩვენ უნდა გამოვუშვათ მილიარდობით დოზა ვაქცინისა და ვიზრუნოთ იმაზე, რომ ის მსოფლიოსთვის ხელმი- ▶

**კოლექტიურმა დასავლეთმა მეოცე საუკუნეში კაცობრიობას ორი მსოფლიო ომი მოახვია თავს. მეორე, ყველაზე სასტიკ ომში საბჭოთა ხალხმა, იოსებ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით, ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა, მაგრამ არც კაცობრიობისა და არც რუსეთის წინააღმდეგ ომი არ დამთავრებულა. ამ ხანგრძლივსა და საშინელ ომს ხან ფაშისტური ურჩხულის აღზევება, ხან ციფრიზაცია-ვაქცინაცია-ჩიპიზაცია ჰქვია, მაგრამ, რაც უნდა ერქვას, იგი, პირველ რიგში, რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული და, საბოლოო ჯამში, კაცობრიობის დაჩოქება აქვს განზრახული. 9 მაისი კი მუდმივად შეგვახსენებს და გვინერგავს მტკიცე რწმენას, რომ მათზე გამარჯვება შესაძლებელია!**

**ასე მოიყარა თავი მსოფლიოს ჭარბი მოსახლეობის, მისი ვაქცინაციისა და ჩიპიზაციის თემებმა პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის გონებაში და რატომღაც (ალბათ, სრულიად შემთხვევით) სამი ექვსიანით (666) დარეგისტრირდა. პატენტს, რომელსაც საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა, ასე ეწოდება: „ადამიანის ორგანიზმის აქტივობის მონაცემებზე დაფუძნებული კრიპტოვალუტის სისტემა“. საიდან მოვა ადამიანის ორგანიზმის აქტივობის მონაცემები? რა თქმა უნდა, ყოველი ადამიანის ორგანიზმში ჩამონტაჟებული „ჩიპიდან“.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საწვდომი იყოს. ეს უნდა გავაკეთოთ ძალიან სწრაფად!

**ვალერი კვარაცხელია:** — ბილ გეითსმა 2020 წლის 26 მარტს, ნომრით **060606** რეგისტრაციაში გაატარა კომპანია Microsoft Technology Licensing LLC, რომელიც მსოფლიოს ციფრიზაციით იქნება დაკავებული, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება პლანეტის მოსახლეობაზე სრული კონტროლის დაწესება.

**ასე მოიყარა თავი მსოფლიოს ჭარბი მოსახლეობის, მისი ვაქცინაციისა და ჩიპიზაციის თემებმა პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის გონებაში და რატომღაც (ალბათ, სრულიად შემთხვევით) სამი ექვსიანით (666) დარეგისტრირდა. პატენტს, რომელსაც საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა, ასე ეწოდება: „ადამიანის ორგანიზმის აქტივობის მონაცემებზე დაფუძნებული კრიპტოვალუტის სისტემა“. საიდან მოვა ადამიანის ორგანიზმის აქტივობის მონაცემები? რა თქმა უნდა, ყოველი ადამიანის ორგანიზმში ჩამონტაჟებული „ჩიპიდან“.**

ჩნდება შეკითხვა — რას ნიშნავს ეს ყველაფერი, რასთან გვაქვს საქმე? მსოფლიოს მოსახლეობის სწორედ ამ ვაქცინაცია-ჩიპიზაციაში ხომ არ იმალება იმ ექვსი მილიარდი ადამიანის განადგურების თავისი მასშტაბით გონებამიუწვდომელი ვერაგული გეგმა? ამ შეკითხვის ავტორი მე არ ვარ, ის სრულიად მსოფლიოს აწუხებს.



**ვალენტინ კატასონოვი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის საერთაშორისო ფინანსების კათედრის გამგე:** — ძალიან ბევრი ნიშანი გაჩნდა იმისა, რომ ფულის მფლობელებს (აშშ-ის სარეზერვო სისტემების მთავარ აქციონერებს) განუზრახავთ სრული ბატონობა მსოფლიოზე.

**ვალერი კვარაცხელია:** — აჰა, მსოფლიოზე ბატონობის სურვილი. წრე თითქოს შეიკრა, მაგრამ რაღაც მაინც აკლია ამ სქემას, კერძოდ, მოქმედების დასაწყები მიზეზი, ხელმოსაკიდებელი საბაბი. და, აი, ისიც — **კორონავირუსი! მსოფლიოში ასე მოულოდნელად აფეთქებულმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა საინფორმაციო ბუმმა შესანიშნავი პირობები შექმნა ვაქცინაცია-ციფრიზაცია-ჩიპიზაციისთვის. რა იყო ეს: მსოფლიოზე გაბატონების მსურველი ძალებისთვის ღმერთისგან ბოძებული საჩუქარი, სატანის პირდაპირი წყალობა თუ სატანის ნომრით (666) დარეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ ხელოვნურად გავრცელებული ვირუსი? ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე გლობალური ბოროტების განსახორციელებლად, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის ციფრულ საკონცენტრაციო ბანაკში შესაყრელად ხელსაყრელი დრო დადგა.**

**ვალენტინ კატასონოვი:** — ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით არა მხოლოდ ადამიანთა მოქმედების, მათი აზროვნების კონტროლიც შესაძლებელია.

**ვალერი კვარაცხელია:** — გამოდის, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ კოლექტიური დასავლეთის მიერ საუკუნის წინათ დაწყებული ბრძოლა გრძელდება და, ეს ბნელი ძალები სერიოზულ წინააღმდეგობას თუ არ წააწყდებიან, ევროპელების მიერ მეოცე საუკუნეში აშენებულ საკონცენტრაციო ბანაკებს ოცდამეერთე საუკუნეში ამერიკული საკონცენტრაციო ბანაკები ჩაანაცვლებს. ჩნდება შეკითხვა — **ვინ აღუდგება წინ კაცობრიობის წინაშე დამოკლეს მახვილივით დაკიდებულ ამ სატანურ ბოროტებას, ვის აქვს ამის ნება და ვის შესწევს საამისო ძალა?**

აქ მხოლოდ ერთი სახელმწიფოს, **რუსეთის,** სახელი თუ ამოტივტივდება გონებაში, რადგან ფაშიზმისა და მსოფლიო ბოროტების დამარცხება ისტორიულად მასთან ასოცირდება, თუმცა, სამწუხაროდ, გარკვეული ეჭვებიც ჩნდება...

რამდენიმე დღის წინათ რუსეთის ტელეეთერში (РОССИЯ-24) გავიდა **ნიკიტა მიხალკოვის** პოპულარული პროგრამა БЕСОГОН ТВ, რომელშიც ავტორი მსოფლიო მოსახლეობის საყოველთაო ჩიპიზაციის საკითხს შეეხო და ისეთი ამბები წამოსწია, რომ თმები ყალყზე დაგიდგებოდათ. ზოგიერთი რუსი მაღალჩინოსანი ბოროტ განზრახვებში ბილ გეითსსაც კი თურმე უკან მოიტოვებს. მაგალითად, **გერმან გრეფი**, რომელიც 2007 წლიდან დღემდე „სბერბანკის“ პრეზიდენტია, მანამდე კი, 2000 წლიდან, სხვადასხვა მთავრობაში სამჯერ იყო ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრი, ასე მსჯელობს:



**გერმან გრეფი, რუსეთის „სბერბანკის“ მმართველობის პრეზიდენტი:** — შვიდი მილიარდი ადამიანიდან ექვსი მილიარდი გამოიხშირება.

**ვალერი კვარაცხელია:** — წარმოუდგენელი მკრეხელობა და ბოროტებაა, ხომ?! მაგრამ ეს წარმოუდგენელი მკრეხელობა კიდევ უფრო წარმოუდგენელი ხდება, როდესაც იგი რუსეთის მაღალჩინოსნის პირითაა გაცხადებული. ბატონი გრეფი, სამწუხაროდ, ერთადერთი გამონაკლისი არ აღმოჩნდა. რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ციფრული და ტექნოლოგიური განვითარების დარგში — **დიმიტრი პესკოვი** (არ აურიოთ პრესმდივან დიმიტრი პესკოვში) არანაკლებ მკრეხელურ განცხადებას აკეთებს.

## საბჭოთა კავშირი თქვენ დაანგრიეთ და ევროპელებს საბჭოთა ძეგლებისა და სიმბოლოების შენარჩუნებას რატომ სთხოვთ, რისთვის სჭირდება მათ უკვე არარსებული სახელმწიფოსა და მისი იდეოლოგიის სიმბოლოები?! ჩეხებმა ოსვენციმისა და პრაღის გამათავისუფლებელი მარშლის, ივანე კონევის, ძეგლი მოხსნესო, რომ ბრაზობთ, პრაღის კი არა, მთელი ევროპისა და მსოფლიოს განმათავისუფლებელი გენერალისიმუსის ძეგლები თქვენ დაამხეთ და სტალინის ძეგლების დამხობის შემდეგ კონევისა და ჟუკოვის ძეგლებს ფასი რომ აღარ ექნებოდა, ეს თქვენ სხვებზე უკეთ არ უნდა გცოდნოდათ?!





**დიმიტრი პესკოვი:** — „გუგლმა“ უნდა მოტეხოს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შპილი (შენობის ვერტიკალური წვეტიანი დასრულება, რომელსაც აქვს კონუსის ან პირამიდის ფორმა. ხშირად დაბოლოებულია დროშით, სიმბოლური ფიგურით და სხვ. — ვ. კ.).

**ვალერი კვარაცხელია:** — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შპილი, თავისთავად, არც იდეოლოგიურ და არც საკრალურ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ იგივე შპილი მასზე დამაგრებულ ხუთქიმიან წითელ ვარსკვლავთან ერთად, დიახაც, უზარმაზარი იდეოლოგიური და, თუ გნებავთ, საკრალური დატვირთვის მქონეა. **მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაგებობა სტალინური ეპოქის არქიტექტურული შედევრია, ხოლო მისი შპილი, წითელ ვარსკვლავთან ერთად, არა მხოლოდ იმ ეპოქის, არამედ, საერთოდ, რუსეთის სახეა, რუსული მეცნიერებისა და კულტურის სიმბოლოა, მისი გვირგვინია. და როდესაც რუსეთის მაღალი რანგის ერთი მოხელე დედამიწის შვიდი მილიარდი მოსახლეობიდან ექვსი მილიარდის გამოხშირვას ქადაგებს, ხოლო რუსეთის მაღალი რანგის მეორე მოხელე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გვირგვინის ჩამოტეხვასა და „გუგლის“ ემბლემით ჩანაცვლებაზე ოცნებობს, ნათელი ხდება, რომ დღევანდელი რუსეთი კორონავირუსის ეპიდემიაზე გაცილებით დიდი და სერიოზული პრობლემების წინაშე დგას.**

„ბესოგონის“ ამ გახმაურებული გამოშვების ავტორი ნიკიტა მიხალკოვი ორი დღის შემდეგ „იუთუბზე“ გამოგვეცხადა და გვაუწყა:



**ნიკიტა მიხალკოვი, „ბესოგონის“ წამყვანი, კინორეჟისორი:** — ტელეარხის ხელმძღვანელებმა „ბესოგონის“ ამ გამოშვების გამეორება იმ ფორმატით, რომლითაც ხდებოდა, აღარ მოისურვეს და ეთერიდან მოხსნეს.

**ვალერი კვარაცხელია:** — რუსეთში არსებული სერიოზული პრობლემების ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულება პოლიტიკური წრეების გალიზიანებაცაა იმის გამო, რომ ევროპის სახელმწიფოებში საბჭოთა სიმბოლოებსა და საბჭოთა მხედართმთავრების ძეგლებს ანადგურებენ. გალიზიანებაც შესაძლებელია და, როდესაც ამის საფუძველი არსებობს, გაბრაზებაც გასაგებია, მაგრამ მას წინ უნდა უსწრებდეს ახსნა, რატომ ხდება ის მოვლენა, რომელიც გვალიზიანებს.

**ძვირფასო რუსებო!**

*** საბჭოთა კავშირი თქვენ დაანგრიეთ და ევროპელებს საბჭოთა ძეგლებისა და სიმბოლოების შენარჩუნებას რატომ სთხოვთ, რისთვის სჭირდებათ მათ უკვე არარსებული სახელმწიფოსა და მისი იდეოლოგიის სიმბოლოები?!**

*** ჩეხებმა ოსვენციმისა და პრაღის გამათავისუფლებელი მარშლის, ივანე კონევის, ძეგლი მოხსნესო, რომ ბრაზობთ, პრაღის კი არა, მთელი ევროპისა და მსოფლიოს განმათავისუფლებელი გენერალისიმუსის ძეგლები თქვენ დაამხეთ და სტალინის ძეგლების დამხობის შემდეგ კონევისა და ჟუკოვის ძეგლებს ფასი რომ აღარ ექნებოდა, ეს თქვენ სხვებზე უკეთ არ უნდა გცოდნოდათ?!**

* 100 წელიწადია, რაც თქვენი სტრატეგიული მოწინააღმდეგე (კოლექტიური დასავლეთი) სტალინს ებრძვის და ამ ასი წლის განმავლობაში, ნუთუ ძნელი იყო იმის დანახვა, რომ სტალინთან ბრძოლა რუსეთთან ბრძოლას ნიშნავს?!

* 67 წელიწადია, რაც თქვენ სტალინს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეთ და ნუთუ ეს დრო თქვენთვის საკმარისი არ აღმოჩნდა იმის გასააზრებლად, რომ სტალინთან ბრძოლა საკუთარ თავთან და საკუთარ ქვეყანასთან ბრძოლას ნიშნავს?!

* 67 წელიწადის განმავლობაში ხელისუფლება რომელიმე ისტორიულ პიროვნებას რომ ებრძვის, ხალხის უმრავლესობა კი იმ პიროვნებას ეთაყვანება, ნუთუ ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ?!

* 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვებას რომ ზეიმობთ და იმ გამარჯვების სულისჩამდგმელის, სახელმწიფოს მაშინდელი მეთაურისა და უმაღლესი მთავარსარდლის სახელს რომ დემონსტრაციულად არ ახსენებთ, უხერხულობის განცდა არ გეუფლებათ?!

* დიდ სამამულო ომში გამარჯვების ათვლის წერტილსა და ქვაკუთხედს, უწმინდეს ქალაქ სტალინგრადს ხელოვნური და გამოგონილი სახელი ვოლგოგრადი რომ ჰქვია, უსამართლობის განცდა არ გაწუხებთ?!

9 მაისის სადღესასწაულო პერიოდში იქნებ არც იყო საჭირო ჩემი ამ გულისტკივილის გამოხატვა, მაგრამ დააკვირდით, როგორ იკინძება ჩვენი საერთო უახლესი ისტორიის ჯაჭვი: **კოლექტიურმა დასავლეთმა მეოცე საუკუნეში კაცობრიობას ორი მსოფლიო ომი მოახვია თავს. მეორე, ყველაზე სასტიკ ომში საბჭოთა ხალხმა, იოსებ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით, ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა, მაგრამ არც კაცობრიობისა და არც რუსეთის წინააღმდეგ ომი არ დამთავრებულა. ამ ხანგრძლივსა და საშინელ ომს ხან ფაშისტური ურჩხულის აღზევება, ხან ციფრიზაცია-ვაქცინაცია-ჩიპიზაცია ჰქვია, მაგრამ, რაც უნდა ერქვას, იგი, პირველ რიგში, რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული და, საბოლოო ჯამში, კაცობრიობის დაჩოქება აქვს განზრახული. 9 მაისი კი მუდმივად შეგვახსენებს და გვინერგავს მტკიცე რწმენას, რომ მათზე გამარჯვება შესაძლებელია!**

ამაშია 9 მაისის უდიდესი ძალა და ისტორიული მნიშვნელობა.

**დიდება თითოეულ ჯარისკაცს, რომლებმაც თავი გაწირეს და მკერდით დაიცვეს სამშობლო!**

**დიდება ყველა ჯარისკაცის მამას — იოსებ სტალინს!**

**გილოცავთ გამარჯვების უდიდეს დღესასწაულს!**

**ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“. მომავალ შეხვედრამდე.**

**P.S. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვის გადაწყვეტილებით, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავის აღსანიშნავად, ქალაქ ცხინვალს ძველი სახელი დაუბრუნდა — სტალინირი. გორში კი ქართველი ფაშისტების მიერ მოთხრილი სტალინის ძეგლი ტალახში გდია...**

**ვალერი კვარაცხელია**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სამამულო ომში დაღუპულებს მუდამ უნდა მივაგოთ განსაკუთრებული პატივი და აი, რატომ: ნაციზმი აღიარებულია კაცობრიობის ყველაზე დიდ მტრად, ყველაზე დიდ დამნაშავე ძალად და ეს ძალა ქართველებმა დაამარცხეს. როდესაც შეფასდება საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი საკაცობრიო საგანძურში, ყველაზე დიდი დამსახურება ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება“.**

**სიმონ ნოზაძე:**

# ჩვენთვის გამარჯვების დღე 9 მაისია

**9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვებიდან 75-ე წელი შესრულდება. 29 წლის წინათ დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველოს მოსახლეობის ნაწილს დააჯერეს, 700 ათასი ქართველი სხვის ომში იბრძოდაო და მას შედეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. თითებზე ჩამოსათვლელი ომის ვეტერანები თითქმის უყურადღებოდ არიან მიტოვებული, პატივს სათანადოდ არ მიაგებენ დაღუპულთა ხსოვნას, სკოლაში არ ასწავლიან სამამულო ომის ისტორიას, ჩვენი ახალგაზრდები არ იცნობენ გმირებს...**

**არის თუ არა 9 მაისი ეროვნული დღესასწაული? უნდა აღინიშნებოდეს თუ არა ის სათანადოდ? უნდა სწავლობდეს თუ არა მომავალი თაობა დიდი სამამულო ომის ისტორიას? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე სასაუბროდ რამდენიმე პარლამენტართან ვცადეთ დაკავშირება — დიმიტრი ცქიტიშვილთან, ემზარ კვიციანთან, სიმონ ნოზაძესთან. სამწუხაროდ, მხოლოდ ბატონი სიმონ ნოზაძე აღმოჩნდა მზად ჩვენს შეკითხვებზე საპასუხოდ... ემზარ კვიციანსა და დიმიტრი ცქიტიშვილს კი მინდა ვკითხო — ბატონებო, თემა არ მოგეწონათ თუ გაზეთი, რომელთანაც უნდა გესაუბრათ?**

**სიმონ ნოზაძე, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი:**

— 9 მაისი არის დღე, როდესაც სიკეთემ გაიმარჯვა ბოროტებაზე! მსოფლიო ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთ მხარეს იდგნენ ნაცისტური გერმანია და მისი სატელიტები, მეორე მხარეს — ანტიჰიტლერული კოალიცია. ფაშიზმის წინააღმდეგ შექმნილი გაერთიანება უდიდესი მოვლენა იყო კაცობრიობისთვის. ფაშიზმის საწინააღმდეგო კოალიციის სათავეში იყო საბჭოთა კავშირი და ამ კავშირში შემავალი ხალხები. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ დიდი სამამულო ომი არ იყო მხოლოდ გერმანელებისა და საბჭოთა ხალხების დაპირისპირება.

დაუნდობელ ომში უდიდესი როლი შეასრულეს ქართველებმა, ჩვენ დიდი წვლილი მიგვიძღვის გამარჯვებაში. 700 ათასი ჯარისკაცი გაიწვიეს ომში საქართველოდან, შრომისუნარიანი მამაკაცები, მათგან 280 ათასი დაიღუპა. უამრავი ქართველი გენერალი იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში, მათ შორის, **პორფირე ჩანჩიბაძე** და **კონსტანტინე ლესელიძე.** მათ გარდა ფაშიზმზე გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ლეგენდარულმა მფრინავებმა — **ალექსანდრე წურწუმიამ, ოთარ ჩეჩელაშვილმა, ჭიჭიკო ბენდელიანმა** და სხვებმა. გვყავდა ბრწყინვალე ინჟინერი **ირაკლი ციციშვილი** — საბჭოთა კავშირის გმირი, პროფესორი, აკადემიკოსი, ადამიანი, რომელმაც დნეპრზე სამ დღეში ააგო ხიდი. გვყავდა საინჟინრო ჯარების მარშალი **არჩილ გელოვანი.** გმირობა, რომელიც მატროსოვს მიეწერება, პირველმა ქართველმა **პეტრიაშვილმა** ჩაიდინა. ბოლოს და ბოლოს, რაიხსტაგზე დროშა ქართველმა **მელიტონ ქანთარიამ** აღმართა. დროშის ასატანად რვა თუ ცხრა ჯგუფი გაუშვეს, მაგრამ დროშა ქართველმა აღმართა.

**ქართველებისთვის სამხედრო დიდების მომტანი იყო მეორე მსოფლიო ომი, დიდი სამამულო ომი. ამ ომში საბჭოთა კავშირის მთავარსარდალი, რომლის ნიჭმაც და გამჭრიახობამაც დაამარცხა ფაშიზმი დედამიწაზე, ქართველი იყო — სტალინი. არავინ თქვას, რომ მის ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, საბჭოთა კავშირი ამ ომს მაინც მოიგებდა. თუ სტალინი არ იქნებოდა მთავარსარდალი, ქვეყანა ყველა ბრძოლას წააგებდა.**

არ შეიძლება იმ ერის შთამომავალი იყოს მთავარსარდალი, რომელსაც მხედართმთავრული გენეტიკა არ აქვს. ქართველებს ეს გვაქვს, ჩვენ არაჩვეულებრივი ტაქტიკოსები გვყავდა. ქართველები მუდმივად ებრძოდნენ მრავალრიცხოვან მტერს და ხშირად გამარჯვებული გამოდიოდნენ. ჩვენ გვყავდა უდიდესი სტრატეგი **დავით აღმაშენებელი** და მასზე არანაკლები — **ერეკლე მეფე...** სწორედ აქედან გამომდინარე, დიდ სამამულო ომში სტალინის გამარჯვება და მისი ასეთი დიდი წოდება ლოგიკური იყო.

მეორე მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი ომია და ეს სასტიკი ომი მოიგო ქართველმა, მასთან ერთად მოიგო ეს ომი 700 ათასმა ქართველმა. ომიდან 153 გმირი დაბრუნდა, საქართველო გმირების რაოდენობით მეექვსე ადგილზეა, ისიც იმიტომ, რომ ჩვენ წინ მყოფი ქვეყნების მოსახლეობა რაოდენობით ჩვენზე მეტი იყო.

**ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ დიდ სამამულო ომში დაღუპულებს მუდამ უნდა მივაგოთ განსაკუთრებული პატივი და აი, რატომ: ნაციზმი აღიარებულია კაცობრიობის ყველაზე დიდ მტრად, ყველაზე დიდ დამნაშავე ძალად და ეს ძალა ქართველებმა დაამარცხეს. როდესაც შეფასდება საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი საკაცობრიო საგანძურში, ყველაზე დიდი დამსახურება ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება.**

## «მეორე მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი ომია და ეს სასტიკი ომი მოიგო სტალინმა»



ჩვენთვის გამარჯვების დღე 9 მაისია! საბჭოთა კავშირმა თავისი სამოკავშირეო ვალი მოიხადა ამერიკელების წინაშე, რომლებმაც დაიწყეს ომი იაპონელებთან, საბჭოთა კავშირმა მეორე ფრონტი გახსნა და ამერიკელებს დაეხმარა.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ამ ომში ყველაზე დიდი წვლილი საბჭოთა კავშირმა შეიტანა, მოკავშირეებმა კი დააგვიანეს და მეორე ფრონტი მხოლოდ 1944 წელს, ომის მიწურულს გახსნეს, როცა ჩვენი გამარჯვება უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. საბჭოთა კავშირი იბრძოდა ყველა ფრონტზე.

ისტორიული სამართალი უნდა აღდგეს, ახალგაზრდებისთვის იმის სწავლება, რომ მეორე მსოფლიო ომი ამერიკელებმა მოიგეს, არ შეიძლება. ომი მოიგო საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა მთავარსარდლ სტალინის მეთაურობით.

**— თქვენ ამ ქვეყნის კანონმდებელი ხართ და, ალბათ, იცით, რა მწირი ინფორმაციაა სასკოლო სახელმძღვანელოებში სამამულო ომზე...**

— ძალიან დიდი უსამართლობაა ისტორიის ასე სწავლება, ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ ომის გმირების ისტორია და დამსახურება. სტალინს ებრძვიან, მაგრამ მარშალ **კონსტანტინე როკოსოვსკის** ბიოგრაფია მაინც ასწავლონ, ადამიანის, რომელმაც ოპერაცია „ბაგრატიონს“ უხელმძღვანელა და წარმატებით გაათავისუფლა ბელორუსია, მან ისე შეასრულა ყველაფერი, რომ სტალინიც კი გააკვირვა. უნდა იცნობდნენ **კონსტანტინე ლესელიძეს,** პირველ გენერალს, რომელიც დაჯილდოვებული იყო სამი ორდენით: კუტუზოვის, სუვოროვის, ბოგდან ხმელნიცკის და სამივე პირველი ხარისხის ორდენი გახლდათ. მისი ბრძოლები სამხედრო ხელოვნების წიგნებშია შესატანი. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდებს არ ასწავლიან ამ ყველაფერს, ხომ შეიძლება ბავშვებს უთხრან ელემენტარული რამ — **რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ქართველმა მელიტონ ქანთარიამ აიტანა; ასწავლონ ციციშვილის დამსახურების შესახებ და, საერთოდ, ასწავლონ სამამულო ომის გმირების ისტორიები.** აქვე გეტყვით იმას, რომ ხელისუფლება ამას დიდ პატივს სცემს და დადებითად აფასებს, ამჟამინდელი ხელისუფლება ზეიმით აღნიშნავს 9 მაისს, როგორც ნაციზმზე გამარჯვების დღეს.

**— რას ფიქრობთ, საქართველო-რუსეთს შორის კულტურული ურთიერთობის გაღრმავებაზე? საინტერესოა საპარლამენტო უმრავლესობის წევრის პასუხი...**

— ქართველებს ძალიან გვიჭირს, იმიტომ, რომ რუსეთთან, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში ვართ, ტერიტორიები დაკარგული გვაქვს და ა.შ., მაგრამ რუსებსაც ექმნებათ პრობლემები ჩვენთან დაპირისპირების გამო. **კავკასიის გასაღები რუსეთისთვის საქართველოშია, ზუსტად ისევე, როგორც ცხინვალისა და აფხაზეთის გასაღებია რუსეთში, ამიტომაც ისტორიული აუცილებლობაა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოგვარება. უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად...** აუცილებელია სახალხო დიპლომატია რუსეთთან, აუცილებელია რბილი ძალის გამოყენება, რბილი ძალაა ჩვენი წარმატებული ექიმები, რბილი ძალაა ქართველების მიერ ჩატარებული კონცერტები... საქართველოში შემოდის უამრავი რუსი ტურისტი და აქედან ყველა კმაყოფილი ბრუნდება შინ.

პოლიტიკოსები ვცოდავთ, თორემ რუსი და ქართველი ხალხები ერთმანეთთან კარგად არიან. კულტურული ურთიერთობები აუცილებელია რუსეთთან და ამას ვუწოდებ რბილ ძალას...

**«კავკასიის გასაღები რუსეთისთვის საქართველოშია, ზუსტად ისევე, როგორც ცხინვალისა და აფხაზეთის გასაღებია რუსეთში, ამიტომაც ისტორიული აუცილებლობაა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოგვარება. უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად... აუცილებელია სახალხო დიპლომატია რუსეთთან, აუცილებელია რბილი ძალის გამოყენება, რბილი ძალაა ჩვენი წარმატებული ექიმები, რბილი ძალაა ქართველების მიერ ჩატარებული კონცერტები»**

ქართველების ეს დიდი დამსახურება დაფასებული უნდა იყოს, არავინ თქვას, რომ დიდ სამამულო ომში ჩვენ ვინმეს სამსახურში ვიდექით, ჩვენ ანტიჰიტლერული კოალიციის აქტიური წევრები ვიყავით საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად.

**— ის, რაც თქვენ თქვით, ახალგაზრდებმა შეიძლება არ იცოდნენ და ამას თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ უფროსმა თაობამ ხომ იცის?! მაშ, რატომ ჰყავს მოწინააღმდეგეები ამ თარიღს საქართველოში?**

— ახალგაზრდებს რაც შეეხება, მართალია, მათ არ აწვდიან ზუსტ ინფორმაციას მეორე მსოფლიო ომის შესახებ, მათ ასწავლიან, რომ ეს ომი იყო დაპირისპირება რუსეთსა და გერმანიას შორის...

**— რატომ აკეთებს სახელმწიფო ამას, რატომ აღნიშნავენ გამარჯვების დღეს 8 მაისს და ამბობენ, რომ ეს იყო მეორე მსოფლიო ომი?**

— სამამულო ომი იყო საბჭოთა კავშირისთვის, მსოფლიოსთვის კი — მეორე მსოფლიო ომი. მეორე მსოფლიო ომი 1945 წლის სექტემბერში დასრულდა, როდესაც კაპიტულაციას მოაწერეს ხელი იაპონელებმაც. გარმანიასთან ომი დასრულდა ევროპული დროით 8 მაისს, საბჭოთა კავშირის დროით კი 9 მაისს.

**„მარშალ კონსტანტინე როკოსოვსკის ბიოგრაფია მაინც ასწავლონ, ადამიანის, რომელმაც ოპერაცია „ბაგრატიონს“ უხელმძღვანელა და წარმატებით გაათავისუფლა ბელორუსია. მან ისე შეასრულა ყველაფერი, რომ სტალინიც კი გააკვირვა. უნდა იცნობდნენ კონსტანტინე ლესელიძეს, პირველ გენერალს, რომელიც დაჯილდოვებული იყო სამი ორდენით: კუტუზოვის, სუვოროვის, ბოგდან ხმელნიცკის და სამივე პირველი ხარისხის ორდენი გახლდათ. მისი ბრძოლები სამხედრო ხელოვნების წიგნებშია შესატანი. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდებს არ ასწავლიან ამ ყველაფერს“**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში — პოლონეთში, ბალტიისპირეთში, ახლა უკვე ჩეხეთშიც — ხელახლა „გახურდა“ ძეგლებთან ბრძოლის პროცესი, ებრძვიან არა მხოლოდ სტალინის პიროვნებას, არამედ თავიანთი ქვეყნების ფაშიზმისგან გათავისუფლების ისტორიას.**

ძეგლებთან მებრძოლები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უახლეს ისტორიაში არაერთი ფაქტის მოწმენი ვართ, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში საზოგადოება და ხალხებიც კი იწყებენ თავიანთი ისტორიის გადაფასებას, რაც, ასე ვთქვათ, სპეციფიკურ სახეს იღებს ხოლმე. წარსულის გადაფასება, თუკი ის სიმართლესა და რეალობის ობიექტურ აღქმაზეა დამყარებული, ნორმალური და ჯანსაღი მოვლენაა, მაგრამ, როდესაც ეს პროცესი უმეცრებას, ბრბოს ინსტინქტებს ან, სულაც, პოლიტიკურ პროვოკაციას მოსდევს, მაშინ საქმე გვაქვს მავნე და მახინჯ მოვლენასთან.**

# ძეგლებზე ნადირობის დაწყება «მონადირეებისთვის» ცუდის მომასწავებელია


საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი ბერლინში, ტრეპტოვ პარკში


დიდების მემორიალის აფეთქება ქუთაისში


მარშალ კონევის ძეგლის დემონტაჟი პრაღაში


სტალინის ძეგლის დემონტაჟი გორში

**ჩვენს პოსტკომუნისტურ რეალობაში პროვოკაციული და არაჯანსაღი ფსევდოგადაფასების მაგალითი, სამწუხაროდ, ბევრია. გავიხსენოთ თუნდაც სააკაშვილის რეჟიმის ქმედება, როდესაც ბნელეთის მოციქულები აგვისტოს ომის დროს შეეცადნენ, გორში შესული რუსი ჯარისკაცების ხელით აეფეთქებინათ სტალინის ძეგლი. რუსებმა ეს არ იკადრეს, მაგრამ ულტრალიბერალებმა შემდგომ წლებში გააძლიერეს ზეწოლა თავიანთ სამარცხვინო ბელად მიშაზე, რომელმაც სტალინის ძეგლი ღამით, ქურდულად მოახსნევინა. ქუთაისში დიდი სამამულო ომის მემორიალი, მერაბ ბერძენიშვილის შედევრი, ხომ ამ ნაძირალამ ააფეთქებინა და ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა**

ჩვენს პოსტკომუნისტურ რეალობაში პროვოკაციული და არაჯანსაღი ფსევდოგადაფასების მაგალითი, სამწუხაროდ, ბევრია. გავიხსენოთ თუნდაც **სააკაშვილის** რეჟიმის ქმედება, როდესაც ბნელეთის მოციქულები აგვისტოს ომის დროს შეეცადნენ, გორში შესული რუსი ჯარისკაცების ხელით აეფეთქებინათ სტალინის ძეგლი. რუსებმა ეს არ იკადრეს, მაგრამ ულტრალიბერალებმა შემდგომ წლებში გააძლიერეს ზეწოლა თავიანთ სამარცხვინო ბელად მიშაზე, რომელმაც სტალინის ძეგლი ღამით, ქურდულად მოახსნევინა. ქუთაისში დიდი სამამულო ომის მემორიალი, მერაბ ბერძენიშვილის შედევრი, ხომ ამ ნაძირალამ ააფეთქებინა და ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

რაზე მეტყველებს ეს სავალალო ფაქტები? განა ძეგლებთან ბრძოლის ეს მაგალითები სააკაშვილის რეჟიმის გაკოტრებას არ მოასწავებდა? როდესაც ხალხის ნდობის ლიმიტი ამოწურა, მიშა სწორედ მაშინ შეუდგა ძეგლებთან ბრძოლას. ამ ყველაფერს მან დაამატა ე.წ. პატრიოტის აქტი („პადოშას კანონი“), რომელიც საბჭოთა სიმბოლიკის გამოყენებას კრძალავს. სანამ „პრეზიდენტ მიშას“ რაღაც რესურსი კიდევ ჰქონდა და ხალხის ნაწილს მისი სჯეროდა, იგი მაინცდამაინც ვერ იცლიდა ძეგლებთან და წარსულის სხვა სიმბოლოებთან საბრძოლველად.

დიდების მემორიალის აფეთქება ქუთაისში, „პადოშას კანონი“, სტალინის ძეგლის დემონტაჟი ერთდროულად იქცა სააკაშვილის რეჟიმის სრული გაკოტრების წინაპირობად და გამოხატულებად.

ის, რომ ძეგლებთან ბრძოლა ხელისუფლებისთვის ცუდის მომასწავებელია, ისევ და ისევ სტალინის პიროვნებასთან ბრძოლისას იწვნია **ნიკიტა ხრუშჩოვმა**, რომელმაც დიდხანს ვერ იბოგინა, მაგრამ ხრუშჩოვი იქით იყოს სააკაშვილთან ერთად, და რა ხდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში — **პოლონეთში, ბალტიისპირეთში,** ახლა უკვე **ჩეხეთშიც?** ხელახლა „გახურდა“ ძეგლებთან ბრძოლის პროცესი — ებრძვიან არა მხოლოდ სტალინის პიროვნებას, არამედ თავიანთი ქვეყნების ფაშიზმისგან გათავისუფლების ისტორიას.

**პოლონეთმა,** რომელმაც 1930-იან წლებში, საბჭოთა კავშირის არაერთი მოწოდების მიუხედავად, არ გააფორმა სამხედრო ალიანსი მოსკოვთან ჰიტლერის წინააღმდეგ და ნაცვლად ამისა ჰიტლერთან ერთად დაესხა თავს მეზობელ ჩეხოსლოვაკიას, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სტალინის წყალობით, საჩუქრად მიიღო გერმანიის — აღმოსავლეთ პრუსიის, პომერანიისა და სილეზიის — ვრცელი ტერიტორიები, რამაც მას აღმოსავლეთ ევროპის უდიდესი სახელმწიფოს სტატუსი შეუნარჩუნა. **ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს არნახული ეკონომიკური ბუმი ჰქონდეათ — მოსკოვმა უზარმაზარი ინვესტიციები ჩადო ამ რესპუბლიკების განვითარებაში და ეკონომიკურად ჩამორჩენილი, მეთევზეებისა და მეძროხეების ქვეყნები მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებად აქცია, აუშენა პორტები და სხვა ინფრასტრუქტურა, ელექტროსადგურები, ქარხნები და ფაბრიკები, კულტურული, სამკურნალო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, დასასვენებელი, სპორტული ცენტრები.** 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, **ლიტვამ, ლატვიამ** და **ესტონეთმა** ეს ყველაფერი გამართულ მდგომარეობაში ჩაიბარეს და რა მოსკოვის ბრალია, თუ ამ დანატოვარს ვერ მოუარეს და მისი დიდი ნაწილი თვითონვე გაანიავეს?!

გასაგები იქნებოდა, რომ ძეგლებთან ბრძოლა ამ ქვეყნებს 1990-იანი წლების დასაწყისში, ნაციონალიზმისა და ანტიკომუნიზმის პიკის ჩავლის შემდეგ დაესრულებინათ. მათ შემდგომ ნატოსა და ევროკავშირის წევრობაც მიიღეს და თითქოს „გაბედნიერდნენ“, მაგრამ არა. **როგორც ბალტიისპირეთსა და პოლონეთში, უკვე ჩეხეთშიც 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში კვლავ გაიხსენეს, რომ ჯერ კიდევ ბევრი ძეგლი და მონუმენტი ჰქონიათ „დასანგრევი“. მაინც რამ გამოიწვია ძეგლებზე „ნადირობის“ ახალი ტალღა?**

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძალიან რთულია, მაგრამ, რასაკვირველია, გლობალისტებისა და ამერიკული პოლიტიკური წრეების გარეშე ეს არ მოხდებოდა. განსაკუთრებით დასანანი და აუხსნელია ჩეხების მიერ ჩადენილი ბარბაროსობა, როდესაც მათ, ახლახან, მარშალ **კონევის** — პრაღის განმათავისუფლებლის — მონუმენტი მოხსნეს. **ჩეხებს სამდურავი არაფერი აქვთ საბჭოთა კავშირსა და რუსეთთან, თუ არ ჩავთვლით 1968 წლის „პრაღის გაზაფხულს“ — ისტორიის თვალსაზრისით, ერთ მცირე ეპიზოდს, რადგან მათ გაცილებით მეტი მიიღეს, ვიდრე დაკარგეს. საბჭოთა ჯარისკაცმა იხსნა ჩეხები ნაცისტური ასიმილაციისაგან, გერმანელი ნაცისტებისგან, რომლებსაც ისინი მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში მონურად ემსახურებოდნენ და საუკეთესო სამხედრო ტექნიკას უმზადებდნენ საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად.** დასავლეთის „დემოკრატიებმა“ ჩეხეთი, იმხანად ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, ჰიტლერს დაუტოვეს საჯიჯგნად და მხოლოდ საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ იხსნა ეს ერი გაქრობისგან.

გამოდის, რომ **ჩეხეთშიც, ისევე, როგორც პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, კომუნიზმის გავლენიდან გამოსვლის 30 წლის თავზე ბევრი რამ არ არის წესრიგში და კრახი განიცადა დასავლურმა ინტეგრაციამ. ეს ქვეყნები ვერ ჩამოყალიბდნენ სუვერენულ სახელმწიფოებად და მათ არასრულფასოვნების კომპლექსი სტანჯავთ. მათგან განსხვავებით, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ინარჩუნებენ განმათავისუფლებელი საბჭოთა ჯარისკაცის მონუმენტს, ამიტომაც არის გერმანია ნამდვილი ევროპა (თავისი ყველა ნაკლოვანების მიუხედავად), ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები — ევროპის მეორეხარისხოვანი დანამატები.**

ზემოჩამოთვლილი ქვეყნების ხელისუფალთ არ ამართლებთ ის გარემოება, რომ ანტისაბჭოთა და ანტირუსულ განწყობებს გლობალისტური ძალები აღვივებენ ადგილობრივი მორჩილი პოლიტიკური ისტებლიშმენტის საშუალებით. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნებში ბევრი შეგნებული მოქალაქეც ცხოვრობს, რომლებსაც არ მოსწონთ, რასაც სჩადის მათი ხელისუფლება. მაშასადამე, იმედი მაინც არსებობს, რომ დღევანდელი ვითარება ოდესმე უკეთესობისკენ შეიცვლება.

**გიორგი რაზმაძე**

საგარეო ვექტორი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი ქვეყანა ერთადერთია, ვიმეორებთ — ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც საჭირო ხორბლის 95%-ს ერთი ქვეყნისგან – რუსეთისგან – იღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ რუსეთმა ხორბალი არ მოგვაწოდა, დაახლოებით ანალოგიური რამ მოხდება, რაც 1990-იან წლებში. ჰოდა, აგერ, ჩრდილოელმა მეზობელმა ექსპორტი 1 ივლისამდე შეაჩერა და ახლა რამდენიც უნდა გვიკიჟინოს დასავლეთმა, — რუსეთი მტერია და აგინეთო, ფაქტია, უნდა გაგვიხარდეს, რუსეთი ხორბლის კარგ მოსავალს თუ მიიღებს.**

# აღიარება იმისა, რომ რუსეთის გარდა სხვა ალტერნატივა არ გვაქვს და შეიძლება შიმშილით დავიხოცოთ, დასავლეთის ღალატია?!

**რუსეთის ფედერაციამ ხორბლისა და სხვა მარცვლეული პროდუქტების ექსპორტი სრულად შეაჩერა. რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული აკრძალვა ძალაში, სულ ცოტა, 2020 წლის 1 ივლისამდე იქნება. ამასთანავე, ითქვა ისიც, რომ ექსპორტის შეზღუდვა არ შეეხება მხოლოდ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ქვეყნებს. 2020 წლის 1 აპრილს რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მარცვლეული კულტურების ექსპორტზე არასატარიფო კვოტა დააწესა, საუბარი იყო 7 მილიონ ტონა პროდუქციაზე. შედეგად, ეს კვოტა ქვეყანამ სრულად ამოწურა და სწორედ ამიტომ მიიღო სამინისტრომ გადაწყვეტილება ექსპორტის აკრძალვაზე. სამინისტროს ინფორმაციით, შემაკავებელი ღონისძიება ხელს შეუწყობს მარცვლეულის ფასების სტაბილიზაციას ქვეყნის შიგნით და ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.**



**ხომ არის ლევან დავითაშვილი ხელისუფლების წარმომადგენელი? ხომ გვეუბნება, რომ ალტერნატიული გზები მონახულია და ორთვიანი მარაგის ამოწურვის შემდეგ პრობლემა არ შეგვექმნებაო? ჰოდა, გამოვიდეს და ქვეყნები ან ქვეყანა დაასახელოს, რომელიც ამ ალტერნატიულ გზაზე მოინახა; გვაჩვენოს დოკუმენტაცია, რომ ესა და ეს სახელმწიფო მზად არის, საქართველოს მიაწოდოს საჭირო ოდენობის ხორბალი. გვერწმუნეთ, ეს საბუთები რომ არსებობდეს, აქამდე ათასჯერ აგვაფარებდნენ თვალებზე**



სხვათა შორის, რუსეთში მარცვლეულის რეკორდული მოსავალი 2017 წელს მოიწიეს, შემდეგ ჩავარდნა იყო, რის გამოც ქვეყნის ხელმძღვანელობა აღშფოთდა და 2019 წელს პრიორიტეტულად სწორედ ხორბალი დასახელდა. ამან მოიტანა ის, რომ შარშან რუსეთის ფედერაციამ ხორბლის მოსავლის ახალი რეკორდი დაამყარა და საერთაშორისო ბაზარზე მთავარ მოთამაშედ იქცა. ასეა წელსაც, რუსეთში იმაზე მეტი მიწა დაამუშავეს, ვიდრე შარშან და დაახლოებით როგორი მოსავალი იქნება, სწორედ 1 ივლისამდე უნდა იყოს ცნობილი. მსოფლიოში დღეს შექმნილმა ვითარებამ მოიტანა ის, რომ ნავთობპროდუქტების ფასები შემცირდა, მაგრამ გაიზარდა მოთხოვნა საკვებ პროდუქტებზე, განსაკუთრებით — ხორბალზე, რომლითაც კაცობრიობის მთავარი საკვები პროდუქტი მზადდება. სწორედ ამიტომ **რუსეთი, უწინარესად, საკუთარ თავს (მოსახლეობას) უფრთხილდება, რადგან, პანდემიის მიუხედავად, მის მიმართ დასავლეთმა სანქციები არ გააუქმა და, თუ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს საკუთარი ხორბალი არ ექნება, დახმარებას არავისგან უნდა ელოდოს.**

ამ ყველაფერში ძალიან მჭიდროდ არის ჩართული საქართველო. **ჩვენი ქვეყანა ერთადერთია, ვიმეორებთ — ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც საჭირო ხორბლის 95%-ს ერთი ქვეყნისგან, რუსეთისგან, იღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ რუსეთმა ხორბალი არ მოგვაწოდა, დაახლოებით ანალოგიური რამ მოხდება, რაც 1990-იან წლებში.** ჰოდა, აგერ, ჩრდილოელმა მეზობელმა ექსპორტი 1 ივლისამდე შეაჩერა და ახლა, რამდენიც უნდა გვიკიჟინოს დასავლეთმა, — რუსეთი მტერია და აგინეთო, ფაქტია, უნდა გაგვიხარდეს, რუსეთი ხორბლის კარგ მოსავალს თუ მიიღებს.

სხვათა შორის, როცა ხორბლის ექსპორტზე კითხვა სოფლის მეურნეობის მინისტრ **ლევან დავითაშვილს** დაუსვეს, მან აღიარა, რომ ხორბლის უდიდესი ნაწილი სწორედ რუსეთიდან შემოგვაქვს, მაგრამ არსებობს ალტერნატიული გზებიც, რომლებიც ხელისუფლებამ უკვე გამონახა და საქართველოში ხორბლის დეფიციტი არ შეიქმნებაო. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, თუ სიმართლეა, მაგრამ კარგად გვახსოვს, ალტერნატიული გზების ძიებისას როგორ ბარიერებს წააწყდა ჯერ წინა, შემდეგ კი ეს ხელისუფლება. **მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობისას ევროპა და ამერიკა საქართველოსთან ერთად ეძებდნენ გზებს, როგორ შემოეტანათ ქვეყანაში ხორბალი ისე, რომ მთლიანად რუსეთზე არ ვყოფილიყავით ჩამოკიდებულ-დამოკიდებული.** იმხანად ეს გზები ვერ გამოინახა. **არც ერთმა დიდმა ექსპორტიორმა არ მოისურვა პატარა საქართველოსთან საქმის დაჭერა და მსხვილი შემსყიდველი ქვეყნების განაწყენება, არც ერთმა ევროპულმა ქვეყანამ არ გადახედა ხელშეკრულებებს საქართველოს გამო და სააკაშვილის მთავრობა იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ ხორბლის შემოტანის ერთადერთი გზა სწორედ რუსეთზე გადიოდა. სხვათა შორის, იმავე ხელისუფლებამ კრახი განიცადა ენერგომატარებლების ალტერნატიული წყაროს მოძიების დროსაც.**

ამჟამინდელი მთავრობისთვის რეალობა თითქოს მაშინ შეიცვალა, როცა პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** გახდა. ჰო, ქალბატონი სალომე ფრანგ კოლეგასთან შეხვედრისას ხორბლის თემასაც შეეხო. **საფრანგეთი, როგორც მსოფლიო ხუთეულში შემავალი ხორბლის მწარმოებელი ქვეყანა, ჩვენი პრეზიდენტის ხათრით უნდა დაინტერესებულიყო საქართველოსთვის ხორბლის მიწოდებით, მაგრამ არც ეს სვლა გამოვიდა — საფრანგეთმა უარი თქვა რუსეთის ჩანაცვლებაზე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პარტნიორებთან ურთიერთობა ორი ათეული წლით აქვს განსაზღვრული და ამ ურთიერთობების გადახედვას არ აპირებს.** ისიც ვთქვათ, რომ, როცა ჩვენი სოფლის მეურნეობის მინისტრი ალტერნატიული გზების არსებობაზე საუბრობდა, მას არ დაუსახელებია არც ერთი ქვეყანა, რომელიც მზად არის ან მომავალში იქნება მზად, რუსეთი ჩაანაცვლოს. ეს იმიტომ, რომ დღევანდელი მდგომარეობით ასეთი ქვეყანა არ არსებობს, ვერ იპოვა ასეთი სახელმწიფო ვერც მიხეილ სააკაშვილმა და ვერც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ. აი, **ამერიკის მცდელობა, ხორბალს მე მოგაწვდითო, პირველივე რეისზე კრახით დასრულდა, რადგან ამერიკული ხორბალი ხარისხით რუსულს ვერ სჯობს და, რაც მთავარია, ტრანსპორტირება სამჯერ ძვირი დაჯდა.**

ველოდით, ძალიან ველოდით, რომ ბატონი დავითაშვილი იტყოდა: ხალხო, რა ვქნათ, რუსეთის გარდა ალტერნატივა არ არის და იმედი ვიქონიოთ, იქ კარგი მოსავალი იქნებაო. მით უმეტეს, რომ მისი იმედიანი განცხადება ქვეყანაში ხორბლის მარაგის არსებობაზე ძალას ზუსტად ორ თვეში დაკარგავს, რადგან სწორედ ორი თვის მარაგი გვაქვს და იმედი იმისა, რომ 1 ივლისს რუსეთი ხორბლის ექსპორტს განაახლებს. ეს ყველაზე კარგად სწორედ დავითაშვილმა იცის, მაგრამ ამის თქმა დასავლეთის თვალში ღალატი იქნება, ანუ **იმის აღიარება, რომ რუსეთის გარდა სხვა ალტერნატივა არ გვაქვს და შეიძლება შიმშილით დავიხოცოთ, დასავლეთის ღალატია,** საკუთარი ქვეყნის ღალატზე კი ჯერჯერობით არავინ ფიქრობს. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჩვენი არსებობითაც კი ვღალატობთ დასავლეთს. ჯერ ვერ მოვასუფთავეთ ქართველებმა ჩვენი მიწა-წყალი ევროპა-ამერიკის პოლიგონად, ძალიან სიცოცხლისუნარიანები გამოვდექით და ნელ-ნელა იმ ბურანიდანაც ვიღვიძებთ, ნატოში გაწევრების პერსპექტივა რომ ჰქვია.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, **ხელისუფლება თუ ოპოზიცია ცალ-ცალკე შემოგვიტევენ, — აგერ, გვეხმარება ევროპა, მილიონობით დოლარს გვაძლევს ვირუსთან საბრძოლველადო. ჰო, გვაძლევს, მაგრამ ვინმემ თქვა, რომ ეს ფული გვაჩუქეს? ვინმემ თქვა, რომ ეს კეთილი ნებაა, ამ თანხას მოვიხმართ და მორჩა? და ყველაზე მთავარი: ვინმემ თქვა, რა პირობებით გვაძლევენ (უფრო სწორად, დაგვპირდნენ მოცემას)?** არა! და იცით, რატომ? ვალად გვადევს ეს ყველაფერი და ჩვენი გადასახდელია, ჩემი, თქვენი, ჩვენი შვილების. **3 მილიარდი დოლარის დახმარება რომ გვიხარია, ეროვნულ ვალუტაზე ეს თანხა ათ მილიარდს უტოლდება, ანუ საქართველოს ბიუჯეტის ლამის ორ მესამედს და ესეც ჩვენი გადასახდელია.** ასე იღებდა ვალებს სააკაშვილი და ვტკეპნიდით ერთ ადგილს, ასე იღებს ვალს ეს ხელისუფლებაც და ისევ კარგა ხანს მოგვიწევს ერთი ადგილის ტკეპნა. **არ ეშველება ქართულ ეკონომიკას, იმიტომ, რომ ნებისმიერი წინსვლა დასავლეთისთვის ნიშანი იქნება იმისა, რომ ჩვენ შეიძლება მართლა დამოუკიდებლები გავხდეთ და ამიტომ ვალების გადახდის გრაფიკს გადახედავს და ისეთ დღეში ჩაგვაგდებენ, წინსვლა კი არა, ახალი ვალის სათხოვნელად დაჩოქილნი მივალთ.**

ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს მავთულზე გაბმული ძაღლის ბედს. უცხოს რომ დაინახავს და ყეფით გამოენთება, შემდეგ კი იმავე გზით პატრონთან მიდის და კუდის ქიცინით ცდილობს, საჭმელი დასტყუოს. რამდენიც უნდა ირბინოს ძაღლმა, იმ მავთულს მაინც ვერ გასცდება და ამ წინ და უკან სირბილში საყელურშებმული იქნება მთელი ცხოვრება. პატრონს ერთგული მეგობარი უხარია, თანდაც თავისუფლებადაკარგული, თუნდაც ყელზე ჯაჭვშებმული, მაგრამ მის ჭკუაზე, მის გაბმულ მავთულზე მორბენალი. უცხო ცდილობს, მიიჩვიოს, მაგრამ, როგორც კი პატრონი შეამჩნევს, რომ ძაღლი ყეფას წყვეტს, საჭმლის დოზას შეუმცირებს, მოაშივებს, გააბრაზებს, ისევ გააავებს და... „პატრონი“ და „უცხო“ ძალიან ჰგავს დასავლეთისა და ჩრდილოეთის დამოკიდებულებას, აი, მავთულზე გაბმული ძაღლი კიდევ ვის ჰგავს თავისი ძაღლური ცხოვრებით, ნეტავ?!

ძალიან გვინდა, გვჯეროდეს ხელისუფლების. **ჩვენი თაობა მართლა იმსახურებს ისეთ ხელისუფლებას, რომლსაც დაუჯერებს, რომელსაც პატივს სცემს, რომლის იმედიც ექნება, მაგრამ არა, ყველა ხელისუფლება ერთმანეთს ჰგავს, იცვლება მხოლოდ სახელები და გვარები, იცვლება ტყუილის ხელოვნება და ცხოვრება კი გადის. ხომ არის ლევან დავითაშვილი ხელისუფლების წარმომადგენელი? ხომ გვეუბნება, რომ ალტერნატიული გზები მონახულია და ორთვიანი მარაგის ამოწურვის შემდეგ პრობლემა არ შეგვექმნებაო? ჰოდა, გამოვიდეს და ქვეყნები ან ქვეყანა დაასახელოს, რომელიც ამ ალტერნატიულ გზაზე მოინახა; გვაჩვენოს დოკუმენტაცია, რომ ესა და ეს სახელმწიფო მზად არის, საქართველოს მიაწოდოს საჭირო ოდენობის ხორბალი. გვერწმუნეთ, ეს საბუთები რომ არსებობდეს, აქამდე ათასჯერ აგვაფარებდნენ თვალებზე.**

და ის აქტივისტებიც ისევ შარვალჩახდილები მივიდოდნენ რუსეთის საზღვარზე, თქვენი პურის გარეშეც ვიარსებებთო. ჯერჯერობით გვაქვს სიტყვა, რომელსაც ხალხი ნაკლებად ენდობა და საამისო მიზეზი აქვს — **ვერც ერთი ხელისუფლება ტყუილებს ვერ გადაეჩვია...**

**ბესო ბარბაქაძე**

**ხელისუფლებამ ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე განულებული ავტორიტეტი მაქსიმუმამდე ასწია, შემდეგ კი, თავისივე დაწესებული რეგულაციები რომ ვერ გააკონტროლა, მიღებული კანონები რომ ვერ აღასრულა, ვერ უზრუნველყო, კანონი ყველასთვის კანონი ყოფილიყო, კვლავ შეერყა რეპუტაცია და ნელ-ნელა იმავე ნიშნულს უბრუნდება, რომელზეც საქართველოში ყველა ხელისუფლება არის ხოლმე.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ 12 მარტს განაცხადა, რომ ხელისუფლება იმ ცხრა პროდუქტის სუბსიდირებას აპირებს, რომლებიც მოსახლეობის კვების რაციონში უმთავრესია. ბატონმა პრემიერმა ისიც განაცხადა, ეს მთლიანობაში თვეში დაახლოებით ორი მილიონი ლარი დაგვიჯდება და მთავრობა ამისთვის მზად არისო. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, როცა ხელისუფლება საკუთარ ხალხზე ზრუნავს და კრიზისის პერიოდში ფასების მატებას არ აგრძნობინებს. შეგახსენებთ იმასაც, რომ საუბარი შემდეგ ცხრა პროდუქტზე იყო: ბრინჯი, ლობიო, მაკარონი, წიწიბურა, შაქარი, ხორბალი, ფქვილი, ზეთი, რძის ფხვნილი. ორიოდე კვირის წინათ ამ პროდუქტებს პურის ფქვილი (უკვე ტომრით) დაემატა, ანუ ხელისუფლებამ გამოაცხადა, ფქვილის 50-კილოგრამიანი ტომარა 51 ლარი უნდა ღირდეს, ფასნამატს კი სახელმწიფო დაფარავსო.**

# იცით თუ არა, ბატონებო, რომ სწორედ ის ცხრა პროდუქტი გაძვირდა, რომლებზეც ხელისუფლებამ ფასების შენარჩუნების პირობა დადო?

## ჩვენი გადახდილი გადასახადებით ორმაგად ხეირობენ ისინი, ვინც კულისებს მიღმა დგას და ძაფებს ძალუმად ექაჩება



„სამ ლარზე იქნება დაფიქსირებული კურსი და იმ კონკრეტულ დღეს, როცა იმპორტიორის მიერ პროდუქტის შეძენა მოხდება, სამ ლარზე მეტი თუ იქნება დოლარის ფასი, მაგალითად, 3,15 ლარი, ამ 15-თეთრიან ფასნამატს ჩვენ გავუსწორებთ, მას შემდეგ, რაც პროდუქტს შემოიტანენ და მისი განბაჟება მოხდება, ანუ ყველა საბუთი იქნება მიკვლევადი. პირობა იქნება ასეთი, რომ პროდუქცია, რა თქმა უნდა, არ უნდა გააძვირონ, არსებული ფასი ბაზარზე უნდა შეინარჩუნონ და ამ პირობით შევალთ სუბსიდიით. დღეს ან ხვალ ეს ყველაფერი გაფორმდება, ჩართული იქნება სამი მხარე — მთავრობა, იმპორტიორები და ბანკები და ეს ყველაფერი პრაქტიკაში ორშაბათიდან ამუშავდება“ *(სტილი დაცულია)*, — განაცხადა 15 მარტს, კვირა დღეს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა **თენგიზ კალანდაძემ.**

ამ განცხადების შემდეგ მერვე ორშაბათმა დაიწყო ათვლა, ანუ დაახლოებით ორი თვე გავიდა, მაგრამ იპოვეთ თუნდაც ერთი მოქალაქე, ერთადერთი, რომელმაც ზემოაღნიშნული სუბსიდირება გამოსცადა. ამას გარდა, აღნიშნული ლოგიკით, ერთსა და იმავე პროდუქციაზე ყველა მაღაზიაში ერთი ფასი უნდა იყოს. ანუ, **თუ კონკრეტულმა ფირმამ შემოიტანა წიწიბურა, მთავრობის სუბსიდირების შემდეგ ეს წიწიბურა დაუჯდა კილოგრამი, მაგალითად, ორი ლარი, მაღაზიებს ჩააბარა სამ ლარად და ისინი ყიდიან ოთხ ლარად, ფასი უნდა იყოს ყველგან ოთხი ლარი, ხომ?** რა თქმა უნდა, ეს ციფრები პირობითია, მაგრამ პირობითი არ არის ის, რომ წიწიბურას ფასი, პრაქტიკულად, ყველა დიდ ქსელში სხვადასხვაა, ყველა პატარა მაღაზიაშიც — სხვადასხვა და, საზოგადოდ, ერთიანი ფასის ცნება საქართველოში არ არსებობს. **სანამ ვიღაც ექსპერტი გამოვა და დამაჯერებელი ტონით დაიწყებს ლაპარაკს იმაზე, რომ კონკრეტული მაღაზია მოგების მარჟას თვითონ აწესებს და ფასის სხვაობა ამიტომ არის, არანაკლებ დამაჯერებელი ტონით ვუპასუხებთ, რომ, როცა სახელმწიფო აფინანსებს კონკრეტულ პროდუქტს და შემომტანს ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებიდან უხდის თანხას, ვალდებულია, ისიც გააკონტროლოს, რომ აბსოლუტურად ყველა მაღაზიამ ეს კონკრეტული პროდუქტი გაყიდოს ერთსა და იმავე ფასში, შეთანხმდნენ მოგების ერთიან მარჟაზე და დაადონ ერთნაირი ფასი.** სხვაგვარად რა გამოდის — **სახელმწიფო ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებიდან ცალკე იხდის სუბსიდიას და მაღაზიაც ცალკე გვახევს ფულს საკუთარი მარჟის დასაკმაყოფილებლად?!** და სად არის ჩემი, როგორც მომხმარებლის, უფლებები დაცული? ჩვენ, რიგითი ადამიანები, ხომ ორმაგად ვზარალდებით, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ ფულის, პრაქტიკულად, უაზროდ განიავებით და მეორე მხრივ, ჩვენ მიერ ძვირად ნაყიდი პროდუქტის გამო?!

ანალოგიურის თქმა შეიძლება 51-ლარიან ტომარა ფქვილზე. **ბატონებო, გაიკეთეთ პირბადეები და ფარები, ასე ვერ გიცნობენ და შემოიარეთ მაღაზიები, განსაკუთრებით რეგიონებში, ნახეთ, რა ღირს თქვენ მიერ სუბსიდირებული პროდუქტი და მიხვდებით, რომ ფულს წყალში ყრით.** ეს ჩვენი გადმოსახედიდან, თორემ შესაძლოა, თქვენი გადმოსახედიდან სხვაგვარად იყოს — ეს ფული წყალში კი არ იყრება, კონკრეტული ადამიანების ჯიბეში მიდის მშვიდად და ნარნარად. კანონის მიღება არ ნიშნავს იმას, რომ ფურცელზე იყოს რაღაც დაწერილი, კანონს აღსრულება სჭირდება და კონტროლი. სხვაგვარად ყველაფერი იმ მამალს ემსგავსება, დილით რომ იყივლებს და ფიქრობს: გინდ გათენდეს, გინდა არა, მე ხომ ვიყივლეო.

**ბატონებო, გაიკეთეთ პირბადეები და ფარები, ასე ვერ გიცნობენ და შემოიარეთ მაღაზიები, განსაკუთრებით რეგიონებში, ნახეთ, რა ღირს თქვენ მიერ სუბსიდირებული პროდუქტი და მიხვდებით, რომ ფულს წყალში ყრით. ეს ჩვენი გადმოსახედიდან, თორემ შესაძლოა, თქვენი გადმოსახედიდან სხვაგვარად იყოს — ეს ფული წყალში კი არ იყრება, კონკრეტული ადამიანების ჯიბეში მიდის მშვიდად და ნარნარად**

ამ ყველაფერს ცუდი სუნი, იცით, რატომ უდის? რეგიონებში მილიონობით ლარის ღირებულების პროდუქტი დარიგდა. ადგილობრივი თვითმმართველობების პირველმა პირებმა ბიუჯეტში გამონახეს სახსრები და სოციალურად დაუცველ ოჯახებს, შშმ პირებსა და, საზოგადოდ, გაჭირვებულ ადამიანებს ერთი კვირის თუ ათი დღის სამყოფი პროდუქტი დაურიგეს. ჰოდა, კულუარებში ამბობენ, ეს პროდუქტები ერთი იმპორტიორისგან შეიძინეს, რადგან ზემოდან იყო ასეთი მითითებაო.

ჰო, სანამ კანონის ძალით დაგველაპარაკებით და აგვიხსნით, რომ პროდუქტების შესყიდვა ისე ვერ მოხდებოდა, თუ მუნიციპალიტეტებს არ ექნებოდათ, სულ ცოტა, სამი კომპანიის ფასები და იქიდან უნდა აერჩიათ ყველაზე იაფი, გეტყვით, რომ ეს „კანონი“ ყველა მუნიციპალიტეტმა დაიცვა, სამ-სამი „ინვოისი“ ყველამ იშოვა, მაგრამ ზოგან წიწიბურა ღირდა ძვირი, ზოგან ფქვილი იყო იაფი და საბოლოოდ, მუნიციპალიტეტების 90-მა პროცენტმა ერთი და იგივე



არჩევანი გააკეთა. დასავლეთში ერთი კომპანია იყო, აღმოსავლეთში — მეორე და ასე მშვიდად წავიდა ბიუჯეტის ფული კონკრეტული შემომტანების ჯიბეში ბითუმად. მთავარი კი ის არის, რომ **მოქალაქეებმა, ათასობით და ათიათასობით ოჯახმა მართლა მიიღეს პროდუქტი, თანაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს ყველაფერი ზედმეტი კითხვების გარეშე, უფრო ლამაზად რომ გაკეთებულიყო, არ იქნებოდა ურიგო.** ისიც ვთქვათ, რომ ჯიბეზე ხელი დეპუტატებმაც გაიკრეს და პროდუქტები მათაც დაარიგეს. თანაც, დეპუტატებს არანაირი ვალდებულება არ ჰქონდათ, ფასები ვინმესთან შეედარებინათ ან შეეთანხმებინათ, მაგრამ **ჰოი, საოცრებავ, მათმა უმრავლესობამაც არჩევანი სწორედ იმ ყბადაღებულ კომპანიებზე გააკეთა. რა თქმა უნდა, შემთხვევით მოხდებოდა ეს, თორემ შეთქმულების თეორიის დაჯერება და იმის თქმა, რომ ვიღაცამ ასეთი მითითება გასცა, როგორ შეიძლება?!**

ისევ იმ ცხრა პროდუქტს დავუბრუნდეთ, რომლებზეც ხელისუფლებამ ფასების შენარჩუნების პირობა დადო. **იცით თუ არა, ბატონებო, რომ ყველაზე მეტად სწორედ ის 9 პროდუქტი გაძვირდა, თორემ, მაგალითად, ხორცი გაიაფდა. თან გაყინული და შემოტანილი ხორცი კი არა, ადგილობრივი წარმოების, ჩვენი, ეროვნული ხორცი.** გაიაფდა მწვანილი (სეზონიაო, იტყვით), გაიაფდა თევზეული, ანუ გაიაფდა თითქმის ყველაფერი, რაშიც სახელმწიფო ფულს არ იხდის. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად მოსახლეობა არ აჰყვა პანიკას და მშვიდად განაგრძო ცხოვრება. **პანიკას არც იმპორტიორები აჰყვნენ, მათ, უბრალოდ, იფიქრეს, რომ ჩვენი და სახელმწიფოს ხარჯზე „დიდი მაყუთის“ გაკეთება შეიძლებოდა და აკეთებენ კიდეც. სახელმწიფო კიდევ ამ ყველაფერს რომ არ აკონტროლებს, ეგ იწვევს ეჭვის საფუძველს, თორემ საღამოს ბაზარზე ერთ კონა მწვანილს 10 თეთრად რომ გეხვეწებიან, მაგას სახელმწიფოს კონტროლი და სუბსიდია არ სჭირდება.**

მოკლედ, **ხელისუფლებამ ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე განულებული ავტორიტეტი მაქსიმუმამდე ასწია, შემდეგ კი, თავისივე დაწესებული რეგულაციები რომ ვერ გააკონტროლა, მიღებული კანონები რომ ვერ აღასრულა, ვერ უზრუნველყო, კანონი ყველასთვის კანონი ყოფილიყო, კვლავ შეერყა რეპუტაცია და ნელ-ნელა იმავე ნიშნულს უბრუნდება, რომელზეც საქართველოში ყველა ხელისუფლება არის ხოლმე.** არადა, ერთი შეხედვით გამოსავალია მარტივია, ხომ ნათლად გამოჩნდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს კანონის აღსრულებას, კანონმორჩილი მოქალაქეების რაოდენობა ძალიან დიდია და ხელისუფლებას აქვს შანსი, წესრიგი ერთხელ და სამუდამოდ დაამყაროს, მაგრამ არა — კანონებსა და, შესაბამისად, სახელმწიფოებრიობას ვიწრო ინტერესები გადასძალავს ხოლმე და რამდენიმე ადამიანის კეთილდღეობას ხშირად ვაყოლებთ იმას, რასაც დიდი შრომის ფასად მივაღწევთ ხოლმე. ასეა ამჯერადაც — **ქაღალდზე დაწერილი კანონი სულ უფრო ემსგავსება იმ დეფიციტურ ტუალეტის ქაღალდს, რომელიც ჩვენთან მაინც იშოვება.** როგორც ტუალეტის ქაღალდზე დაწერილს, ისე უყურებს ადამიანთა გარკვეული კატეგორია კანონებს და დანიშნულებისამებრ იყენებს. ჩვენ კი, რიგითი მოკვდავები, მაქსიმალურად ვცდილობთ, წესები დავიცვათ და...

ჩვენი გადახდილი გადასახადებით ორმაგად ხეირობენ ისინი, ვინც კულისებს მიღმა დგას და ძაფებს ძალუმად ექაჩება.

**ბესო ბარბაქაძე**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იმ პირობებში, როცა ქვეყანა ხელისუფლებების არასახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგად მიერთებულია რიგ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა თანახმადაც აღებული გვაქვს არაერთი ჩვენთვის მავნე ვალდებულება, მათ შორის მსოფლიო ბანკის, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წინაშე და ა.შ., ცხადია, ძალიან რთულია საუბარი რაღაც რეგულაციებზე ადგილობრივი წარმოების ხელშესაწყობად“.**



*ნიკოლოზ მჟავანაძე:*

# ამ მავნე ეკონომიკური პოლიტიკის ავტორები დღეს გამოდიან და აცხადებენ, რომ თურმე ჩვენ იდეალური ეკონომიკური გარემო გვაქვს, მათ შორის საშუალო ფენის განვითარებისთვის

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ სამთავრობო გუნდთან ერთად 1 მაისს გამართულ ანტიკრიზისული გეგმის პრეზენტაციაზე მსოფლიოში ახალი პანდემიის ფონზე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მმართველი გუნდის პოსტკრიზისული გეგმა მომავალში ეკონომიკის „ამოქოქვისა და კვლავ პოზიტიურ ტრაექტორიაზე დაბრუნების რეალური სტრატეგიაა“. მისი თქმით, აღნიშნული გეგმა ჯერ ბოლომდე დამუშავებული არ არის, მაგრამ დღევანდელი გლობალური მოცემულობით აშკარაა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივ წარმოებასა და მისი განვითარების ხელშეწყობას უნდა დაეთმოს: „ახლა განსაკუთრებით ვხედავთ, რა მნიშვნელოვანია, საკუთარი რესურსი განვითარებული გქონდეს, საკუთარი საქონლით მაქსიმალურად უზრუნველყო საკუთარი საჭიროება და ბაზარი. ჩვენ გვაქვს ამის პოტენციალი სოფლის მეურნეობაში, როგორიცაა თევზჭერა და რძის პროდუქტების წარმოება, ბოსტნეულის წარმოება, ხორცი, მარცვლეული, ზეთი და ბევრი სხვა მიმართულება“.**

## ყველაზე რეალური გამოსავალი, ალბათ, გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი კრედიტების ლარში გაცემაა

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს სამშენებლო მასალების წარმოების თვალსაზრისითაც. მისი განმარტებით, ეს ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს ერთ მიზანს — ქვეყანა სრულად არ იყოს დამოკიდებული საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე; მით უფრო მაშინ, როცა მსოფლიოში უმსხვილესი მწარმოებლები უკვე საუბრობენ რიგი მიმართულებებით ექსპორტის კვოტირების აუცილებლობაზე.

**ცნობისთვის:** არც ისე დიდი ხნის წინათ ნათია თურნავა მედიასთან აცხადებდა, რომ ქვეყნისთვის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მიმართულება ტურიზმი უნდა ყოფილიყო. მეტიც, ის ამბობდა, რომ მოხარული იქნებოდა, თუ ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის სამინისტრო დაერქმეოდა, მაგრამ მსოფლიო პანდემიამ ცხადყო, რომ ტურიზმი არ არის და ვერც იქნება სახელმწიფოს ეკონომიკური მდგრადობის გარანტი...

არის დამაიმედებელი მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმა და შეძლებს თუ არა ადგილობრივი წარმოებისთვის ხელშეწყობას მმართველი გუნდი, რომლის ეკონომიკური პოლიტიკაც წლების განმავლობაში ეფუძნებოდა თავსმოხვეულ ე.წ. თავისუფალი ბაზრის „ლიბერალურ“ პრინციპებს?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**

**— ბატონო ნოკოლოზ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ, რომელსაც არც ისე დიდი ხნის წინათ ჩვენი ეკონომიკის მთავარ სტიმულატორად ტურიზმი მიაჩნდა, განაცხადა, რომ პანდემიის ფონზე ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობისა და განვითარების აუცილებლობა დაინახა. მისი თქმით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქვეყანა იმპორტზე არ იყოს დამოკიდებული... აქვს დღევანდელ მთავრობას ამისთვის საკმარისი რესურსი და, რაც მთავარია, იძლევა კი მისი ეკონომიკური პოლიტიკა ადგილობრივი წარმოების განვითარების შესაძლებლობას?**

— დღევანდელ სამთავრობო გუნდში, სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდიდან მოყოლებული სათავეში ედგნენ მავნე ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის შედეგად, პრაქტიკულად, განადგურდა ადგილობრივი წარმოება. მათი მიდგომები ეფუძნებოდა ე.წ. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, რომლებიც თავისუფალ კონკურენციას აცხადებდა და ამ პირობებში ჩვენს პროდუქციას, მათ შორის ადგილობრივ ბაზარზეც, ბუნებრივია, იმპორტირებული საქონელი ჯაბნიდა.

რაც შეეხება შეკითხვას, იძლევა თუ არა დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა წარმოების განვითარების შესაძლებლობას, სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი ამ თვალსაზრისით არ მაქვს, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, **ჩვენ დღეს სრულიად დამოკიდებულნი ვართ მსოფლიო ბანკის დირექტივებზე. რასაც იქიდან გვიკარნახებენ, ესენი უსიტყვოდ ასრულებენ, ანუ ჩვენი ქვეყანა არის სხვების მძევალი და ესენი, ხელისუფლებას ვგულისხმობ, გადაწყვეტილებას ვერ იღებენ.** სხვათა შორის, თავის დროზე **ქართული წარმოებისთვის მომაკვდინებელი დარტყმა იყო თურქეთთან და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, რომელსაც ხელი მოაწერა იმჟამინდელმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა.** ამის შემდეგ დაიწყო დაღმასვლა მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც, რაც ბუნებრივი იყო. საქართველოს, თავისი მასშტაბით, ცხადია, არ შეუძლია, კონკურენცია გაუწიოს თურქეთის და, მით უმეტეს, ჩინეთი წარმოებას. ახლა გამოსავალი რა არის? პირველი **— ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს ის მავნე ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მსოფლიოში უმსხვილეს მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს, მიზერული დაბეგვრით შემოიტანონ აქ თავიანთი პროდუქცია.** აუცილებელია, გარკვეული საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც იმპორტირებულ საქონელს არ მისცემს საშუალებას, ადგილობრივ ბაზარზე შემაციროს ფასები და ამით მოახდინოს ბაზრის მონოპოლიზაცია. თუმცა პარალელურად, რა თქმა უნდა, აუცილებელია სუბსიდიებიც, ვთქვათ, სოფლის მეურნეობაში და არა მხოლოდ.

**— კონკრეტულად როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი?**

— საქართველოს შემთხვევაში ყველაზე რეალური გამოსავალი, ალბათ, გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი კრედიტების ლარში გაცემაა, ეს დიდ შვებას მისცემდა განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას. ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ინფლაციის ფონზე მწარმოებელი თავს გრძნობდეს უფრო დაცულად და მის მიერ სესხად აღებული თანხის საპროცენტო განაკვეთი არ იყოს დამოკიდებული უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებაზე. ეს არ არის მარტივად გადასაწყვეტი საკითხი, უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება არსებობდეს, რომლებზეც ეკონომიკის სპეციალისტებმა უნდა იმუშაონ, მაგრამ იდეაში ყველაზე რეალური და ხელშესახები გეგმა, ალბათ, ეს არის.

რაც შეეხება დარგს, რომელზეც დღეს აქცენტი კეთდება, სოფლის მეურნეობა ამ ვითარებაში არის განსაკუთრებული მიმართულება ორი მიზეზის გამო: პირველი — გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე მსოფლიო სერიოზული სასურსათო დეფიციტის წინაშე დგება და მეორე იმიტომ, რომ საქართველო, თავის გეოგრაფიული მდებარეობიდან, რესურსებიდან და პოტენციალიდან გამომდინარე, ტიპური აგრარული ქვეყანაა, ამიტომ ჩვენთან ეკონომიკური სტაბილურობისთვის აუცილებელია, რომ ადგილობრივ ბაზარზე პრივილეგია ჰქონდეს ადგილზევე წარმოებულ სურსათს. მაგრამ **იმ პირობებში, როცა ქვეყანა ხელისუფლებების არასახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგად მიერთებულია რიგ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა თანახმადაც, აღებული გვაქვს არაერთი ჩვენთვის მავნე ვალდებულება, მათ შორის მსოფლიო ბანკის, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წინაშე და ა.შ., ცხადია, ძალიან რთულია საუბარი რაღაც რეგულაციებზე ადგილობრივი წარმოების ხელშესაწყობად.**

**— გამოდის, მაინც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ის გლობალური გარდაქმნები, რომლებიც პანდემიის ფონზე მსოფლიო ეკონომიკაში ხორციელდება, ჩვენს ხელისუფლებაზე არ იქონიებს გავლენას?**

— ეკონომიკისა და წარმოების ნაციონალიზაცია ძალიან რთული და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელსაც სჭირდება მოტივირებული ხელისუფლება. სხვათა შორის, ამის მაგალითია დღევანდელი რუსეთი, რომელმაც დასავლეთის მიერ დაწესებული მრავალწლიანი სანქციების ფონზე წარმატებით განავითარა ადგილობრივი წარმოება.

კარგია, რომ საქართველოშიც დაიწყეს საუბარი ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებაზე და ა.შ., მაგრამ ერთია განცხადებები და მეორე — პრაქტიკულად რა გაკეთდება. მგონია, რომ ეს ყველაფერი არის ცრუ ფაციფუცი, რომელიც განპირობებულია პოლიტიკური კონიუქტურით. მორჩა, ამის იქით ესენი არ წავლენ და ვერც წავლენ, იმიტომ, რომ **მთავრობა, რომელიც მთავარ ეკონომიკურ გათვლას აკეთებს ტურიზმზე და მინისტრი გახარებული ამბობს, ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის სამინისტრო უნდა დაერქვასო, არ მგონია, მოტივირებული იყოს წარმოების განვითარებაზე.**

სხვათა შორის, ამ ე.წ. გრანტებზეც მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა, რომელიც ვითომ სოფლის მეურნეობის ხელშეწყობასა და განვითარებაზეა გათვლილი: ეს გრანტები, ძირითადად, გაიცემა ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე ან მათთან დაახლოებულ პირებზე. ე.ი., ბიუჯეტიდან დაბალპროცენტიანი სესხების სახით გაედინება ფული და ამ პროგრამით თვითონვე ხეირობენ...

**— გინდათ, თქვათ, რომ ეს ყველაფერი ერთგვარი კორუფციული სქემით ხდება?**

— რა თქმა უნდა. მაგალითად, კვირიკაშვილის პრემიერობის პერიოდში იმერეთში **მამუკა ხაზარაძეს** გააკეთებინეს უზარმაზარი სათბურები. სხვებზე არაფერს ვამბობ, ანუ სახელმწიფოს ხელშეწყობით რომ გესარგებლა, უნდა ყოფილიყავი ხელისუფლებასთან დაახლოებული. აი, ეს იყო მათი მიდგომა და ბუნებრივია, ამით საშუალო ფენა სარგებელს ვერ ნახულობს. ხეირობენ დეპუტატები, მინისტრები, მათი ოჯახის წევრები, მეგობრები და ა.შ. **რეალურ მხარდაჭერას რაც შეეხება, აგერ მოსაზღვრე აზერბაიჯანია იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება დაეხმარო საკუთარ ხალხს მათ შორის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რათა გააძლიერო და ფეხი მოაკიდებინო...**

**— რას გულისხმობთ?**

— უკვე დიდი ხანია, აზერბაიჯანი დაბალპროცენტიან სესხებს აძლევს ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს და ეხმარება მათ მიწის დამუშავებაში. სხვათა შორის, იმავეს აკეთებს თურქეთიც აჭარაში. ჩვენთან კი საშუალო ფენა იხრჩობა ბანკის ვალებში, სესხების უმეტესობა გაიცემა დოლარში და, თუ ვინმემ რამე სცადა, იმხელა ვალი დაედო, რომ სახლი გაუხდა გასაყიდი... **აი, ეს მოგვიტანა ჩვენ ამ მავნე ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომლის ავტორებიც დღეს გამოდიან და აცხადებენ, რომ თურმე ჩვენ იდეალური ეკონიმიკური გარემო გვაქვს, მათ შორის საშუალო ფენის განვითარებისთვის.** გლეხი განვითარებული და წელში გამართული იყო მაშინ, როცა მის ნაშრომს ფასი ჰქონდა და მისი პროდუქტები საღდებოდა უპრობლემოდ. ისე, ხელშეწყობაზე რომ საუბრობენ, სოფლებია აღმოსავლეთ საქართველოში, მაგალითად საგურამო, ახალსოფელი, კოტორაანთკარი, მუხრანი და სხვები, რომლებშიც წყალი არ არის და ზაფხულში გვალვების პერიოდში ხალხს მოსავალი უხმება. რა სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს ასეთ დროს ან რა წარმოებაზეა საუბარი?! **ფულის კეთება და კორუფციაა გაქანებული, გლეხი ვის აინტერესებს?!**

**— დასაწყისში თქვით, რომ ხელისუფლებას პოლიტიკური ნება არ აქვს ადგილობრივი წარმოების ხელშესაწყობადო. ასეთ ვითარებაში რა პერსპექტივა არსებობს?**

— პერსპექტივა, ალბათ, არის ერთადერთი — უნდა შეიცვალოს პოლიტიკური მიდგომები. ეს ეხება არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ მთლიანად სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, იმიტომ, რომ ეკონომიკა ვერ იქნება ერთადერთი გამონაკლისი, როცა მთლიანად სისტემაა ამორფული. ისე, სიმართლე გითხრათ, არ ველოდები, რომ არსებული ხელისუფლების პირობებში ცვლილებები მოხდება. თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, ესენი არიან გარკვეული გარე ძალების მძევლები, ხელმძღვანელობენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტივებით, მათი რჩევებითა და მითითებებით და ძალიან საეჭვოა, გარე დირექტივები ოდესმე დაემთხვეს ჩვენს ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**განსხვავებული აზრისა და ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ, როგორც ყოველთვის, საქართველოში მოქმედი სოროსული ორგანიზაციები გამოვიდნენ. ამ შემთხვევაში „თავი გამოიჩინა“ ეგრეთ წოდებულმა საერთაშორისო საზოგადოებამ სამართლიანი არჩევნებისთვის და დემოკრატიისთვის [ISFED]. ამ ორგანიზაციამ ღიად გაილაშქრა სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ და აზრის გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებით „დაასაბუთა“.**

ლიბერალური დემოკრატია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სოროსელებო, «ნიუსფრონტის» «ფეისბუქ»-ანგარიშების გაუქმება ვერ გიშველით, სიმართლე გაიმარჯვებს!

**ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც სოცქსელ „ფეისბუკის“ ადმინისტრაციამ დაიწყო საინფორმაციო სააგენტო News Front-ის ანგარიშების დაბლოკვა. პერიოდულად იბლოკებოდა საერთაშორისო სააგენტოს სხვადასხვაენოვანი საიტები, მაგრამ 30 აპრილს განხორციელებულმა ანტიდემოკრატიულმა შეზღუდვებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.**



განსხვავებული აზრისა და ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ, როგორც ყოველთვის, საქართველოში მოქმედი სოროსული ორგანიზაციები გამოვიდნენ. ამ შემთხვევაში, „თავი გამოიჩინა“ ეგრეთ წოდებულმა „საერთაშორისო საზოგადოებამ სამართლიანი არჩევნებისთვის და დემოკრატიისთვის“ (ISFED). ამ ორგანიზაციამ ღიად გაილაშქრა სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ და აზრის გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებით „დაასაბუთა“.

ISFED -მა მოითხოვა „ნიუსფრონტთან“ ერთად კიდევ 13 ოფიციალური გვერდის, 35 გაერთიანებისა და დაახლოებით 50 პირადი საალრიცხვო ანგარიშის გაუქმება. სოროსული ორგანიზაცია თვითონვე ადასტურებს, რომ მისი წევრები 2019 წლის ნოემბრიდან არიან ჩასაფრებულნი და ეძებენ „ნიუსფრონტის“ მიერ ჩადენილ დარღვევებს. საბოლოო ჯამში, მათ „ფეისბუკის“ ადმინისტრაციას მიმართეს, რომ სააგენტოს გვერდი დაბლოკილიყო ანტიდასავლური პუბლიკაციების გამო. სოროსული ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **მიხეილ ბენიძემ** წაიტრაბახა, რომ მან გააუქმებინა „ნიუსფრონტის“ გვერდები სოციალურ ქსელში.

**„ჩვენ რამდენიმე თვის განმალობაში ვადევნებდით თვალს ქართული „ნიუსფრონტის“ საინფორმაციო ოპერაციებს და ჩვენი დასკვნები „ფეისბუკს“ წინა კვირაში გავუზიარეთ“,** — განაცხადა ბენიძემ თავის „ტვიტერის“ ანგარიშში.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს დამაქცევარი **ჯორჯ სოროსის** ფონდმა ISFED-ს 2004 წელს დაუმტკიცა პირველი გრანტი 300 ათასი დოლარის ოდენობით — „რევოლუციურ“ პირობებში ჩატარებული არჩევნების გასაკონტროლებლად. აგრესიული ახალგაზრდული მოძრაობა „კმარა“, რომელიც რადიკალი ანტიმართლმადიდებელი სოროსელებისგან შედგებოდა, სწორედ ISFED-თან ერთად მოქმედებდა. აი სააკაშვილის რეჟიმის ეს გადმონაშთი ებრძვის თავისუფალ მასმედიას. ISFED-ს, სოროსის ფონდთან ერთად, ნიდერლანდების საელჩო, აშშ-ის განვითარების სააგენტო და სხვა სახელმწიფოების საელჩოები და სააგენტოები აფინანსებენ. შესაბამისად, ეს ორგანიზაცია საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ მუშაობს და ახორციელებს საკუთარი დამკვეთების პოლიტიკურ ნებას, მაგრამ „ნიუსფრონტი“, მიუხედავად ასეთი არათანაბარი ძალებისა, როდესაც თავისუფალი სიტყვის მოწინააღმდეგეებს ამდენი დონორი ჰყავთ, ჩვენ კი ენთუზიაზმზე ვმუშაობთ, თავის სათქმელს მაინც იტყვის — მათ შორის, „ფეისბუკის“ გამოყენებით. რედაქცია მოუწოდებს ყველა მკითხველს, ნებისმიერი ნიუსი, რომლებიც მათ დააინტერესებთ, გაავრცელონ თავიანთი პირადი „ფეისბუკ“-ანგარიშებისა და ჯგუფების მეშვეობით.

სოროსელები ხალხს ვერ დაუმალავენ მართალ სიტყვას, ეს ტრიუკი არ გაგივათ, სიმართლე გაიმარჯვებს!

**გულბაათ რცხილაძე**

**P.S.** ერთ-ერთი მიშისტური ტელეარხის წარმომადგენელმა დამირეკა, „ნიუსფრონტის“ „ფეისბუკ“-გვერდის დახურჩვაზე სურდა კომენტარი და წამოვაცდენინე, რომ ეს თურმე აქედან მიცემული ნაკოლია, ე. წ. ISDF რაღაც გაუგებარი ორგანიზაცია რომ აქვთ ლიბერასტებს და განსხვავებულ აზრს დასდევენ სოციალურ ქსელებში. სხვათა შორის, კონსტანტინე ჩიკვილაძეს ერჩიან ფრიად და დააბლოკინეს მისი ანგარიშები. არგუმენტი არ აქვთ, გვეძახიან „კრემლისტურს“. ჯერ ერთი, კრემლი როდის მერეა ტერორისტული ორგანიზაცია, რომ აკრძალონ მისი სახელით აზრის გამოხატვა; მეორეც — მე რომ „კრემლისტური“ ვიყო, ამათ „ფეისბუკიდან“ არ დავუწყებდი ჩალიჩს, ორი ბატალიონი მეყოფოდა საქმის დასამთავრებლად.

კიდევ ვიმეორებ: არ მაქვს პრობლემა, არ მაქვს ინფორმაციის გავრცელების პრობლემა, მაგრამ ამ სინდისგარეცხილების ჯიბრზე მაინც მინდა იმ გვერდის აღდგენა, თუკი გამოვა. ამიტომ მეგობრებს მოგიწოდებთ, მისწეროთ „ფეისბუკს“. მარჯვნივ, ზევით, კითხვის ნიშანი სადაც ჩანს თქვენთან, აკრიფეთ: Быстрая помощь — Сообщить о проблеме — Что-то не работает — Страница... და ჩაუწერეთ: Требуем свободу слова! Восстановите страничку агентства NewsFront-Georgia!

გმადლობთ! https://ge.news-front.info/

**კორონავირუსის საფრთხის არაჯეროვანმა შეფასებამ საწყის ეტაპზე, შემდეგ კი ამ საფრთხით გამოწვეულმა ფსიქოზმა მსოფლიო არია. ამ უკიდურესად უარყოფით მოვლენაში, სიმართლე უნდა ითქვას, ზოგი დადებითი მომენტიც გამოვლინდა — საშუალება მოგვეცა, გადავაფასოთ ბევრი რამ, უარი ვთქვათ ზედმეტობაზე, დავუბრუნდეთ ჩვენს ფესვებს, სოფელს, ბუნებას, ოჯახებს... მთავარია, ეს საშუალება გამოვიყენოთ.**

# 9 მაისს საზეიმო განწყობით უნდა შევხვდეთ



ახლოვდება 9 მაისი, ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული, რომელსაც დიდი სამამულო ომის ვეტერანები ყოველთვის განსაკუთრებული ემოციებით ელიან, მაგრამ წელს ეს დიდი თარიღი საკარანტინო შეზღუდვების პერიოდში მოხვდა. არ ფუნქციონირებს საქალაქო ტრანსპორტი, აკრძალულია ქალაქებს შორის მიმოსვლა, ასევე აკრძალულია ერთდროულად სამ ადამიანზე მეტის შეკრება. ამიტომ, წელს, სამწუხაროდ, ვერ გაიმართება **„საქართველოს უკვდავი ჯარის“** მსვლელობა, როგორც შარშან.

მაგრამ აკრძალული არ და ვერ იქნება ჩვენი საზეიმო განწყობა, რომელიც არა მხოლოდ ვეტერანებს დაეუფლებათ, თუმცა, რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში ისინი არიან და ასეც უნდა იყოს.

მოხარული ვარ, ვაცნობო საზოგადოებასა და პატივცემულ ვეტერანებს, რომ, როგორც საქართველოს ხელისუფლება, ისე უცხოეთის ზოგიერთი დიპლომატიური წარმომადგენლობა, განაგრძობენ დიდი სამამულო ომის ცოცხალი მონაწილეებისადმი ყურადღების გამოჩენას და მათ, სიტყვიერ მილოცვებთან ერთად, წელსაც დაეხმარებიან მატერიალურად.

**საქართველოში რუსეთის ინტერესების წარმომადგენლობიდან (სექციიდან), რომელიც რუსეთის ყოფილი საელჩოს შენობაშია განლაგებული, მაცნობეს, რომ რუსეთის მთავრობა ქართველ ვეტერანებს მიმდინარე წელსაც გაუწევს ერთჯერად ფულად დახმარებას. თითოეულ პიროვნებაზე 200 ლარია გამოყოფილი.**

თანხის მისაღებად ვეტერანებმა სექციის ხელმძღვანელს, ბატონ **ევგენი ივანეს ძე კონიშევს** უნდა გაუგზავნონ განცხადება, რომელსაც დაურთავენ ვეტერანის მოწმობის ასლს და თავიანთი საბანკო (საპენსიო) ანგარიშის ნომერს. ამ განცხადებას ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ბატონი **ტიტე ლეფსაია** ან მე, თქვენი მონა-მორჩილი, ჩავიბარებთ და გადავცემთ ბატონ კონიშევს.

მინდა, გულითადად მივულოცო ყველა ვეტერანსა და არავეტერანს 9 მაისის დღესასწაული.

მსურს, თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვეხმაურო შესანიშნავ პიროვნებას, ვეტერანს, ბატონ **შოთა ბუაძეს,** რომელიც დიდ სამამულო ომში კავკასიის მისადგომებს იცავდა და ჩვენი რეგიონიდან ფაშისტების ალაგმვაში აქტიურად მონაწილეობდა. ვუსურვებ, კიდევ მრავალ წელს იყოს ჩვენთან ერთად და იმედი მოგვცეს, რომ ბოროტებაზე სიკეთე გაიმარჯვებს!

პატივისცემით,
**გულბაათ რცხილაძე**



**რუსეთის მთავრობა ქართველ ვეტერანებს მიმდინარე წელსაც გაუწევს ერთჯერად ფულად დახმარებას. თითოეულ პიროვნებაზე 200 ლარია გამოყოფილი**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**7400-მა ქართველმა ახალგაზრდამ, სამხედრო მფრინავმა, რკინის ფრთები გამოისხა და ჩადგა სტალინის შევარდნების რიგებში, რომელთა გმირობაც განაცვიფრებდა არა მხოლოდ საბჭოთა მეომრებს, არამედ მსოფლიოში სახელგანთქმულ ასებსაც. 1941 წლის 27 ივნისიდან, 1942 წლის აპრილამდე მტერთან პირისპირ დადგა 354 332 ქართველი ახალგაზრდა. მათ უმრავლესობას შეადგენდნენ კომკავშირელები და სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელთა ნაწილიც წვრთნას გადიოდა სადივერსანტო, საპარაშუტო სწრაფი მოქმედების ბატალიონებში საბრძოლველად.**

# საქართველო დიდ სამამულო ომში

**რა წამს ომის ხმა გაისმა,
როგორც ძმამ ძმისა მშველელმა,
მთამ მთას გასძახა სალაშქროდ,
ველებს გასძახეს ველებმა.**

**მრავალომგადახდილმა ქართველმა ხალხმა მთაბარი შეძრა მომხვდური მტრისთვის საკადრისი პასუხის გასაცემად — ქუდზე კაცისა და ლეჩაქზე დედაკაცის გამოსასვლელად ბრძოლის ველზე. მსოფლიოს აოცებდა ქართველი ჯადოქრის, მოსე თოიძის მიერ შექმნილი მხატვრული ტილო, რომელზეც ლეჩაქშემოხვეული ქალი ხალხებს დედასამშობლოს დასაცავად მოუწოდებდა.**

პირველივე დაძახებაზე, 1941 წლის 27 ივნისის ბრძანებულების თანახმად, საქართველოდან სამხედრო ნაწილებს მიაშურა **6183**-მა უფროსმა და საშუალო წოდების ოფიცერმა, **7026**-მა უმცროსმა მეთაურმა. სულ კი ომის პირველივე დღეებში საქართველოში მცხოვრებმა **78 385**-მა სრულწლოვანმა ადამიანმა თოფი აიღო ხელში და ფრონტის წინა ხაზზე გავიდა. ქართველ ვაჟკაცებს არც ქართველი ქალები ჩამორჩნენ და **1206**-მა გულანთებულმა ახალგაზრდა ქალმა (უფრო მეტად ექიმებმა და უფროსმა მედდებმა) გამოიჩინა ინიციატივა და ბრძოლის ველზე ტყვიების წვიმაში გავიდა მებრძოლთა დასახმარებლად.

**7400**-მა ქართველმა ახალგაზრდამ, სამხედრო მფრინავმა, რკინის ფრთები გამოისხა და ჩადგა სტალინის შევარდნების რიგებში, რომელთა გმირობაც განაცვიფრებდა არა მხოლოდ საბჭოთა მეომრებს, არამედ მსოფლიოში სახელგანთქმულ ასებსაც.

1941 წლის 27 ივნისიდან, 1942 წლის აპრილამდე მტერთან პირისპირ დადგა **354 332** ქართველი ახალგაზრდა, მათ უმრავლესობას შეადგენდნენ კომკავშირელები და სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელთა ნაწილიც წვრთნას გადიოდა სადივერსანტო, საპარაშუტო სწრაფი მოქმედების ბატალიონებში საბრძოლველად.

**თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალური დადგენილებით, საქართველოში შეიქმნა რამდენიმე მსროლელი და სამთო-მსროლელი დივიზიები, აგრეთვე, ალპინისტთა 12 ჯგუფი, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი გაიღეს კავკასიის დაცვის საქმეში.**

ჰაერსაწინააღმდეგო ქვედანაყოფებში სამუშაოდ 1942 წელს საქართველოში მობილიზებულ იქნა 19-დან 30 წლამდე 4500 ქალი, ხოლო 2700 გოგონა გაიგზავნა მძღოლის პროფესიის დასაუფლებლად. **როცა საქართველოდან ქალების მასობრივი მობილიზაციის ამბავმა სტალინის ყურამდე მიაღწია, მან ქართული გენოფონდის განადგურების თავიდან ასაცილებლად სპეციალური ზესაიდუმლო განკარგულებით ამიერკავკასიის პოლიტსამმართველოს დაავალა, ეს ქალები 8 საათის განმავლობაში უკან დაებრუნებინა. აღნიშნული განკარგულება კატეგორიულად კრძალავდა საქართველოდან ქალების გაწვევას სამხედრო სამსახურში. ნაბრძანები იყო, ყველა სარკინიგზო სადგურსა და პლატფორმაზე, სადაც სამხედრო შემადგენლობა უნდა გაჩერებულიყო, შეექმნათ სპეციალური ჯგუფები, რომლებიც არ დაუშვებდნენ ახალგაზრდა ქალების სამხედრო ვაგონებში ასვლას. 1942 წლის 16 აპრილიდან საქართველოდან ქალთა გაწვევა აიკრძალა, ხოლო მამაკაცების გაწვევა 1944 წლამდე გაგრძელდა.**

## თავდაცვის ზღუდეების მშენებლობა

ფაშისტების ვერაგულმა შემოჭრამ დღის წესრიგში დააყენა თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობის საკითხი. მთავარი საფრთხე მტრის შემოჭრისა აფხაზეთიდან იყო მოსალოდნელი, ამიტომ **1941 წლის ბოლო სამ თვეში თავდაცვის ზღუდეებზე დღედაღამ მუშაობდა 3900 ადამიანი, ხოლო ფოთის პორტის გაღრმავების სამუშაოებს ყოველდღიურად ასრულებდა 4200 ადამიანი. ჯავა-ონის გზის გასამაგრებლად 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში 7000 ადამიანი მუშაობდა, საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთზე 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში მხოლოდ დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებიდან — 500-500 კაცი. დარიალის ხეობაში დღესაც ნახავთ უზარმაზარ ლოდებს, რომლებიც შიგნიდან გამოჭრილია და საცეცხლე წერტილებად არის გამოყენებული, ასეთი გამაგრებული საცეცხლე წერტილი ორჯონიკიძიდან ყაზბეგამდე 1500-ია. უდიდესი სამუშაო ჩატარდა ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთზე და რიონის ხეობაში თავდაცვითი ზღუდეების ასაშენებლად.**

ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობას სცილდება კავკასიონის მისადგომებსა და თვით კავკასიონზე მტრის დასახვედრად გაწეული თავდაუზოგავი შრომა. კავკასიონის დამცველთა თავგანწირულმა ბრძოლამ ფაშისტი ურდოების შემოსევისგან იხსნა არა მხოლოდ კავკასიონი, არამედ სსრკ-ის სამხრეთი და ამით მსოფლიო გადაურჩა კატასტროფას.

„ბაქოს ნავთობის გარეშე მტერზე გამარჯვება შეუძლებელია! — გაჰკიოდა ჰიტლერი, — რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავიჭრათ ბაქოსკენ“. სწორედ ბაქოსთან მისასვლელი გზები და ამით სასიცოცხლო ვენები გადაუჭრა **ლავრენტი ბერიამ** კავკასიონზე ჰიტლერს და მოსკოვის შემდეგ მეორე დამარცხება სწორედ კავკასიონზე აგემა ფიურერს. სტალინი კი ბერიას საბრძოლო განწყობას უმაღლებდა და ეუბნებოდა:




„ეს შენ გევალება, ეს შენ უნდა გააკეთო, ბეჩოს (თემი ზემო სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, აერთიანებს 13 სოფელს — გრ. ონიანი) დაცვა ნიშნავს, დაიცვა კრემლი“. მყინვარებში თავდაცვის შეუვალი ციხესიმაგრეების დანახვით გაოცებული **კონსტანტინე ლესელიძე** ზუგდიდში მყოფ ბერიას სწერდა: „სვანების დამარცხება კავკასიონზე შეუძლებელია“. მეორე დღეს ბერია ზუგდიდიდან გაქრა. არავინ იცოდა, სად იყო ფრონტის სარდალი, მხოლოდ გენერალმა ქაქუჩაიამ იცოდა, რომ ოთხი დღის შემდეგ მას ქუთაისში შეხვდებოდა. სამი დღის განმავლობაში ათვალიერებდა კავკასიონის მისადგომებსა და მიუვალ ყინულოვან ციხე-კოშკებს ბერია, გამყოლს კი ეუბნებოდა: **„ადამიანის შესაძლებლობებს საზღვრები არ აქვსო“.**

## საბრძოლო მოქმედებები

ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, მოლდავეთსა და საქვეყნოდ განთქმულ ბრესტის ბრძოლაში ქართველი მეომრები ტოლს არ უდებდნენ ნებისმიერი ქვეყნისა და მომზადების მებრძოლებს. საჰაერო ბრძოლებში სამაგალითო მიღწევებს აჩვენებდნენ ქართველი მფრინავები, რომლებიც იბრძოდნენ დასავლეთის ფრონტზე. ოქროს ასოებით ჩაწერეს ბრძოლების ისტორიაში თავიანთი სახელები **ჭიჭიკო ბენდელიანმა, გიორგი ჯაბადარმა, ალექსანდრე წურწუმიამ** და სხვებმა. საქართველოს ასობით წარმომადგენელი, რომლებიც მონაწილეობდნენ ლენინგრადისთვის გამართულ ბრძოლებში, სიმამაცით გამოირჩეოდნენ, როგორც გმირი ხალხის გმირი შვილები. უკვდავების შარავანდედითაა შემოსილი მფრინავი, იმხანად პოლკოვნიკი, შემდგომ გენერალი **დიმიტრი შანშიაშვილი,** არტილერიის გენერალ-




მოსე თოიძის ნახატი

მაიორი **გიორგი ჯინჭარაძე,** ავიაციის გენერალ-მაიორი **ლავრენტი გოლიაძე,** იმხანად გენერალ-მაიორი და შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი **ვასილ მჟავანაძე,** ვიცე-ადმირალი **გიორგი აბაშვილი,** კონტრ-ადმირალი **ვლადიმერ ლეჟავა** და სხვები. გმირის სიკვდილით აღესრულა ფაშისტებთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში 141-ე მსროლელი დივიზიის სნაიპერი **ვ. პეტრიაშვილი.** მან, პირველმა დიდი სამამულო ომის ისტორიაში, თავისი სხეულით გადაფარა გერმანელთა საცეცხლე წერტილიდან გამოშვერილი ტყვიამფრქვევის ლულა, რომელიც ცელავდა მის პოლკელებს, პეტრიაშვილმა იარაღით ხელში მიმართა თანამებრძოლებს: „სამშობლოსთვის, სტალინისთვის!“ და სხეულით გადაეფარა ამბრაზურას. ამ ისტორიულ შეძახილს შემდგომ პოეტმა ლექსი მიუძღვნა:

**„სამშობლოსათვის,
სტალინისათვის! —
ხალხის ძახილი ცეცხლად
იქცევა,
ასე ძლიერი ხმა მოწოდების
ჯერ არ ყოფილა და
არც იქნება“.**

ქართველი ქავთარაძის გმირობა შემდეგ რატომღაც რუს **მატროსოვს** მიაწერეს.

ლენინგრადისთვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ: მაიორი **სერგო კეთილაძე,** რომელსაც სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. რიგითი **აბუაშვილი, ი. ბურდული, კ. დალაქიშვილი, ი. კორინთელი, კ. შაბურიშვილი** და სხვები. ქართველთა გმირობა და სიმამაცე სწორედ იქ გამოჩნდა განსაკუთრებით, სადაც პირველად დაუზიანა ხერხემალი გორელმა კობამ ჰიტლერს — ეს იყო მოსკოვის მისადგომები.

მოსკოვში სტალინის ღვთაებრივ გენიას მხარს უმშვენებდნენ ქართველი რაინდები. როცა გერმანელი ფაშისტები ათასობით თვითმფრინავით უტევდნენ მოსკოვს, ამ მომენტში საბჭოთა კავშირის დედაქალაქის ცის ქვეშ, წითელ მოედანზე, არნახული სამხედრო აღლუმი მიმდინარეობდა. სწორედ 1941 წლის 7 ნოემბრის საჰაერო შემოტევების პერიოდში ჰიტლერის 2 ათასი თვითმფრინავიდან 220 თავისი ასებით მოსკოვის მიწას დაანარცხეს საბჭოთა მფრინავებმა. ამ დღის გმირი კი სწორედ ქართველი მფრინავი, პოლკოვნიკი (შემდეგ — გენერალ-მაიორი) მიხეილ კიკნაძე გახლდათ.

ფელდმარშალ **ჰაინც ვილჰელმ გუდერიანის** სატანკო არმიას, რომელიც კრემლისკენ მიიწევდა, წინ გადაუდგა მომავალი სამხედრო გენიოსი და მოაზროვნე სტრატეგი, უშიშარი ვითარცა უხორცო **კონსტანტინე ლესელიძე,** რომელიც იმხანად პოლკოვნიკი გახლდათ. მოსკოვის მისადგომებთან ლესელიძისა და გუდერიანის სატანკო ორთაბრძოლა მსოფლიო ომების ისტორიაში შევა, როგორც ბრძოლის კლასიკური ნიმუში. პოლკოვნიკმა ლესელიძემ კი ცოტა ხნის შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკის ოქროს სამხრეებით დაიმშვენა მხრები.

საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **აკაკი მგელაძე** თავის მოგონებებში იხსენებს ომის შემდგომ რიწის ტბაზე დასასვენებლად მყოფ სტალინთან საუბარს, რომელიც უშუალოდ კონსტანტინე ლესელიძეს შეეხებოდა:

„კონსტანტინე ლესელიძეს სტალინი ხშირად მოიხსენიებდა უმაღლეს მხედართმთავართა შორის. მან ისიც მითხრა, რომ ლესელიძეს ორჯერ შესთავაზა ფრონტის სარდლობა და ორივეჯერ უარყოფითი პასუხი მიიღო, მარშალის წოდებას კი თანამდებობაც სჭირდებოდა. კონსტანტინე ლესელიძე ძალიან თავმდაბალი და ზრდილობით სავსე კაცი იყო. მას წინ დიდი მომავალი ელოდებოდა, მაგრამ ტრაგიკულად დაიღუპა. სტალინს საუბარში უყვარდა შეჩერება (პაუზა), მაგრამ ამჯერად მისი დუმილი ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1941 წლის ბოლო სამ თვეში თავდაცვის ზღუდეებზე დღედაღამ მუშაობდა 3900 ადამიანი, ხოლო ფოთის პორტის გაღრმავების სამუშაოებს ყოველდღიურად ასრულებდა 4200 ადამიანი. ჯავა-ონის გზის გასამაგრებლად 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში 7000 ადამიანი მუშაობდა, საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთზე 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში მხოლოდ დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებიდან — 500-500 კაცი. დარიალის ხეობაში დღესაც ნახავთ უზარმაზარ ლოდებს, რომლებიც შიგნიდან გამოჭრილია და საცეცხლე წერტილებად არის გამოყენებული, ასეთი გამაგრებული საცეცხლე წერტილი ორჯონიკიძიდან ყაზბეგამდე 1500-ია. უდიდესი სამუშაო ჩატარდა ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთზე და რიონის ხეობაში თავდაცვითი ზღუდეების ასაშენებლად.**

◀ ჩვეულებრივზე მეტ ხანს გაგრძელდა. სტალინი რაღაც მწარე განცდაზე ფიქრობდა“.

მკითხველს უნდა გამოვუტყდე, რომ ისტორია აქაც დუმს. ლესელიძის სიკვდილი არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავის სიკვდილი. ის დიდი ქართველების ათეულს თუ არა, ოცეულს უეჭველად დაამშვენებს. ესეც ხომ მეთორმეტე საუკუნის ტრაგედია არ არის, ამ ამბის შემსწრე იქნებ დღესაც ცოცხალია, რომ არაფერი ვთქვათ **ლეონიდ ბრეჟნევზე,** რომელმაც ლესელიძის გმირობის ოქროს ვარსკვლავი თავის მდუღარე ცრემლთან ერთად დაუტოვა საქართველოს.

მოსკოვის გმირ დამცველთა შორის თავისი ადგილი და მნიშვნელობა უკავია ომში ბეჭდაუდებელ ფალავანს, გენერალ-პოლკოვნიკ **პორფირე ჩანჩიბაძეს.** ის მოსკოვის მისადგომებს პოლკოვნიკის რანგში იცავდა და იცავდა თავგანწირვით. პოლკოვნიკი ჩანჩიბაძე უსწრაფესი ნაბიჯებით მივიდა გენერალ-ლეიტენანტობამდე და ომი სწორედ ამ სამხედრო საპატიო ჩინით დაამთავრა.

**აკაკი მგელაძის პირადი საუბრებიდან (სტალინის ნაამბობი)**

„ომის შემდგომ კრემლში გამოჩენილ სამხედროებთან ერთად სავახშმოდ შევიკრიბეთ. თამადა, როგორც ყოველთვის **ვიაჩესლავ მოლოტოვი** იყო, მაგრამ მთავარი სადღეგრძელოს წარმოთქმას, რატომღაც ყოველთვის მე მავალებდა. მეც, სხვა რა გზა მქონდა, დავალებას ვასრულებდი. სამხედროები თავიანთი წოდებების მიხედვით იყვნენ მაგიდასთან წარმოდგენილნი — მარშლები, ადმირალები, სახეობათა მარშლები, ვიცე-ადმირალები, არმიის გენერლები, გენერალ-პოლკოვნიკები, გენერალ-ლეიტენანტები და გენერალ-მაიორები. რადგან ერთნაირი წოდების წარმომადგენლები ბევრნი იყვნენ, ისინი წოდებების მიხედვით დავაჯგუფე და სადღეგრძელო ისე წარმოვთქვი, არავის გვარი არ გამომიტოვებია. სადღეგრძელოს წარმოთქმისას ერთი უზუსტობა დავუშვი, რა თქმა უნდა, სრულიად შემთხვევით. როდესაც ვადღეგრძელე გენერალ-პოლკოვნიკები და ვახსენე მათი გვარები, მათ რიგებში ვთქვი ჩანჩიბაძე, რომელიც გენერალ-ლეიტენანტების მაგიდის თავში იჯდა და უცებ ვერ გავარჩიე გენერალ-ლეიტენანტის სამხრეები გენერალ-პოლკოვნიკისგან. არც ერთი სამხედრო პირი, რომელთა სადღეგრძელოც ვთქვი, არ განძრეულა. ჩანჩიბაძე კი მისი გვარის გაგონებისთანავე ზეზე წამოიჭრა, სამხედრო სალამი მომცა და განმიცხადა: „ვემსახურები საბჭოთა კავშირს!“. გაკვირვებულმა შევხედე ჩანჩიბაძეს და მყისვე მივხვდი, რომ გამომიჭირა ამ მამაძაღლმა. ჩემ წინ გენერალ-ლეიტენანტი იდგა, რომელიც უმაღლესმა მთავარსარდალმა ადღეგრძელა, როგორც გენერალ-პოლკოვნიკი. სადღეგრძელო არ შემიჩერებია, ისე ჩავედი ბოლომდე. ამ კაზუსს სუფრაზე არავითარი ხუმრობა ან საუბარი არ მოჰყოლია. მეორე დილით ახალ ამბებში რადიომ მთელ ქვეყანას ამცნო, რომ გენერალ-ლეიტენანტ ჩანჩიბაძეს დიდ სამამულო ომში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის მიენიჭა გენერალ-პოლკოვნიკის წოდება. რადგან დავიწყე, სათქმელი ბოლომდე უნდა ვთქვა: ამიერკავკასიის ჯარების სარდლად ქართველი არასოდეს ყოფილა დანიშნული. ომის შემდგომ, და იმიტომაც, რომ სამხრეთის საზღვარი სტალინს ძალიან არ მოსწონდა და გაეროშიც კი დააყენებინა საკითხი მოლოტოვს „საქართველოს კანონიერი პრეტენზიების შესახებ, თურქეთის რესპუბლიკის მიმართ საზღვრების საკითხზე“, გენერალურ შტაბს დაავალა, მოლაპარაკებოდნენ ჩანჩიბაძეს, თბილისში სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლად გადაყვანის შესახებ.

წინადადებას ჩანჩიბაძემ მტკიცე უარი განაცხადა. „პროვინციაში“ გადასვლის გამო. სტალინს შედარებით იოლ ფორმებში, მაგრამ ჩანჩიბაძის კატეგორიული უარი პროვინციაში“ გადასვლის გამო მაინც გადასცეს.

მარშალი **ალექსანდრე გოლოვანოვი** იგონებს, რომ სტალინმა ერთხელ მას უთხრა: რუსულ არმიაში ძალიან კარგი წესი იყო შემოღებული — დამნაშავე ხელქვეითს უფროსი იმ დღეს სასჯელს არ გამოუტანდა. ეს, ალბათ, სამხედრო დანაშაულიდან იყო გამომდინარე, რომ ცხელ გულზე ხელქვეითი ზომაზე მეტად არ დასჯილიყო. ალბათ, ეს გაითვალისწინა სტალინმა და ჩანჩიბაძე მხოლოდ სამი დღის შემდეგ მიიღო.

„— თქვენთვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლობა შემოუთავაზებიათ. თქვენ უარი გითქვამთ „პროვინციაში“ გადასვლაზე. ეს ასე იყო?

— დიახ, ამხანაგო სტალინ! — მიუგო ჩანჩიბაძემ.

— თქვენ რა სამხედრო წოდება გაქვთ? — ჰკითხა სტალინმა.

— გენერალ-პოლკოვნიკი, ამხანაგო სტალინ!

— ეს ის გენერალ-პოლკოვნიკობაა ქართული კვანტით რომ გამომტაცე, არა, ამხანაგო პოლკოვნიკო?

ჩანჩიბაძეს ოდნავადაც არ შეტოკებია ნერვი და ამაყად უპასუხა:

— მე პოლკოვნიკის რანგში ვიყავი, როდესაც მოსკოვს ვიცავდი. რამდენჯერაც სასიკვდილო საფრთხე დამემუქრებოდა, ჩემს გულს ვეუბნებოდი: მოვკვდები და მოსკოვში სხვას არ ვაცხოვრებ. მე მიყვარს მოსკოვი. მე მოსკოვში უნდა ვიცხოვრო, თუნდაც რიგით მუშად, — განაცხადა ჩანჩიბაძემ“.

ასე შეჰყურებდნენ და ეკამათებოდნენ ერთმანეთს უმაღლესი მთავარსარდალი და მუშის დონემდე დაქვეითებული ორი დიდი ქართველი ერთმანეთს დიდი რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში და არც ერთს არც დიდი ტრაგედიისას და არც გამარჯვების ტკბობის დღეებში არ ეთმობოდა რუსი ხალხი და რუსეთის დედაქალაქი. ორივემ მოსკოვში დაასრულა ცხოვრება — რუსეთის მიწამ მიიბარა რუსეთზე შეყვარებული ორი დიდი ქართველი...

მოსკოვისთვის გამართულ საჰაერო ბრძოლებში თავი ისახელეს პოლკის მეთაურმა, პოლკოვნიკმა **ევსტაფი ტატანაშვილმა.** საზენიტო არტილერიის პოლკის მეთაურმა **ნაკაშიძემ,** საავიაციო საზენიტო დივიზიის მეთაურმა **ირაკლი ჯორჯაძემ,** საჰაერო ქვედანაყოფების უფროსებმა: **ბორის ზუმბულიძემ, გიორგი ინასარიძემ, გერმან კილასონიამ, შალვა ქირიამ, კარლო მებაღიშვილმა,** რომლებმაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურეს. მოსკოვისათვის ბრძოლას თავი შესწირეს ძმებმა **სიმონ** და **ფილიპე კაკულიებმა** და ბევრმა სხვამ.



კონსტანტინე ლესელიძე



გიორგი ჯაბადარი



ქიჭიკო ბენდელიანი



ალექსანდრე წურწუმია

**როცა საქართველოდან ქალების მასობრივი მობილიზაციის ამბავმა სტალინის ყურამდე მიაღწია, მან ქართული გენოფონდის განადგურების თავიდან ასაცილებლად სპეციალური ზესაიდუმლო განკარგულებით ამიერკავკასიის პოლიტსამმართველოს დაავალა, ეს ქალები 8 საათის განმავლობაში უკან დაებრუნებინა. აღნიშნული განკარგულება კატეგორიულად კრძალავდა საქართველოდან ქალების გაწვევას სამხედრო სამსახურში. ნაბრძანები იყო, ყველა სარკინიგზო სადგურსა და პლატფორმაზე, სადაც სამხედრო შემადგენლობა უნდა გაჩერებულიყო, შეექმნათ სპეციალური ჯგუფები, რომლებიც არ დაეშვებდნენ ახალგაზრდა ქალების სამხედრო ვაგონებში ასვლას. 1942 წლის 16 აპრილიდან საქართველოდან ქალთა გაწვევა აიკრძალა, ხოლო მამაკაცების გაწვევა 1944 წლამდე გაგრძელდა**



სამხედრო აღლუმი 1941 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში, წითელ მოედანზე

## ლტოლვილთა მიგრაცია საქართველოში

1941 წლის მეორე ნახევარში საქართველოში ბევრი ლტოლვილი შემოვიდა უკრაინიდან, ჩრდილოკავკასიიდან, მახაჭყალიდან. თბილისმა მხოლოდ კალინინის ოლქიდან მიიღო 7481 ადამიანი.

**1941 წლის დეკემბერში თბილისში კრასნოდარის მხარიდან ჩამოვიდა 19 საბავშვო ბაღი, 800 ბავშვითა და მომვლელი პერსონალით, რომლებიც განლაგდნენ კოჯრის ტერიტორიაზე. კოჯრის ბავშვთა სახლმა მიიღო 584 უპატრონო ბავშვი. მათგან 320 თბილისელებმა იშვილეს, ხოლო დამატებით შემოყვანილ 2340 ბავშვს პატრონობდნენ. ფაბრიკა-ქარხნებს ჩამოყოლილი მუშებისა და სპეციალისტების გარდა, საქართველომ შეიფარა და მზრუნველობა გაუწია რუსეთიდან წამოსულ 35 ათას ადამიანს.**

თბილისში ევაკუირებული იქნა შემდეგი სასწავლო და კულტურის დაწესებულებები:

როსტოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი, თავისი 600 სტუდენტითა და 150 პროფესორ-მასწავლებლით; 1942 წლის მაისში ლენინგრადიდან ჩამოვიდა კალინინის სახელობის პოლიტტექნიკური ინსტიტუტი თავისი სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით; 1941 წლის დეკემბერში თბილისში ევაკუირებული იქნა კიევისა და ხარკოვის ოპერისა და ბალეტის თეატრები, რომლებიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა შეიფარა; იალტიდან ევაკუირებული კინოსტუდია თბილისის კინოსტუდიას ჩაუსახლდა. მოსკოვიდან და ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდნენ კინოს, თეატრისა და ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები, რომელთა მოღვაწეობამ საქართველოს დედაქალაქში დიდად აამაღლა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების დონე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**მოსკოვში სტალინის ღვთაებრივ გენიას მხარს უმშვენებდნენ ქართველი რაინდები. როცა გერმანელი ფაშისტები ათასობით თვითმფრინავით უტევდნენ მოსკოვს, ამ მომენტში საბჭოთა კავშირის დედაქალაქის ცის ქვეშ, წითელ მოედანზე, არნახული სამხედრო აღლუმი მიმდინარეობდა. სწორედ 1941 წლის 7 ნოემბრის საჰაერო შემოტევების პერიოდში ჰიტლერის 2 ათასი თვითმფრინავიდან 220 თავისი ასებით მოსკოვის მიწას დაანარცხეს საბჭოთა მფრინავებმა. ამ დღის გმირი კი სწორედ ქართველი მფრინავი, პოლკოვნიკი (შემდეგ — გენერალ-მაიორი) მიხეილ კიკნაძე გახლდათ**

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მოვუწოდებ, იარონ ეკლესიაში, ჩააბარონ აღსარება, დაიცვან მარხვა და ეზიარონ ქრისტეს წმინდა სისხლსა და ხორცს. ეს არის გადარჩენის ერთადერთი გზა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს მომავალს; გზა მაცხოვრისკენ და არა მსოფლიო მასონური ძალების მიერ დაფინანსებული ენჯეოებისკენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუჯეროთ სოროსის გრანტით ნაყიდ ჟურნალისტებს და ზოგიერთ მოქრთამულ ექიმს“.**



# ვაჟა ოთარაშვილი: ვისაც უნდა, დარჩეს ძაბრში და იყოს «კორონტინში», მაგრამ ვინც ჭეშმარიტი ქართველია, იაროს ეკლესიაში

**მსოფლიოში ერთ-ერთმა გავლენიანმა ლიბერალურმა ორგანიზაციამ amnesty international-მა ევროპისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში „კოვიდ 19“-ის გავრცელების წინააღმდეგ მიღებული პრევენციული ზომების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოაქვეყნა ვრცელი „კვლევა“, რომელშიც საქართველოში გატარებული გარკვეული ღონისძიებები უკიდურესად კრიტიკულადაა შეფასებული. ამ კვლევის თანახმად, რიგი ზომებსა, რომლებიც ქვეყანამ ვირუსის პირველი შემთხვევისთანავე მიიღო, რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული ხასიათის იყო. კერძოდ, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საგანგებო მდგომარეობით შემოღებული შეზღუდვები, მათ შორის, რომელიც სამ პირზე მეტი ადამიანის შეკრების აკრძალვას გულისხმობდა, მართლმადიდებელ ეკლესიას არ შეეხო. მეტიც, „დასკვნაში“ ნათქვამია, რომ ხელისუფლებამ აღდგომის ღამეს მართლმადიდებელი სასულიერო პირებისთვის კანონსაწინააღმდეგო გამონაკლისი დაუშვა და მათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება მისცა, რაც სხვა რელიგიური კონფესიებისთვის აკრძალული იყო.**

„ანგარიში“ მთავრდება მკაცრი „რეკომენდაციით“, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა საგანგებო მდგომარეობით შემოღებული აკრძალვები საპატრიარქოსაც შეეხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც „კვლევაშია“ აღნიშნული, ქვეყანაში „პრივილეგირებული ჯგუფების“ არსებობა დემოკრატიულ პროცესს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს... შეგახსენებთ, რომ „ლიბერალური“ პროპაგანდა კორონავირუსის თემაზე მანიპულაციით, უკვე დიდი ხანია, ეკლესიისა და სამღვდელოების დისკრედიტაციას აქტიურად ცდილობს. აშკარაა მოსახლეობაში პანიკისა და შიშის დათესვის მცდელობაც, რაც, ძირითადად, ეკლესიისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ეპიდემიის გავრცელების პოტენციურ წყაროდ წარმოჩენაში გამოიხატება...

**რას ემსახურება მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის სახელით მოქმედი ორგანიზაციის შეშფოთება საქართველოში არსებულ ვითარებაზე და რა რეაგირებას უნდა ველოდოთ ამ ორგანიზაციის „რეკომენდაციების“ კვალდაკვალ ხელისუფლებისგან, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თეოლოგიის დოქტორი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, ერთ-ერთმა საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ საქართველოში „კოვიდ-19“-ის გავრცელების საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებების შესახებ გამოაქვეყნა დასკვნა, რომელშიც მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ღვთისმსახურების შეუზღუდავად გაგრძელების გამო შეშფოთებაა გამოთქმული. „კვლევაში“ ნათქვამია, რომ თურმე დემოკრატიულ სახელმწიფოში არც ერთ რელიგიურ კონფესიას პრივილეგია არ უნდა ჰქონდეს და აკრძალვა ყველას თანაბრად უნდა შეეხოს. რას ემსახურება ეს კვლევა, რა აშფოთებთ რეალურად მის ავტორებს?**

— ადამიანის უფლებებს მსოფლიოში ყველაზე მეტად იცავს ქრისტიანული სწავლება, ქრისტიანული მოძღვრება და კონკრეტულად მართლმადიდებელი ეკლესია. მართლმადიდებლობა არის ადამიანური ზნეობის ფუნდამენტი, რომელიც, რა თქმა უნდა, მაღლა დგას თუნდაც მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულ ორგანიზაციაზე, ნებისმიერ წესდებაზე, კანონზე, კონვენციასა თუ კონსტიტუციაზე. რაც შეეხება, ვის რა აშფოთებს და აღელვებს, მათ აშფოთებთ ის, რომ საქართველო, რომელიც არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და რომელშიც დავანებულია **იესო ქრისტეს** კვართი, ვერ შეაშინეს ისე, რომ ადამიანებმა შეწყვიტონ ან დროებით მაინც თავი შეიკავონ ტაძრებში სიარულისგან. **მათ მოსვენებას აკარგვინებს ის, რომ ვერანაირი პროპაგანდით ვერ ჩაკლეს საზოგადოებაში მაცხოვრის რწმენა, სიყვარული უფლისადმი, პირიქით — ხედავენ, რომ დღეს ჩვენი საზოგადოების სულ ცოტა 90% პროცენტი არის ქრისტიანი მართლმადიდებელი მრევლი, რომელთაგან 80%, მეტი თუ არა, მუდმივად დადის ეკლესიაში, აბარებს აღსარებას, ეზიარება, იცავს მარხვას და ა.შ.** სხვათა შორის, ე.წ. ლიბერალური ელიტა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით შფოთავს იმაზე, რომ ჩვენი ბრძენი პატრიარქის ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა. და ამაღლდა არა მხოლოდ საქართველოში, მუსულმანურ სახელმწიფოებშიც კი. წარმოიდგინეთ, ყველა ლაპარაკობს იმაზე, რომ საქართველო არის, პრაქტიკულად, ერთადერთი ქვეყანა საქრისტიანოში, რომელმაც არ შეწყვიტა ღვთისმსახურება, არ დახურა ტაძრები და ჩვეულებრივად განაგრძობს მრევლის ზიარებას. ახლა ვისთვისაც ეს დისკრიმინაციაა, შეუძლია დაჯდეს სახლში და ანგარიში ანგარიშზე წეროს ქვეყანაში „დისკრიმინაციის“ არსებობაზე, მაგრამ ფაქტია: **ამ ქვეყანაში არც ერთი რელიგიური კონფესიისთვის რიტუალების ჩატარება არავის დაუშლია. მათ თვითონ თქვეს უარი შეკრებაზე და ეს, რა თქმა უნდა, მათი არჩევანია.**

**— ის, რომ საქართველოში მოქმედი რიგი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა ეკლესიისა და სამღვდელოების დისკრედიტაციას ცდილობენ, არახალია, მაგრამ რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს ამ შემთხვევაში უცხოურ ორგანიზაციას, როცა უსაფუძვლოდ წერს, რომ პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ფონზე ხელისუფლებამ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს „კანონის საწინააღმდეგოდ“ გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა?**

— ეს ე.წ. საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები და ადგილობრივი „არასამთავრობოები“, რომელთა გრანტების თემაზე ახლა აღარ შევჩერდები, ერთი და იგივე ძალებია. უბრალოდ, მასშტაბებია სხვადასხვა. რაც შეეხება მიზანს, **მათი უმთავრესი მიზანი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ადამიანს წაართვან სულიერო საზრდო, დააშორონ უფალს და აქციონ დაპროგრამებულ უსულო საგნად, რომელიც მუდმივად იქნება მსოფლიო გლობალისტური ძალების ტოტალური კონტროლის ქვეშ.** აი, ამას ემსახურება თანამგზავრების გაშვება, ადამიანების მასობრივი ე.წ. დაჩიპვა, რომელიც უკვე აქტიურად მიმდინარეობს ევროპის რიგ ქვეყნებში და, ჩემი აზრით, ამას ემსახურება ეს ახალი კორონავირუსიც. ეს არის დადგმული სპექტაკლი, რათა მოსახლეობაში დათესონ შიში, დათრგუნონ ადამიანები და შემდეგ ამ შიშით, შიმშილითა და პანიკით დაბრმავებული კაცობრიობა მართონ ადვილად. კარანტინს და ვითომ აკრძალვებს რაც შეეხება, ეს არ არის ჩვეულებრივი კარანტინი, მე მას ვუწოდე „კორონტინი“ და სამწუხაროა, რომ **ამ ბოროტი სპექტაკლის უკან მდგომი ძალები ჯერჯერობით მიზანს აღწევენ, თუმცა მჯერა, რომ მოვა დრო, როცა კაცობრიობა გაასამართლებს ამ სატანურ ძალებს და განაჩენსაც გამოუტანს...**

**«ზოგიერთი სასულიერო პირი, მათ შორის ვაიეპისკოპოსებიც, რომლებიც ჯანდაცვის მუშაკებთან ერთად გაჰკიოდნენ, დარჩით სახლშიო, იუდას გზაზე აღმოჩნდნენ. ერთგვარი ძალადობა იყო მრევლზე ის განცხადებებიც, რომ არ უნდა წასულიყვნენ სააღდგომო ლიტურგიაზე, თორემ ვერ დავითვლიდით კუბოებს, საავადმყოფოები გადაივსებოდა და ა.შ. მაინტერესებს, სად არის ე.წ. მრევლის კლასტერი, რომლითაც ასე ზაფრავდნენ მოსახლეობას? რატომ არ მოხდა ის ელვისებური ეპიდემიოლოგიური აფეთქება, რომელიც, მათი პროგნოზით, აღდგომიდან ორი კვირის თავზე უნდა ყოფილიყო?! »**

**— დავუბრუნდეთ ისევ საერთაშორისო ორგანიზაციის „ანგარიშს“, რომელიც ხელისუფლებისთვის ერთგვარი გამაფრთხილებელი სიგნალია. მსგავს „ანგარიშებს“ მმართველი გუნდის მხრიდან ყოველთვის მოსდევს გარკვეული ფაციფუცი და ქულების დაწერის მცდელობა დასავლეთის თვალში. ამ შემთხვევაშიც ხომ არ არის რამე ზომები მოსალოდნელი ქვეყანაში „რელიგიური დისკრიმინაციის“ აღმოსაფხვრელად?**

— ჩვენს პოლიტიკურ ელიტას ეყო ჭკუა და, მიუხედავად აქტიური წაქეზებისა „ლიბერალური“ ელიტის მხრიდან, ვერ გაბედა ძალის გამოყენებით ეკლესიების დახურვა. ხელისუფლება მიხვდა, რომ მრევლის მიმართ ძალადობა, პრაქტიკულად, იქნებოდა მისი პოლიტიკური აღსასრული და ამაზე უარი თქვა. თუმცა **ზოგიერთი სასულიერო პირი, მათ შორის ვაიეპისკოპოსებიც, რომლებიც ჯანდაცვის მუშაკებთან ერთად გაჰკიოდნენ, დარჩით სახლშიო, იუდას გზაზე აღმოჩნდნენ.** ერთგვარი ძალადობა იყო მრევლზე ის განცხადებებიც, რომ არ უნდა წასულიყვნენ სააღდგომო ლიტურგიაზე, თორემ ვერ დავითვლიდით კუბოებს, საავადმყოფოები გადაივსებოდა და ა.შ. **მაინტერესებს, სად არის ე.წ. მრევლის კლასტერი, რომლითაც ასე ზაფრავდნენ მოსახლეობას? რატომ არ მოხდა ის ელვისებური ეპიდემიოლოგიური აფეთქება, რომელიც, მათი პროგნოზით, აღდგომიდან ორი კვირის თავზე უნდა ყოფილიყო?!** ზიარება არ შეიძლება იყოს ეპიდემიის გავრცელების მიზეზი, რადგან მორწმუნე მრევლი ეზიარება ქრისტეს წმინდა სისხლსა და ხორცს და არ შეიძლება ქრისტეს სისხლი და ხორცი ვირუსის გამავრცელებელი იყოს. პირიქით — ზიარება არის სულიერი და ხორციელი განკურნების უბადლო საშუალება...

**— იმის თქმა გინდათ, რომ ხელისუფლებამ ცრუ განგაში ატეხა?**

— ხელისუფლება, უბრალოდ, ცდილობდა, ორ მოედანზე ეთამაშა და, ერთი მხრივ, მრევლის უკმაყოფილება არ გამოეწვია, ხოლო, მეორე მხრივ, აგრესიული „ლიბერალური“ უმცირესობის რისხვა არ დატყდომოდა თავს. თუმცა ცხადია, ამით ყველაფერი არ დასრულებულა და მთავრი წინ გველოდება...

**— რას გულისხმობთ?**

— ვფიქრობ, **ეს ხელოვნური პანიკა არჩევნების შემდგომ უფრო გამძაფრდება და კორონავირუსის ამ „კორონტინს“ ხელისუფლება უფრო გაამკაცრებს. არ გამოვრიცხავ, რომ ეკლესიების დაკეტვაც მოითხოვონ. ამ მიზნით, შესაძლოა, მრევლში ხელოვნურადაც გაავრცელონ ვირუსი და შემდეგ ყველაფერი დააბრალონ საპატრიარქოს.** რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს? — თითქმის ყველა სახელისუფლო შტოში მნიშვნელოვან თანამდებობებზე არიან ჩვეულებრივი, 21-ე საუკუნის ხატმებრძოლები. ეს ადამიანები 24 საათის განმავლობაში ისხდნენ ეთერში და ადამიანებს მოუწოდებდნენ, ტაძრებში არ წასულიყვნენ. მათ შორის იყვნენ პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრეზიდენტი, დეპუტატები და მინისტრები... ცხადია, ამ ხალხისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ, იმიტომ, რომ მათთვის ეკლესია არის რაღაც ფორმალობა, რომელსაც, საჭიროების მიხედვით, პოლიტიკური ქულების დასაწერად გამოიყენებენ... რაც შეეხება ისევ იმ „ანგარიშს“, რომელიც გვმოძღვრავს, რომ თურმე დემოკრატიულ ქვეყანაში დისკრიმინაცია არ უნდა იყოს, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ჯერ ერთი — საქართველოში არანაირი დისკრიმინაცია, მით უმეტეს, რელიგიური ნიშნით, არ არის; და მეორე — **ყველანაირ კონვენციაზე, დეკლარაციაზე, კანონზე თუ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმაზე მაღლა დგას ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესია** — ადამიანის უფლებების ყველაზე დიდი დამცველი. სხვა უფლებები კაცობრიობას არ სჭირდება და მით უმეტეს არ სჭირდება ხატმებრძოლების მიერ დაცული „უფლებები“. ისე, საკვირველია, **ეს ე.წ. ადამიანის უფლებადამცველები ჩვენი მართლმადიდებელი მრევლის უფლებას რატომ არ იცავენ, რომელიც უმრავლესობას შეადგენს ჩვენს ქვეყანაში? რატომ გვახვევენ თავს 0,3%-ის ბნელ, აბსურდულ აზრებს ქრისტიან მოსახლეობას?**

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, ის მე მაგონებს დიოკლიტიანეს პერიოდს, როდესაც ქრისტიანების დევნას წინ უძღოდა საშინელი ეპიდემიები. ეს ეპიდემიები ქურუმებმა დააბრალეს სწორედ ქრისტიანებს და ამ მიზეზით აწამეს უამრავი ადამიანი. მათ შორის, იმ პერიოდში აწამეს წმინდა გიორგიც. თითოეულ მორწმუნე ადამიანს, თითოეულ ქართველს, რომლისთვისაც სარწმუნოება მნიშვნელოვანია და მჯერა, რომ აბსოლუტური უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია, მოვუწოდებ, რომ იარონ ეკლესიაში, ჩააბარონ აღსარება, დაიცვან მარხვა და ეზიარონ ქრისტეს წმინდა სისხლსა და ხორცს. ეს არის გადარჩენის ერთადერთი გზა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს მომავალს; გზა მაცხროვისაკენ და არა მსოფლიო მასონური ძალების მიერ დაფინანსებული ენჯეოებისკენ. ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუჯეროთ სოროსის გრანტით ნაყიდ, დატრენინგებულ ჟურნალისტებს და ასევე არ უნდა დავუჯეროთ უკვე მოქრთამულ ზოგიერთ ექიმს, რომლებიც აღდგომა დღეს მრევლის გასაგონად ცოფმორეული გაიძახოდნენ: „დარჩით სახლში!“.

ვისაც უნდა, დარჩეს ძაბრში და იყოს „კორონტინში“, მაგრამ ვინც ჭეშმარიტი ქართველია, იაროს ეკლესიაში და პირჯვარი გამოისახოს; წირვა-ლოცვა აღავლინოს, რათა გადარჩეს ერი ჩვენი ივერთა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ყველაზე საოცარი თაღლითობის შემოქმედნი მაინც, ასე ვთქვათ, „კომუნალური“ კომპანიები არიან: „ჯი-ვი-პი“ (წყალმომარაგება), „თელასი“ (ელექტრომომარაგება) და „თბილისი ენერჯი“ (გაზმომარაგება). ეს დღეებია, ყველა თბილისელს მისდის მობილურზე მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომ თავის მრიცხველს გადაუღოს ფოტო და შემდეგ „ვაიბერის“ ან სხვა აპლიკაციის საშუალებით გაგზავნოს მითითებულ ნომერზე. შეტყობინებაში ნათქვამია ისიც, რომ ეს საჭიროა, რათა კომპანიამ შეძლოს ქვითრის გამოწერა და აბონენტმა გადაიხადოს დახარჯული წყლის, დენისა თუ ბუნებრივი აირის საფასური.**



ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ახალ კორონავირუსს რომ ებრძვის, ყველამ ვიცით. ადამიანები განსაცდელში ერთმანეთს მხარში რომ უნდა ამოვუდგეთ, არც ეს არის ახალი „ფილოსოფია“. ალბათ, არც ისაა ახალი ამბავი, რომ ყოველთვის არსებობდა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დიდ განსაცდელს პირადი გამორჩენის მიზნით იყენებდა.**

# ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლით შეფუთული ფულის შოვნის მარათონი



შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ ცნობილი თბილისური ფენომენი — „დეზერტირების ბაზარი“. მაშინ, როდესაც მსოფლიო ყველაზე დიდ ჭირს, ფაშიზმს, ებრძოდა, გარკვეული პერსონები დეფიციტური საკვებისა და პროდუქტების გაყიდვით მდიდრდებოდნენ და ეს, ძირითადად, სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც, თავიანთ თანამოძმეებთან ერთად, ომში წასვლას რაღაც მაქინაციებით აარიდეს თავი და სამშობლოს, ოჯახების დასაცავად ფრონტზე წასული ადამიანების ხარჯზე მოინდომეს გამდიდრება. მარტივად რომ ვთქვათ, დეზერტირები „იატაკქვეშ“ ვაჭრობდნენ სწორედ იქ, სადაც ახლა ბაზარია. ამიტომაც შეარქვა მოგვიანებით ამ ადგილს ხალხმა „დეზერტირების ბაზარი“. დარწმუნებული ვარ, ე.წ. შავი ჭირის მსოფლიოში გავრცელების პერიოდშიც, სხვა ეპიდემიებისა თუ განსაცდელების დროსაც ყველგან მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც, ამ განსაცდელთან ბრძოლის ნაცვლად, შექმნილი სიტუაციის ბოროტად გამოყენებითა და პირადი გამდიდრებით იქნებოდნენ დაკავებულნი.

თუმცა, ოცდამეერთე საუკუნე მაინც ოცდამეერთე საუკუნეა და „კოვიდ-19“-მა განსაცდელის პირადი გამდიდრების მიზნით გამოყენების ისეთი ფაქტები დაგვანახვა, რომლებიც აქამდე კაცობრიობას ნამდვილად არ ექნება ნანახ-გაგონილი. ამჯერად გამორჩენაზე არა კონკრეტული ინდივიდები, არამედ საკმაოდ დიდი ორგანიზაციები ფიქრობენ. ყველაზე მთავარი კი აქ არის ის, რომ პირადი გამორჩენის მოტივს ეს ორგანიზაციები „ხალხზე ზრუნვისა“ და „ვირუსის გავრცელებისთვის ხელის შეშლის“ საბაბით ფუთავენ.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საუბარია ბანკებზე. საქართველოში მოქმედმა სამივე მთავარმა ბანკმა — „თიბისი ბანკმა“, „საქართველოს ბანკმა“ და „ლიბერთი ბანკმა“ — აშკარად გადაწყვიტეს ამ მძიმე გაჭირვების პერიოდში ისედაც დაზარალებულ მოსახლეობაზე კიდევ უფრო მეტად წიხლის დაჭერა და კრედიტებზე „სამთვიანი საშეღავათო პერიოდი“ შესთავაზეს კლიენტებს. ბევრს შეიძლება ეს ბანკებისგან დადებითი ჟესტი ეგონოს — **რას ერჩით, ამ სამი თვის განმავლობაში ადამიანებს პროცენტების გადახდა არ მოუწევთ და მაგას რა ჯობიაო?!**

მაგრამ, **თუ შეხვალთ შესაბამის ვებგვერდზე და ნახავთ, თქვენი სესხის დაფარვის გრაფიკმა სინამდვილეში როგორი ტრანსფორმაცია განიცადა, უმალ მიხვდებით, რომ ეს „საშეღავათო პერიოდი“ კი არა, დიდი ფინანსური აფერაა და ეს სამი „საშეღავათო თვე“ მომდევნო თვეებსა და წლებში ცხვირში ძმრად ამოდინდება ყველას, ვინც ამ „შეღავათით“ ისარგებლებს.**

სხვათა შორის, სწორედ ამ დათანხმება-არდათანხმებაზე მინდოდა მეთქვა: ბანკებმა ესეც სათავისოდ გათვალეს და კლიენტებს მოკლე ტექსტური შეტყობინებები დაუგზავნეს: „ვისაც არ გსურთ საშეღავათო სამი თვით სარგებლობა, განაცხადი შემოიტანეთ ინტერნეტით“-ო.

**დაუკვირდით: ვისაც გსურთ, მათ მოგვმართეთო კი არა, ვისაც არ გსურთო!**

ანუ ადამიანების უმეტესობას, რომლებიც (ჩემი არ იყოს) დიდ ყურადღებას არც მიაქცევდნენ ბანკიდან მოსულ „ეს-ემ-ეს“-ს, ეს სამთვიანი „საშეღავათო პერიოდი“ ავტომატურად გაუაქტიურდათ და შესაბამისად, კიდევ უფრო მეტის გადახდა დაეკისრათ ბანკისთვის.

**ყველაზე საოცარი თაღლითობის შემოქმედნი მაინც, ასე ვთქვათ, „კომუნალური“ კომპანიები არიან: „ჯი-ვი-პი“ (წყალმომარაგება), „თელასი“ (ელექტრომომარაგება) და „თბილისი ენერჯი“ (გაზმომარაგება).**

ეს დღეებია, ყველა თბილისელს მისდის მობილურზე მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომ თავის მრიცხველს გადაუღოს ფოტო და შემდეგ „ვაიბერის“ ან სხვა აპლიკაციის საშუალებით გაგზავნოს მითითებულ ნომერზე. შეტყობინებაში ნათქვამია ისიც, რომ ეს საჭიროა, რათა კომპანიამ შეძლოს ქვითრის გამოწერა და აბონენტმა გადაიხადოს დახარჯული წყლის, დენისა თუ ბუნებრივი აირის საფასური.

სიმართლე გითხრათ, მე მხოლოდ „ჯი-ვი-პიდან“ მომივიდა ჯერჯერობით, ასეთი შეტყობინება, თუმცა, როდესაც ვიკითხე, ბევრმა დამიდასტურა, რომ ანალოგიური შეტყობინებები მოსახლეობას „თელასმაც“ გაუგზავნა და „თბილისი ენერჯიმაც“.

დავინტერესდი და დავრეკე შეტყობინებაში მითითებულ ნომერზე, სადაც, წესით, „ვაიბერით“ უნდა გადამეგზავნა ჩემი მრიცხველის ანათვალისთვის გადაღებული ფოტო და იქვე მიმეთითებინა ძველი ანათვალი და სხვაობაც — მოკლედ, მთელი საინკასაციო სამუშაო უნდა გამეწია სრული მოცულობით. ზარზე მალევე მიპასუხეს და ვკითხე, ეს რისთვის არის საჭირო-მეთქი? თურმე ნუ იტყვით და, ეს ორგანიზაციები დისტანციურ მუშაობაზე გადასულან და ამიტომ მრიცხველებს არ ეკარებიან, ვირუსის გავრცელებას რომ არ შეუწყონ ხელი.

**თქვე კაი დედმამიშვილებო! ქვეყანაში უკვე სხვადასხვა ტიპის აკრძალვები უქმდება, სახელმწიფო ნორმალური ცხოვრების რიტმს უბრუნდება ნელ-ნელა და თქვენ რა პანიკას თესავთ? ნუთუ ქუჩაში გატანილ მრიცხველებთან ინკასატორების მისვლა არის საფრთხე ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით?**

**თუ შეხვალთ შესაბამის ვებგვერდზე და ნახავთ, თქვენი სესხის დაფარვის გრაფიკმა სინამდვილეში როგორი ტრანსფორმაცია განიცადა, უმალ მიხვდებით, რომ ეს «საშეღავათო პერიოდი» კი არა, დიდი ფინანსური აფერაა და ეს სამი «საშეღავათო თვე» მომდევნო თვეებსა და წლებში ცხვირში ძმრად ამოდინდება ყველას, ვინც ამ «შეღავათით» ისარგებლებს**

როდესაც ამ თემაზე სოციალურ ქსელში დაიწერა, ერთადერთი ორგანიზაცია, რომელმაც საკუთარ ვებსაიტზე განცხადება გაავრცელა, „თბილისი ენერჯი“ იყო. მათი თქმით, ასეთი მესიჯები მისდით მხოლოდ იმ აბონენტებს, რომელთა მრიცხველები ჯერ კიდევ შიგნით, ბინებშია, დამონტაჟებული და ინკასატორებს ოჯახებში შესვლასა და კონტაქტს არიდებენ...

კარგი, მაგრამ, ჯერ ერთი, ის უნდა ვთქვათ, რომ ბინებში დარჩენილი მრიცხველებით ძალიან ცოტა ოჯახი ცხოვრობს თბილისში, პლუს, ეს მესიჯი ჩემს არაერთ ისეთ ნაცნობს მიუვიდა, რომლებსაც მრიცხველი, კარგა ხანია, ბინიდან გარეთ აქვთ გატანილი, მაგრამ ჯანდაბას, დავანებოთ თავი „თბილისი ენერჯის“!

მიპასუხეთ, ვისაც გეხებათ: **ნუთუ თბილისში ერთი სახლი და კორპუსი მაინც არის დარჩენილი, რომელშიც ელექტრომრიცხველები ან ქუჩაში, ან კიდევ სადარბაზოებში არ არის გატანილი?**

მაშ, რის თქმას ცდილობენ ეს „კომუნალური“ კომპანიები? ინკასატორებს „სოჩიკთან“ მიახლოებით გადაედებათ კორონავირუსი თუ პირიქით — ისინი გადასდებენ „სოჩიკებს“ ვირუსს? რატომ არის დისტანციური მუშაობა აუცილებელი მაშინ, როცა ინკასატორს კონტაქტი არ აქვს აბონენტთან და ჩვენებას ისე იწერს, რომ აბონენტი ვერც კი იგებს?

**ხომ არ გვაქვს აქ საქმე ამ კომპანიების მხრიდან ერთგვარ თაღლითობასთან და ხომ არ ნიშნავს ეს ყოველივე, რომ ისინი საკუთარივე ინკასატორებისთვის მისაცემ ხელფასებს „ზოგავენ“? მარტივად რომ ვთქვათ, კომპანიებმა „კოვიდ-19“-ის პრევენციის მომიზეზებით გაუშვეს ინკასატორები სახლებში, შეუწყვიტეს ხელფასი და თავად მოსახლეობისგან ითხოვენ ინკასატორების ფუნქციის უფასოდ შესრულებას?**

ასეა თუ ისე, **მთავრობამ აუცილებლად უნდა მოსთხოვოს ამ კომპანიებს ამ თაღლითობისა და სისულელის შეჩერება და ინკასატორები ჩვეულებრივ უნდა მივიდნენ მრიცხველებთან და ამოიწერონ ჩვენება.**

პირადად ვნახე არაერთი ასაკოვანი ადამიანი დაბნეული, რომლებმაც არც ის იციან, რა ამოიწერონ, არც ის, სად და როგორ გაგზავნონ და ბევრმა ისიც კი არ იცის, რომელია ქუჩასა თუ სადარბაზოებში დამონტაჟებული უამრავი მრიცხველიდან კონკრეტულად მისი. რაც შეეხება „ვაიბერსა“ და ინტერნეტს — ეს მათ უმეტესობას გაგონილიც კი არ აქვს! გვიპასუხეთ — რატომ აწვალებთ ადამიანებს ასე უაზროდ და არასაჭიროდ?!

**მთავრობამ აუცილებლად უნდა მოსთხოვოს ამ კომპანიებს ამ თაღლითობისა და სისულელის შეჩერება — ინკასატორები ჩვეულებისამებრ უნდა მივიდნენ მრიცხველებთან და ამოიწერონ ჩვენება. პირადად ვნახე არაერთი ასაკოვანი ადამიანი დაბნეული, რომლებმაც არც ის იციან, რა ამოიწერონ, არც ის, სად და როგორ გაგზავნონ და ბევრმა ისიც კი არ იცის, ქუჩასა თუ სადარბაზოებში დამონტაჟებული უამრავი მრიცხველიდან კონკრეტულად რომელია მისი. რაც შეეხება „ვაიბერსა“ და ინტერნეტს — ეს მათ უმეტესობას გაგონილიც კი არ აქვს! გვიპასუხეთ — რატომ აწვალებთ ადამიანებს ასე უაზროდ და არასაჭიროდ?!**

დასასრულ, მინდა ხაზი გავუსვა ერთ ფაქტს, რომელიც ასეთ ფონზე მართლაც კურიოზულად გამოიყურება: დილით ძაღლებისთვის საკვების საყიდლად გავედი საკუთარი ავტომობილით და ზოომაღაზიასთან გავაჩერე. ზუსტად 8 წუთში გამოვედი და წინა საქარე მინაზე, ანუ „პარპრიზე“, შუშის საწმენდში გაჩრილი პარკირების ჯარიმის ქვითარი დამხვდა. როგორც ჩანს, ამ კარანტინობებსა და ავტომობილებით გადაადგილების აკრძალვის პირობებში გამომრჩა, რომ რამდენიმე თვის წინათ შეძენილ პარკირების უფლებას ვადა გაუვიდა. ეგ არაფერი, დღესვე შევიძენ ახალს, მაგრამ მაინტერესებს, ინკასატორების მრიცხველებთან მიახლოება თუ შეიცავს საფრთხეს ვირუსის გავრცელების ამბავში, ეს პარკირების ჯარიმების გამომწერები რაღას დაეხეტებიან ქალაქში?

**რა, ვირუსი მხოლოდ „სოჩიკებიდან“ ვრცელდება და ავტომობილებიდან არა?** თანაც, ჯარიმის გამომწერს აშკარად შეიძლება უფრო ჰქონდეს კონტაქტი ავტომობილის მფლობელთან, თუკი ეს უკანასკნელი ჯარიმის გამოწერის პროცესში დაბრუნდა თავის ავტომობილთან და დაინახა, რომ ჯარიმას უწერენ. ის აუცილებლად ძალიან „ახლოს“ იკონტაქტებს ჯარიმის გამომწერთან! ხოლო ინკასატორს ხშირად ვერც კი ვხედავთ, ისე იწერს ხოლმე ჩვენებას ქუჩაში დამონტაჟებული ჩვენი მრიცხველებიდან.

**აი, ეს არის საქმე, პატივცემულო მთავრობავ, რომ ორმაგი, სამმაგი და ძალიან არეულ-დარეული „სტანდარტებით“ მოქმედებთ, ნაცვლად იმისა, რომ მკაცრი კონტროლი გასწიოთ, განსაკუთრებით იმ პიროვნებებისა თუ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც შექმნილ სიტუაციას, არსებულ განსაცდელს, მხოლოდ საკუთარი გამდიდრების მიზნით იყენებენ და კიდევ აქეთ გვაყვედრიან — აქაოდა, მოსახლეობაზე ვზრუნავთო!**

ანტივირუსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პროფესორმა ლეონიდ რინკმა განაცხადა, რომ სრულყო პრეპარატი დიუციფონი და გამოასწორა მისი პრინციპული ხარვეზი — წყალში ცუდი ხსნადობა, შესაბამისად, სისხლის პლაზმაშიც. მეცნიერს მიაჩნია, რომ ამიერიდან პრეპარატი აუცილებლად უნდა გამოიყენონ ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ**

# დიუციფონი — პრინციპულად განსხვავებული მოქმედების საბჭოთა პრეპარატი ვირუსების წინააღმდეგ

**სსრკ-ში გამორჩეული სამხედრო ქიმიკოსი ლეონიდ რინკი „კოვიდ-19“-ის პანდემიასთან ბრძოლის თავის ვარიანტს გვთავაზობს, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა პრეპარატი — ლეგენდარული იმუნომოდულატორი, რომლის წყალობითაც დაამარცხეს ისეთი საშინელი დაავადება, როგორიც არის კეთრი. როგორ მუშაობს ეს წამალი?**
**ამ საკითხზე მეცნიერი ინტერნეტგამოცემა „ვზგლიადს“ ესაუბრა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს:**

„პროფესორი, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი **ლეონიდ რინკი** ცნობილია, როგორც საუკეთესო საბჭოთა სამხედრო ქიმიკოსი. 1990-იან წლებში, როცა რუსეთში სამხედრო-ქიმიური სამუშაოები შეჩერდა, რინკი კონტრაქტით მუშაობდა ორგანული სინთეზის ტექნოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის ლეპრის (კეთრის) იმუნო-ქიმიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში.

**ლეონიდ რინკმა ლაბორატორიის დირექტორთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ნიკოლოზ გოლოშჩაპოვთან ერთად შეიმუშავა პრეპარატ დიუციფონისა და მისი ანალოგების გამოყენების მეთოდები. პრეპარატი ორგანიზმის იმუნური სისტემის სტიმულატორია და ახშობს პათოგენური მიკროორგანიზმების „მოღვაწეობას“. ეს იყო არა ვაქცინა კონკრეტული გამომწვევის წინააღმდეგ, არამედ ორგანიზმში „ყველაფერი მავნეს“ გამანადგურებელი.** მაგრამ ეს ლაბორატორია დაიხურა და პრეპარატის გამოშვება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ეფექტიანობა დადასტურებული იყო, შეწყდა... შემდეგ რინკი ხელმძღვანელობდა ქიმიისა და ელემენტარული შენაერთების ტექნოლოგიების რუსეთის სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიკურად აქტიური ნივთიერებების ლაბორატორიას, მოგვიანებით — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის ნანოტექნოლოგიებისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების აგროსამრეწველო ცენტრს, აგრეთვე, თანამშრომლობდა კერძო ქიმიურ კომპანიებთან.

პროფესორმა ლეონიდ რინკმა განაცხადა, რომ სრულყო პრეპარატი დიუციფონი და გამოასწორა მისი პრინციპული ხარვეზი — წყალში ცუდი ხსნადობა, შესაბამისად, სისხლის პლაზმაშიც. მეცნიერს მიაჩნია, რომ ამიერიდან პრეპარატი აუცილებლად უნდა გამოიყენონ ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**— პროფესორო, რა არის თქვენი მეთოდის არსი?**

— ადრე თუ გვიან, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას შექმნიან, მაგრამ ამას დასჭირდება დრო. ვირუსი მუტაციას განიცდის და საჭირო იქნება ახალი ვაქცინა. **ჩვენი პრეპარატი — ეს არის ვაქცინის დამატება. ამ ალგორითმს „თავდასხმა და არა თავდაცვა“ ვუწოდეთ. იმუნიზაცია — ეს არის პირველი ეტაპი. ალგორითმის მეორე ეტაპია — ორგანიზმში ძველი და ახალი ვირუსების ლიკვიდაცია.**

ამჟამად ადამიანები გადაჰყავთ კლინიკებში, ეძებენ კონტაქტებს, პანდემია მაინც ვრცელდება — იმატებს დასნებოვნებულთა რაოდენობა. თავიდან უნდა ავიცილოთ ადამიანების დაღუპვა. რისკის ზონაში არიან ხანდაზმული ადამიანები, თანაც მათი ნაწილი სახელმწიფოებს მართავს და, ასე ვთქვათ, იღებს გადაწყვეტილებებს.

**ამ ადამიანების სუსტი წერტილია დაქვეითებული იმუნიტეტი, რომელიც წლების მატებითაა გამოწვეული. ამის გამო ისინი ვერ უმკლავდებიან ამ სენს, ისევე როგორც სხვა დაავადებას. ხანდაზმული ადამიანების იმუნიტეტი ვერ უმკლავდება ახალ გამოწვევებს.**

ჩვენი აზრით, **პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, არის იმ ადამიანების იმუნიტეტის ამაღლება, რომლებიც დაავადდნენ. ეს პირველი ნაბიჯია. მეორე ნაბიჯი — უნდა განხორციელდეს ჯერ კიდევ ჯანმრთელი, არაინფიცირებული ადამიანების იმუნიზაცია, თავდაპირველად, მათი, ვინც ინფიცირების რისკის ქვეშაა — ვინც მუშაობს კარანტინის პერიოდში, დადის სამსახურში. კორონავირუსი თრგუნავს იმუნიტეტს, შემდეგ კი ორგანიზმს „ჭამს“ შიგა კოლონიები, ამიტომაც ვამბობთ: „თავდასხმა და არა თავდაცვა“.**

**— როგორც ვხვდები, ლაპარაკია იმუნომოდულატორებზე, მაგრამ თვითონ იმუნომოდულატორებსა და „იმუნიტეტის გაძლიერების“ კონცეფციას აქტიურად აკრიტიკებენ და სამედიცინო საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი მას არც აღიარებს...**

— მართალი ხართ. თუ გადავხედავთ იმუნომოდულატორების საერთაშორისო ჩამონათვალს, ვნახავთ, რომ ათიდან ცხრა ასეთი პრეპარატებისა ბიოლოგიურად აქტიური დანამატია, ე.ი., ნივთიერებები, რომელთა მოქმედებაც დამტკიცებული არ არის. აქ ბევრია სპეკულაცია და მათ არ განვიხილავთ, ჩვენ გვჭირდება დამტკიცებულ-დადასტურებული, ზუსტი და ძლიერი აგენტები. და, თუ ჩვენ ჩავუღრმავდებით საკითხს, ვნახავთ, რომ **ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებობდა იმუნიტეტის მხსნელი — დიუციფონი, ლეგენდარული იმუნომოდულატორი, რომელმაც ქვეყანაში კეთრი დაამარცხა, რომელმაც გაიმარჯვა შიდსის საწინააღმდეგო საერთაშორისო კონკურსში. შიდსს კი, ისევე, როგორც კეთრს, აქვს ადამიანის იმუნიტეტის დათრგუნვის უნარი.**

ეს პრეპარატი ორგანიზმის იმუნური დაცვის სტიმულატორია, კურნავს ფილტვებს პათოლოგიებისგან და თრგუ-


ლეონიდ რინკი


МИНИСТЕРСТВО ЗДРАВООХРАНЕНИЯ РФ
ФАРМАКОПЕЙНЫЙ КОМИТЕТ
ВРЕМЕННАЯ
ФАРМАКОПЕЙНАЯ СТАТЬЯ

**ლეონიდ რინკმა ლაბორატორიის დირექტორთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ნიკოლოზ გოლოშჩაპოვთან ერთად შეიმუშავა პრეპარატ დიუციფონისა და მისი ანალოგების გამოყენების მეთოდები. პრეპარატი ორგანიზმის იმუნური სისტემის სტიმულატორია და ახშობს პათოგენური მიკროორგანიზმების «მოღვაწეობას». ეს იყო არა ვაქცინა კონკრეტული გამომწვევის წინააღმდეგ, არამედ ორგანიზმში «ყველაფერი მავნეს» გამანადგურებელი**



ნავს პათოგენებს. ეს იყო არა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, არამედ იმუნურ და ფილტვების სისტემებში ყველანაირი სენის გამანადგურებელი. ეს ძალიან ძლიერი აგენტია. ის მუშაობს წითელი მგლურას, სკლეროდერმიის, რევმატოიდული ართრიტის წინააღმდეგ... მე ველოდები ვაქცინას, მაგრამ ჩვენი პრეპარატი ანადგურებს ყველა სენს ერთდროულად — ძველს, ახალს, ყველაფერს.

**— დიუციფონის ეფექტიანობა კლინიკურად დამტკიცებულია? ეს სადმე აღრიცხულია?**

— რა თქმა უნდა. ეს ხომ კლასიკაა! დიუციფონის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ კლასიკურ ცნობარებში. დიუციფონი სინთეზირებული იყო 1967 წელს ყაზანში, ორგანული და ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტში. პარეპარატმა ბევრი გამოცდა გაიარა, რეკომენდებული იყო სსრკ-ის ჯანდაცვის ფარმაკოლოგიის კომიტეტის მიერ. 1995 წელს ის ჯერ კიდევ შედიოდა სასიცოცხლოდ აუცილებელი წამლების სიაში.

**— თქვენ როდის და როგორ დაიწყეთ მუშაობა ამ პრეპარატზე?**

— მე გამიმართლა. როდესაც სამხედრო ქიმიკოსების ლაბორატორია დახურეს (ეს მოხდა 1990 წელს), ჯანდაცვის სამინისტრომ დამავალა, შემექმნა გამოყენების ტექნოლოგია და კეთრთან ბრძოლის ჩარჩოებში დაგვემზადებინა დიუციფონი ლაბორატორიაში. იქ შევხვდი და დავუმეგობრდი პროფესორ ნიკოლოზ გოლოშჩაპოვს, გენიალურ მედიკოსს. მას სურდა, რომ ჩვენ, სამხედრო ქიმიკოსები, დავხმარებოდით მას ამ პრეპარატის სრულყოფაში. 1993 წელს ლაბორატორიამ სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო ინსპექციისგან მიიღო უფლება, ლაბორატორიისთვის დაემზადებინა დიუციფონი პენიცილინის ფლაკონებში.. ამას ეწოდა „საცდელ-ექსპერიმენტული წარმოება“. ვამარაგებდით აფთიაქებსაც. ლაბორატორიამ ფარმაკოლოგიის კომიტეტზე დაამტკიცა ე.წ. ფარმაკოპიური სტატია დიუციფონზე. ეს არის წამლის „პასპორტი“ — დამტკიცებული ფორმულა, თვისებების ჩამონათვალი. 1996 წელს ლაბორატორიამ ჯანდაცვის სამინისტროსგან მიიღო დიუციფონის, როგორც იმუნოკორექციის საშუალებად, გამოყენების უფლება აივ-ინფექციისა და შიდსის კომპლექსური მკურნალობისას.

**— ექიმი გოლოშჩაპოვი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ იმ საშუალებით, რომლითაც კეთრი დაამარცხეს, შეიძლება ტუბერკულოზისგან განკურნებაც და რომ ეს „მონათესავე დაავადებებია“.**

— ასეა. ორივე შემთხვევაში დაავადება თრგუნავს იმუნიტეტს, წამლები კი, რომლებსაც ვიყენებდით ლაბორატორიაში, უწინარესად, დიუციფონი, აქტიური იმუნომოდულატორებია. საქმე ის არის, რომ **მათში არის ორი თვისება: ერთდროულად, თავს ესხმიან პათოგენებს და აძლიერებენ იმუნურ სისტემას. თანაც, რაც მნიშვნელოვანია, ეს არის მოდულატორები და არა — აქტივატორები.** ამ საშუალებებს იმუნიტეტი ნორმამდე მიჰყავს. 1997 წელს ქვეყანაში კეთრი რეალურად დავამარცხეთ და ეს, დიდწილად, დიუციფონის წყალობით მოხდა. ამის შემდეგ პრეპარატი მონაწილეობდა შიდსის საწინააღმდეგო საერთაშორისო კონკურსში, და გაიმარჯვა! შეიძლებოდა, სხვა დაავადებებზეც გვემუშავა, მაგრამ რა გააკეთეს სახელმწიფო მოხელეებმა — გამოყვეს ფინანსები კვლევების ჩასატარებლად? ააწყვეს წარმოება? არა, უბრალოდ, დახურეს ლაბორატორია. არადა, ადამიანები ეძებდნენ დიუციფონს.

**— რატომ დახურეს ლაბორატორია? ბიუჯეტში ფული არ იყო?**

— გახსოვთ 1990-იანები, 2000-იანების დასაწყისი? დიახ, სრული ნგრევა... მი- ▶

გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა გაიხსენა ახლახან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომელთა მიხედვით, იტალიელთა 50% მთავარ მეგობრად ჩინეთს მიიჩნევს, ხოლო მთავარ მტრად — გერმანიას. „ეს მიუთითებს იმაზე, რომ კორონავირუსმა იმუშავა, როგორც ცეცხლგამჩენმა ნაერთმა. ის დაუნდობელია არა მხოლოდ ჩვენი ჯანმრთელობის მიმართ, არამედ აშიშვლებს ჩვენს სისუსტეებს ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე“.

ანტივირუსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

«პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, არის იმ ადამიანების იმუნიტეტის ამაღლება, რომლებიც დაავადდნენ. ეს პირველი ნაბიჯია. მეორე ნაბიჯი — უნდა განხორციელდეს ჯერ კიდევ ჯანმრთელი, არაინფიცირებული ადამიანების იმუნიზაცია, თავდაპირველად, მათი, ვინც ინფიცირების რისკის ქვეშაა — ვინც მუშაობს კარანტინის პერიოდში, დადის სამსახურში. კორონავირუსი თრგუნავს იმუნიტეტს, შემდეგ კი ორგანიზმს «ჭამს» შიგა კოლონიები, ამიტომაც ვამბობთ: «თავდასხმა და არა თავდაცვა»



მიმაჩნია, რომ იმხანად მეცნიერება და მედიცინა შეგნებულად, წერტილოვანი დარტყმებით გაანადგურეს.

**— ამჟამად დიუციფონს აწარმოებენ? მისი შეძენა შეიძლება?**

— არა. მას არავინ აწარმოებს, მის თვისებებსა და ექიმის ინსტრუქციას კი ნახავთ ინტერნეტში. დიუციფონი შესანიშნავად უმკლავდება იმუნურ დარღვევებსა და ფილტვების პრობლემებს.

ეს სწორედ ის არის, რაც ამჟამად გვჭირდება. რაც შეეხება უსაფრთხოებას, კეთრისგან განკურნების პროცესში პაციენტები ყოველწლიურად იღებდნენ 900 გ სუბსტანციას. წარმოგიდგენიათ, როგორი უსაფრთხოა (პრეპარატის ინსტრუქციაში მითითებულია, რომ ლეპრასა და სხვა დაავადებებთან ერთად მისი გამოყენება შეიძლება ტუბერკულოზისა და ფილტვების არასპეციფიკური დაავადებების სამკურნალოდ — ქრონიკული პნევმონის, ქრონიკული აბსცესის, ბრონქული ასთმის და ემფიზემის. — რედ).

თუმცა პრეპარატს ჰქონდა მნიშვნელოვანი ნაკლი — ცუდად იხსნებოდა წყალში, შესაბამისად, სისხლის პლაზმაში. ეს ნაკლი გვაიძულებდა, შეგვექმნა სუსპენზია ძალიან მაღალ ტემპერატურაზე პრეპარატის ინიექციისთვის. პრეპარატს ურევდნენ ძალიან ცხელ შენაერთში. ცხელი ნივთიერების ორგანიზმში შეყვანა კი ძალიან მტკივნეულია —...

**— და თქვენ სწორედ ამ პერიოდში მუშაობდით პრეპარატის კარგად გახსნაზე?**

— დიახ, ასეა. და წელიწადნახევრის წინათ ყველაფერი გამომივიდა.

**— როგორ?**

— ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდით იმაზე, რომ პრეპარატი სისხლში კარგად გახსნილიყო. შემდეგ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **დიმიტრი სტრებკოვმა** სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტში მიმიწვია, 2016 წლიდან ამ ორგანიზაციას ფედერალური ანგროსაინჟინრო ცენტრი უწოდეს და მე იქ ნანოტექნოლოგიის ლაბორატორიას ვხელმძღვანელობდი. ვმუშაობდით სოფლის მეურნეობისთვის, „კაჟის ენერგეტიკისთვის“... სამწუხაროდ, ეს ყველაფერი დახურეს, მაგრამ მე შევისწავლე სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილი ნანოაქტივატორები და აღმოვაჩინე, რომ მათგან ზოგიერთი ხელს უწყობს ხსნადობის გაძლიერებას. მეც სწორედ ამას ვეძებდი. ეს აქტივატორები დიუციფონზე გამოვცადე, სხვა ნაკლებადხსნად ნივთიერებებზეც. ძალიან კარგი ეფექტი მივიღე. ახლა ჩვენ გვაქვს პრეპარატის ვერსია, დიუციფონის კლინიკური ეფექტი, მაგრამ ორგანიზმში შეყვანის გაცილებით ეფექტიანი მეთოდით. არანაირი „ცხელი“ ჩხვლეტები. პლაზმოფორეზით იმუნიზაცია პლაზმის გამოყოფით 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობს...

**— უკვე გამოსცადეთ ეს ვერსია?**

— გამოვიყენეთ მოხალისეებზე სამედიცინო ცენტრებში ყველა წესის დაცვითა და ხელწერილებით, კორონავირუსით დაავადებულებზე — ჯერ არა, უბრალოდ, ვერ მოვასწარით. ახალი პრეპარატი ჯერ რეგისტრირებული არ არის... ეს უნდა გავაკეთოთ. მუშაობა უნდა გავააქტიუროთ. ახლავე. პანდემიის პერიოდში ხომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას. ჩვენ ცოტა რაოდენობით ვიღებთ ხსნად პროდუქტს და ეს საკმარისი არ არის.

**— რას დაარქმევთ ახალ ვერსიას? მას თავისი სახელი ექნება?**

— იცით, სახელწოდება ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს!..

ესაუბრა
**ანდრეი ვესელოვი**
vz.ru

„ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებობდა იმუნიტეტის მხსნელი — დიუციფონი — ლეგენდარული იმუნომოდულატორი, რომელმაც ქვეყანაში კეთრი დაამარცხა, რომელმაც გაიმარჯვა შიდსის საწინააღმდეგო საერთაშორისო კონკურსში. შიდსს კი, ისევე, როგორც კეთრს, აქვს ადამიანის იმუნიტეტის დათრგუნვის უნარი. ეს პრეპარატი კი ორგანიზმის იმუნური დაცვის სტიმულატორია, კურნავს ფილტვების პათოლოგიებისგან და თრგუნავს პათოგენებს. ეს იყო არა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, არამედ იმუნური და ფილტვების სისტემებში ყველანაირი სენის გამანადგურებელი. ეს ძალიან ძლიერი აგენტია. ის მუშაობს წითელი მგლურას, სკლეროდერმიის, რევმატოიდული ართრიტის წინააღმდეგ... მე ველოდები ვაქცინას, მაგრამ ჩვენი პრეპარატი ანადგურებს ყველა სენს ერთდროულად — ძველს, ახალს, ყველაფერს“



# «დასავლეთმა კორონავირუსთან ბრძოლაში ფიასკო განიცადა»

**„კორონავირუსმა დაუნდობლად გააშიშვლა დასავლეთის სუსტი მხარეები“, — განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმა გამოცემა Die Welf-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**

„დასავლეთმა, მისმა ლიდერმა სახელმწიფოებმა სრული ფიასკო განიცადეს კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლაში. ეს განსაკუთრებით ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ადრე კრიზისულ ვითარებაში ხშირად ეხმარებოდა სხვა სახელმწიფოებს, ახლა კი მხოლოდ თავისი პრობლემების მოგვარებით არის დაკავებული, — განაცხადა **ზიგმარ გაბრიელმა**. — დღეს პოლიტიკოსები ძალიან ვიწრო ჭრილში განსაზღვრავენ თავიანთ ნაციონალურ ინტერესებს: **„პირველ რიგში, ჩემი ქვეყანა“** ან ასე — **„მხოლოდ ჩემი ქვეყანა“**.

ექსდიპლომატს მიაჩნია, რომ მეზობლებისთვის ზურგის შექცევა ჭკვიანური საქციელი არ არის: **„დღევანდელ მსოფლიოში შეუძლებელია საკუთარი ერის ინტერესების გატარება დანარჩენი ქვეყნების ინტერესების იგნორირებით. ჩვენ ძალიან ვართ ერთმანეთზე დამოკიდებულნი. კერძოდ, ეს ეხება გერმანიას, რომლის კეთილდღეობა უზრუნველყოფილია გლობალიზაციით,** — აღნიშნა გაბრიელმა. — **ჩვენ შემოგვაქვს ნედლეული მსოფლიოს უამრავი ქვეყნიდან, გვაქვს საწარმოები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ჩვენ გვაქვს მაღალტექნოლოგიური წარმოება გერმანიაში, მაგრამ დამოკიდებულნი ვართ უცხოელ მომწოდებლებზე. ეს ყველაფერი რომ გაუქმდეს, გერმანია და ევროპა გაღარიბდებიან“.**

გაბრიელი შოკირებული იყო ოფიციალური ბერლინის პირველი რეაქციით იტალიაში გავრცელებულ კორონავირუსის ეპიდემიაზე. ის ჯერ კიდევ მაშინ მიხვდა, რომ იტალიელები არ აპატიებდნენ გერმანელებს ჰუმანიტარული ტვირთების ექსპორტის აკრძალვას. მოგვიანებით შეზღუდვა გაუქმდა, მაგრამ მას მოჰყვა „სამარცხვინო დისკუსია რომისთვის ფინანსური დახმარების თაობაზე“ და, თუმცა ამ მომენტისთვის ეს საკითხი თითქოს გადაწყდა, წყენა მაინც დარჩა“, — აღნიშნა საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა.

რუსეთი და ჩინეთი იყენებენ აშშ-ისა და ევროკავშირის სისუსტეებს და ცდილობენ შექმნილი ვაკუუმის შევსებას. განმარტავს პოლიტიკოსი: **„რუსეთს ეს ნაკლებად ეხება, ის ცდილობს, გაუმკლავდეს პანდემიას და ნავთობზე ფასის დაცემას, ჩინეთი კი თავს წარმოაჩენს პანდემიასთან ბრძოლის ლიდერად, თუმცა ვირუსი სწორედ იქიდან გავრცელდა. ეკონომიკური აბრეშუმის გზის გარდა, ჩინელები სამედიცინო აბრეშუმის გზის გაყვანას ცდილობენ“.**

გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა გაიხსენა ახლახან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომელთა მიხედვით, იტალიელთა 50% მთავარ მეგობრად ჩინეთს მიიჩნევს, ხოლო მთავარ მტრად — გერმანიას. „ეს მიუთითებს იმაზე, რომ კორონავირუსმა იმუშავა, როგორც ცეცხლგამჩენმა ნაერთმა. ის დაუნდობელია არა მხოლოდ ჩვენი ჯანმრთელობის მიმართ, არამედ აშიშვლებს ჩვენს სისუსტეებს ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე“.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძე**




„დღევანდელ მსოფლიოში შეუძლებელია საკუთარი ერის ინტერესების გატარება დანარჩენი ქვეყნების ინტერესების იგნორირებით. ჩვენ ძალიან ვართ ერთმანეთზე დამოკიდებულნი. კერძოდ, ეს ეხება გერმანიას, რომლის კეთილდღეობა უზრუნველყოფილია გლობალიზაციით, — აღნიშნა გაბრიელმა. — ჩვენ შემოგვაქვს ნედლეული მსოფლიოს უამრავი ქვეყნიდან, გვაქვს საწარმოები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ჩვენ გვაქვს მაღალტექნოლოგიური წარმოება გერმანიაში, მაგრამ დამოკიდებულნი ვართ უცხოელ მომწოდებლებზე. ეს ყველაფერი რომ გაუქმდეს, გერმანია და ევროპა გაღარიბდებიან“

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო, ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, გაყრას თუ შეკრებას, თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა ამისთანათა. „დროს ჰსჭვრიტე, ჟამთა რა მოაქვს? რას ისხამს, რა მოისთვლების“, — ქართველთაგან თქმულა. მეც ქართველი ვარ და არა ქართული არ მეუცხოების, ამიტომაც ვამბობ: „თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო, შენცა ხელთ გქონდეს ფარიო“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

1885 წლის თებერვალში ილია ჭავჭავაძე წერს: „არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა, ხელი გვკრან — და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ველარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო“.

დღეს რომელ თხრილზე შეიძლება ვისაუბროთ? — იმაზე, რომელიც ადამიანთა გარკვეული კატეგორიის წინ აღმოჩნდა, შემოსავლის გარეშე დარჩენილი ხალხის, რომლის ნაწილი თურმე „არც მიწისაა, არც ცისა“, ანუ იყო დასაქმებულ და და არც იყო, რადგან ამის დამადასტურებელი საბუთი არ უჭირავს ხელში და, შესაბამისად, ვერც ერთ თეთრს ვერ მიიღებს დახმარების სახით.

ვიცინოთ თუ ვიტიროთ?! არც ერთი გვიშველის და არც მეორე, ამიტომ ისევ ილიას მოვუსმინოთ: „აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო, ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, გაყრას თუ შეკრებას, თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა ამისთანათა. „დროს ჰსჭვრიტე, ჟამთა რა მოაქვს? რას ისხამს, რა მოისთვლების“, — ქართველთაგან თქმულა. მეც ქართველი ვარ და არა ქართული არ მეუცხოების, ამიტომაც ვამბობ: „თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო, შენცა ხელთ გქონდეს ფარიო“. კორონამ კი გვესროლა ისარი, მაგრამ ხელისუფლებას აქვს შესაბამისი ფარი ხალხის გადასარჩენად? ჩვენი ექიმები გულმოდგინედ გვიცავენ დაინფიცირებისგან, მაგრამ შიმშილისგან ვინ დაგვიცავს? მთავრობა ტვინს იჭყლეტს, ოპოზიცია კი ჩასაფრებული უცქერის, როდის წაიტეხს „ოცნება“ კისერს. აი ასეთია ჩვენი რეალობა, მწარე სიმართლე.

ილიას წერილში „ზოგიერთი რამ“ ერის მტკივნეულ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული, იმ „ზოგიერთი რამედან“ კი ბევრი რამ საოცრად მიესადაგება დღევანდელ ჩვენს ყოფას.

# «აბა, მკითხველო, შენ მე ყური მომიგდე...»

## «ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!»



**«სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ღა სადმე? როგორ თუ ვართ-ღაო, შემომიტევ წყრომით. თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცური-კაცობა ხელში მჩვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს; მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!..»**

„...აბა, მკითხველო, შენ მე ყური მომიგდე: მე გეტყვი და შენ დალაგებით და აუჩქარებლივ მისმინე. **მე წინათვე ვიცი, რომ მასზედ, რასაც მე ვიტყვი, გული დაგეთანაღრება, აიტკიცები და შესწუხდები, მაგრამ შენ კი, მკითხველო, იქნება ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს. რაზედ გაიჭირე საქმეო, მეტყვი შენ. იმისთვის, ჩემო ძმა, თუ დაო, რომ „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“-ო, ჩვენის პოეტის არ იყოს“.**

„აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავსა ჰკითხავს: **ვის უნდა ველაპარაკო, და სისხლი ძარღვში გაუშრება ხოლმე. მართლა-და, ვის უნდა ელაპარაკოს?** მეტყვიან: ყველასაო. დიაღ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ **ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს, რომ მწერალმა ფრთა გაშალოს და იმაზედ განაღვლოს საყოველთაო ნაღვლითა, ანუ გალხინოს საყოველთაო ლხინითა? ქართველობა ხომ არა გგონია საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი? დიაღაც ეგ უნდა იყოს, მაგრამ სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ღა სადმე?** როგორ თუ ვართ-ღაო, შემომიტევ წყრომით. თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცური-კაცობა ხელში მჩვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს; მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ **ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა.** რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!.. ყური მომიგდე“.

ეჭვიც არ მეპარება, რომ დღესაც გამოჩნდებიან ისეთი ქართველები, რომლებიც წყრომით შემოგვიტევენ — რას ჰქვია, არ ვარსებობთო?! მაგრამ რომ ვერ ვშველით საყოველთაო გაჭირვებას, ხალხს რომ ვერ ვუმსუბუქებთ დუხჭირ ცხოვრებას?!

როგორც ილია ამბობს, **„პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსმოკიდებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების“, — ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: „ვართლაო!“**

აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქრები თავიდან მალე მოიშოროს, ადვილად გვიპასუხებს ჩვენ და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო“. ისევე, როგორც დღეს ხშირად გვსაყვედურობენ, — ხელისუფლების ამდენ სიკეთეს, გაკეთებულ საქმეებს როგორ ვერ ხედავთო. ვხედავთ, ბატონებო, ყველაფერს ვხედავთ და იმასაც, რომ ეგ საკმარისი არ არის საიმისოდ, ხალხმა წელგამართული რომ იცხოვროს და ნაგვის ურნაში არ ეძებოს სარჩო.

„ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი — სოფლები, ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო? ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს.

ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის.

თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა — თავადი, გლეხსა — ორივე.

**ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის, საქართველოს, ოჯახის შვილნი?**

თავადის აზრი სათავადოა, აზნაურის — სააზნაურო, გლეხის — საგლეხო, ვაჭრის — სავაჭრო.

**ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი?**

თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი — გლეხსა.

**ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის, საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი?**

...ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური — თავადსა, ორივენი — გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო. ეგ თითო-თითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!“

**მოდი ჩვენც დავსვათ იგივე კითხვა:**

**არიან დღეს ქართველები საქართველოში?**

პასუხიც არ დააყოვნებს: როგორ არ არიან?! არიან პოზიცია, ოპოზიცია, ბიზნესმენები, არასამთავრობოები, სოროსსმიყიდულები, ლიბერასტები, ბანკირები, ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან და ქართველი კი მაინც არსად არის. ეს როგორ?! როგორ და აი ასე: მთავრობის წარმომადგენელს ოპოზიცია სძულს, ოპოზიციონერს კი — ხელისუფლებაში მყოფი, მშიერ და უპატრონოდ მიგდებულ ხალხს — ორივე...

**სულმნათი ილიაც აუცილებლად იკითხავდა: ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის — საქართველოს ოჯახის შვილნი? ნუთუ ესენი ქართველები არიან, ერთს თესლზე აღმოსულნი?**

**ხელისუფალთა აზრი ოპოზიციას არ მოსწონს, ოპოზიციისა — ხელისუფალთ, მათი ურთიერთმტრობა თუ კოაბიტაცია — ხალხს.**

**ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის, საქართველოს, ძუძუთი გაზრდილნი?**

**ეს ბანკირები რომ სიხარბით სისხლს სწოვენ ხალხს, ნუთუ ესენი „თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად“ ქართველი ჰგონია ვისმე?!** ქართველი ხომ საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო?! ეგ თითო-თითოდ, ერთი გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე დავაგროვოთ ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ თითოეული მათგანი ქართველი ჰგონია ვისმეს?!

მართლაც, არ არის ადვილი ამის თქმა და აღიარება, რომ **ხავსმოკიდებულს გუბეში, რომელსაც ჩვენ ქვეყნის სამასხარაოდ ცხოვრებას ვეძახით, სათავისოდ ირჯება ყველა:**

„თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. **ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის**, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“, და ორივენი ერთად კი არაო“.

„ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ — იშვიათი!“

დღეს ქართველებმა გათითოკაცებით, მტრულად დაპირისპირებულ პოლიტიკურ ჯგუფებად დაყოფით (და არა კუთხური კარჩაკეტილობის გამო, რომელზეც ილია საუბრობს მოცემულ წერილში) სწორედ ის შედეგი მიიღეს, რაზეც წუხს დიდი მამულიშვილი:

„განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველსფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა.

რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგანი, რომელიც დაიფუყება, შეგვივიწროვდა, დაგვისუსტდა და, რასაკვირველია, ვეღარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ვეღარ დაიტევდა, და ვერ ზიდავდა... ამ მიზეზით ყოველივე აზრი, **ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებითად, ზნეობითად დავპატარავდით. მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ვეღარ მოვერივენით, რასაც კი გონების თვალით დავაკვირდით, გონებაში ვერ დავიტიეთ; ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეულის ჩვენგანის ღონე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარა გვქონდა**. ზემოთ ვსთქვი, რომ ერთიანი სახელი მთელის ჩვენის ხალხობისა ხუთ თუ ექვს ნაჭრად დავყავით-მეთქი! გონებამ ჩვენმა ერთიანი, მთლიანი აზრი იმ სახელისა ველარ დაიტივა, ვერ ზიდა, აიღო და ის სახელი და მისი აზრი ხალხის მცირე ნაწილს დაარქვა. ამრიგად სიტყვას: ქართველს, რომელსაც ▶

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბედნიეროდ, დღეს კუთხური კარჩაკეტილობის პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ სამაგიეროდ გვაქვს შაგრენის ტყავივით დაპატარავებული სამშობლო, რომელიც ჩვენი პოზიცია-ოპოზიციის ბრძოლის ველადაა გადაქცეული, ერთს მეორისა არ ესმის და, თუ ესმის, თავისებურად. „ამიტომაც ქართველი ველარავის გვიცვნია, თუმცა კი ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ. რათ მოხდა ესე? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ყოველსფერში გავთავთავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავთავდა“.**






**სულმნათი ილიაც აუცილებლად იკითხავდა: ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის — საქართველოს ოჯახის შვილნი? ნუთუ ესენი ქართველები არიან, ერთს თესლზე აღმოსულნი? ხელისუფალთა აზრი ოპოზიციას არ მოსწონს, ოპოზიციისა — ხელისუფალთ, მათი ურთიერთმტრობა თუ კოაბიტაცია — ხალხს. ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის — საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს ბანკირები რომ სიხარბით სისხლს სწოვენ ხალხს, ნუთუ ესენი «თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად» ქართველი ჰგონია ვისმე?!**



◀ საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა. სიტყვას: მამულსაც ეგ საქმე დაემართა“.

**და რა არის მამული?**

„მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, სადაც ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება — ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა — მთელის ხალხისა და მთელს ხალხს — თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა — დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის“.

„ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა. ახლაო, მკითხავ, მკითხველო? ნუთუ მაგას კითხვა-ღა უნდა? განა შენ თვითონ არ იცი, რომ ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, — ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია“.

„სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს: განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო, ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულისშვილობა — მხვნელისა და მთესველის სახელიღაა“.

**აი მწარე სიმართლე, რომელიც, შენც ლახვარივით მოგხვდა, ალბათ, გულში, ჩემო მკითხველო, რადგან გენიშნა სულმნათი ილიას სიტყვები, უცებ გაგახსენდა, ქართული მიწის უზარმაზარი ნაკვეთები როგორ ჩაიგდეს ხელში უცხოელებმა, ჩვენდა სამარცხვინოდ.**

„ზღვა კოვზით არ დაილევაო, ნათქვამია, აი თუ არ დაილევა, სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასაშლელი მნიშვნელობა? განვიმეორებ, **განვთვითეულდით და თვითეულის ზურგმა ველარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ველარ იტვირთა. რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის დონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო**. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული“ დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო“.

ილიას გული სტკივა, რომ საქართველოს ცალკეულმა კუთხეებმა, „თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა. ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ველარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა.

ეხლა, ჩემო მკითხველო, შენ შენს კერძო მამულზედ სწუხარ და სტირი, მე ჩემს კერძო მამულზედა, ყველას გაცალკევებული, საკუთარი და კერძო ნაღველი გვაქვს, როგორღა მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა? რადგანაც ვიცით, რომ ველარ მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა, ამიტომაც სალაპარაკოდაც აღარ შევყრილვართ. ან სალაპარაკოდ რიღასთვის უნდა შევყრილიყავით? ლაპარაკი აზრის აღებმიცემობაა. მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, საერთო აზრის აღებმიცემობა გაგვეწია... რაკი შენ იმერლობა დაირქვი და მე კახელობა, მე შენთან სალაპარაკო აღარა მაქვს-რა და შენ — ჩემთან; რაკი შენ შენს სახნავს მიწას და ერთობ შენს უძრავს ქონებას შენი მამული დაარქვი და მე ჩემსას — ჩემი, მე შენთან საერთო მოსაფიქრებელი აღარა მაქვს-რა, და შენ — ჩემთანა. ამიტომაც დავშორდით ჩვენ ერთმანეთსა, შენ იქით წახველ და მე აქეთ წამოვედი, და მას აქეთ მე და შენ ერთად აღარ გვილაპარაკნია“.

**საბედნიეროდ, დღეს კუთხური კარჩაკეტილობის პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ სამაგიეროდ გვაქვს შაგრენის ტყავივით დაპატარავებული სამშობლო, რომელიც ჩვენი პოზიცია-ოპოზიციის ბრძოლის ველადაა გადაქცეული, ერთს მეორისა არ ესმის და, თუ ესმის, თავისებურად. „ამიტომაც ქართველი ველარავის გვიცვნია, თუმცა კი ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ. რათ მოხდა ესე? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ყოველსფერში გავთავთავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავთავდა“.**

იქვე ილია ქართული ენის პრობლემას უსვამს ხაზს: „სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? **ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა?** საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი — ნეხვად, თავი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?“

ენა, რომელიც ბარბარიზმებით ავავსეთ.

**„მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა.** ჩვენ განკერძოვების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია და რადგანაც ენას მაინც პირში ტოკვა უნდოდა ჩვეულებისამებრ, ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ჩვენი ხუხულაების გარეშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, **ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ**, და მადლობა ღმერთსა, დღევანდლამდე ამ-გვარის სიტყვებით იოლად მივდივართ. ამიტომაც პირუტყვბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აივსო ჩვენი ენა. და დახე, თუ ერთი გონებითი აზრის მცველი სიტყვა ემატნა. მაგალითები ათასია: ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი, ხრუტუნი, ღრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ჟრუტუნი, ფრუტუნი და ათასი ამისთანით აივსო აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავთავდა, მამული — აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის?“

მაშ, ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ, როცა აზრს „ვაფიქსირებთ“ და კიდევ ათას სისულელეს ვამკვიდრებთ ენაში?! ახლა „კლასტერი“ აკერია პირზე ყველას (ამ სიტყვას ვერ იპოვით მ. ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში (1989წ.), ვერც ქართულ ვიკიპედიაში. სამოქალაქო განათლების ქართული ლექსიკონი კი მას ასე განმარტავს: **კლასტერი** — ეს არის საერთო საკითხებზე მომუშავე მასწავლებლების ან სკოლების 4-5 წევრიანი დაჯგუფება; რუსული ვიკიპედიის მიხედვით, **კლასტერი რამდენიმე ერთგვარი ელემენტის გაერთიანებაა,** რომელიც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც გარკვეული თვისებების მქონე დამოუკიდებელი ერთეული) „ლაივ-რეჟიმში“ მომზადებულ გადაცემებში. ან ნეტავ, ვის მოუვიდა პირველად თავში „ლაივ-რეჟიმი“?! ამას ვერც დავადგენთ და არც ვეცდებით, მაგრამ რისი ბრალია, ამგვარი ქართულით რომ საუბრობენ, ძნელი მისახვედრი არ არის... და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ ასეთ „მარგალიტს“ ითმენს ჩვენი საბრალო დედაენა. ნუთუ ენა იმისთვის გვინდა მხოლოდ, **რომ „პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს“?!**

მშობლიურ ენას აგრერიგად ნუ გაუთამამდებით, ბატონებო და ქალბატონებო! თითოეულ სიტყვას თავისი შინაარსი და დანიშნულება, აგრეთვე, თავისი ადგილი აქვს; იგი ადამიანი კი არ არის, უადგილო ადგილას რომ დასვა და მაინც „ი-მუ-შა-ოს“.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# ნეოლიბერალური ზნეობა



## უღვთო კაცობრიობა უკვდავებას ეძებს

**ამრიკელები დაბერებას ახალგაზრდების სისხლის გადასხმით ებრძვიან.**

ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც გამოაქვეყნა აშშ-ის ჯანდაცვის სამინისტროს საზედამხედველო სააგენტომ (აკონტროლებს საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ხარისხს), დაბეჯითებით არის ნათქვამი, რომ, ასეთი „მკურნალობის" პოპულარობისა და სიძვირის მიუხედავად, მისი ეფექტიანობა არავითარი სამეცნიერო კვლევით არ დასტურდება. მეტიც, სისხლის (ამ შემთხვევაში — პლაზმის) ნებისმიერი გადასხმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჯანმრთელობის გაუარესების რისკთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, კლინიკები, რომლებიც ამ საქმეს მისდევენ, აშშ-ის რამდენიმე შტატში ინტენსიურად მუშაობენ და დიდად პოპულარულიც არიან.

ამასთანავე, როგორც Business Ynsider-ი აზუსტებს, „ახალგაზრდა სისხლის" თითოეული ინიექცია პაციენტს 8-დან 12 ათასამდე დოლარი უჯდება.



## ამბროზია — ღმერთების საკვები

**საზედამხედველო სააგენტოს განცხადებაში დასახელებული არ არის კონკრეტული კლინიკები ან კომპანიები, რომლებიც პლაზმის საშუალებით „აახალგაზრდავებენ" პაციენტებს, მაგრამ ნათქვამია, რომ რეგულატორი აპირებს, დაუკავშირდეს ამ კომპანიებს და მოსთხოვოს, შეწყვიტონ პაციენტების ნდობით სარგებლობა.**

აშშ-ის მასმედია და სამეცნიერო წრეებს მიტმასნილი გამოცემები (მათ შორის National Post, Business Ynsider და MT Technology Review), წლებია, რეკლამას უწევენ კომპანია Ambrosia-ს.

ძველბერძნულ მითოლოგიაში ამბროზია ეწოდებოდა ოლიმპიური ღმერთების საკვებს, რომელიც უზრუნველყოფდა მათ უკვდავებას.

„ამბროზია" კალიფორნიაში დააარსა სტენფორდის სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებულმა **ჯესი კარმაზინმა.** მისი იდეა უმარტივესი იყო: 16-დან 26 წლამდე დონორების პლაზმის გადასხმა ყველა მსურველისთვის.

კარმაზინის განცხადებით, ეს იდეა მას ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაებადა, მას შემდეგ, რაც მრავალჯერ დაესწრო სისხლის გადასხმის პროცედურას. ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ პაციენტები, რომლებსაც ახალგაზრდების სისხლს გადაუსხამდნენ, თავს უკეთესად გრძნობდნენ და უფრო სწრაფად გამოჯანმრთელდებოდნენ.

იმავე წელს კომპანიამ განაცხადა, რომ იწყებს კლინიკური კვლევების განხორციელებას, რათა მეცნიერულად დაადასტუროს ამ პროცედურის სარგებლიანობა, მაგრამ ჩატარებული ცდების მასშტაბი მცირე იყო — ორასიოდ მოხალისე შეიკრიბა მხოლოდ, არადა, 600 კაცზე აპირებდნენ ცდების ჩატარებას.

„არ არსებობს არავითარი კლინიკური დასაბუთება *(იმისა, რომ ასეთი მკურნალობა სასარგებლო იქნება),* — ციტირებდა მაშინ ჟურნალი Science სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორ **ტონი უაისკორის** დასკვნას, რომელიც ახალგაზრდა სისხლის გადასხმის ეფექტიანობის ცდებს მღრღნელებზე განახორციელებდა, — ასე რომ, ფაქტობრივად, ეს არის ადამიანების მიმნდობლობის ბოროტად გამოყენების ფაქტი".

„ამბროზიას" მიერ განხორციელებული კვლევების შედეგები დღემდე არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ, Business Ynsider-ის მონაცემებით, დღეისთვის ამ კომპანიის კლინიკები აშშ-ის უკვე ხუთ ქალაქშია გახსნილი.

## მონსტრი: ინდონეზიელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს დიდ ბრიტანეთში 48 მამაკაცის გაუპატიურებისთვის





**ეს ინდონეზიელი 36 წლის რეინჰარდ სინაგაა, რომელსაც დიდ ბრიტანეთში „ქვეყნის ისტორიაში ყველაზე აქტიურ მოძალადედ" მიიჩნევენ, — იუწყება ABC News.**

გამომძიებლები დარწმუნებული არიან, რომ ამ მონსტრს 48 დანაშაულზე გაცილებით მეტი აქვს ჩადენილი: მსხვერპლთა რაოდენობა დაახლოებით 195 მამაკაცია. მათი გაუპატიურების სცენები ვიდეოზე არის ჩაწერილი და აშკარად ჩანს, რომ ისინი გონებაგათიშულები არიან.

მოსამართლე **სუზანა გოდარდმა** განაცხადა, რომ სინაგას მსხვერპლთა რაოდენობას ვერავინ ვერასოდეს დაადგენს.

„თქვენ ბოროტი სექსუალური მტაცებელი ცხოველი ხართ, მხეცი, რომელიც ახალგაზრდა ადამიანებზე ნადირობდა, იმათზე, ვინც ქალაქის ცენტრში დასასვენებლად მოდიოდა. მსხვერპლთაგან ერთ-ერთმა თქვენ დაგახასიათათ, როგორც მონსტრი. თქვენი მხეცური „საქმიანობის" სისასტიკე და მასშტაბი ადასტურებს, რომ ეს დახასიათება (მონსტრი) ზუსტია", — თქვა მოსამართლემ და დაასკვნა, რომ გაუპატიურების ასეთი „ხანგრძლივი კამპანია", ეეჭვება, ოდესმე განეხილათ ბრიტანეთის რომელიმე სასამართლოში.

პროკურორების აზრით, სინაგა არ ტოვებდა ბოროტი ადამიანის შთაბეჭდილებას, როცა ახალგაზრდა მამაკაცებს ეცნობოდა, მათ შორის ალკოჰოლური სიმთვრალის დროს და სთავაზობდა ღამე მის ბინაში გაეთენებინათ. თავისი ძალადობრივი სექსუალური კონტაქტების დიდ ნაწილს ბოროტმოქმედი ვიდეოზე იწერდა.

სინაგა დიდ ბრიტანეთში 2007 წელს მშობლიური ინდონეზიიდან სტუდენტური ვიზით ჩავიდა. მანჩესტერის უნივერსიტეტში დაიცვა ორი ხარისხი სოციოლოგიასა და და გეგმარებაში, დაპატიმრებამდე ლიდსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტურანტურაში სწავლობდა. მისი სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება იყო „სექსუალობა და ყოველდღიური ტრანსნაციონალიზმი. სამხრეთაზიელი გეები და ბისექსუალები მანჩესტერში".

BBC იუწყება, რომ სასამართლომ სინაგა დამნაშავედ ცნო სექსუალური ძალადობის 14 შემთხვევაში და ერთხელ — სექსუალურ ძალადობაში, რომლის მიზანი იყო გაუპატიურება. ამასთან, საერთო ჯამში დაუდასტურდა 48 ადამიანის გაუპატიურება.

სინაგა უარყოფდა მისთვის წაყენებულ ყველა ბრალდებას, ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ სექსუალური ურთიერთობა ორმხრივი თანხმობით ხორციელდებოდა და ყველა მამაკაცი თავს წაიმძინარებდა ვიდეოგადაღების დროს, რომელზეც წინასწარ თანხმობა ჰქონდა მიცემული.

იგი დააპატიმრეს 2017 წლის ივნისში, როცა მის მიერ გაბრუებული მამაკაცი უცებ გამოფხიზლდა, დაჯაბნა მოძალადე და გამოიძახა პოლიცია.

პოლიციელებმა გამოძიების დროს აღმოუჩინეს მას ტელეფონზე ჩაწერილი გაუპატიურების ყველა ფაქტი, რომელთა საერთო ხანგრძლივობა ასობით საათი იყო.

მანჩესტერის პოლიციის უფროსის მოადგილე **მეგს ჰუსეინის** თქმით, სინაგას მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის დადგენა, ალბათ, შეუძლებელი იქნება.

## სკანდალი საფრანგეთში: ცნობილმა მწვრთნელმა 15 წლის მოციგურავე გოგონა გააუპატიურა



**20 წლის შემდეგ ბოდიში მოუხადა.**

**მწვრთნელის სახელი და გვარია ჟილ ბეიერი.** მან აღიარა დანაშაული. საფრანგეთის ათგზის ჩემპიონ **სარა აბიტბოლს** ამის თაობაზე ხმა არ ამოუღია. წლების განმავლობაში ფსიქოთერაპიას იტარებდა. ბოლოს გადაწყვიტა და გამოსცა თავისი ავტობიოგრაფია, მკითხველებს მოუთხრო თავს გადამხდარ კოშმარზე.

აღსარებაში, რომლის სათაურია „ასეთი ხანგრძლივი დუმილი", აბიტბოლი წერს, რომ იგი უსაზღვროდ ენდობოდა მწვრთნელს. ზუსტად იმ მომენტამდე, როცა ერთხელ ღამით იგი მასთან საძინებელ ოთახში შევიდა. „ძალადობა, — იხსენებს სარა, — ორ წელიწადს გრძელდებოდა, სანამ იგი სხვა მწვრთნელთან არ გადავიდა". გაირკვა, რომ ბეიერის უზნეო ქცევის შესახებ იცოდნენ. 2000-იანი წლების დასაწყისში იგი მწვრთნელობას ჩამოაცილეს კიდეც, მაგრამ მალევე აღადგინეს სამწვრთნელო ასპარეზზე.

მაგრამ ამჟამად გამჟღავნებული სკანდალის მიჩუმათება ველარ შეძლეს.

ბეიერს უჩივლა **ელენ გოდარმა.** მისი განცხადებით, მწვრთნელმა იგი ორჯერ გააუპატიურა 13 და 14 წლისა. **ბეატრის დიუმურმა** და **ელენ ბრენომ** აღიარეს: როცა ისინი 13 წლისანი იყვნენ, 80-იანი წლების დასაწყისში მათზე მწვრთნელმა **მიშელ ლოტცმა** იძალადა. ჟილ ბეიერმა, მართალია, აღიარა დანაშაული, მაგრამ დასძინა, რომ ვერც წარმოედგინა, „ეს სქესობრივი კავშირი მას (გოგონას) ასეთ მძიმე ტრავმას თუ მიაყენებდა".

31 იანვარს ბეიერი სასწრაფოდ ჩამოაცილეს პარიზის სპორტკომპლექს „ბერსის" გენერალურ მენეჯერობას, სადაც მისი ხელმძღვანელობით იწვრთნებოდნენ ნორჩი ჰოკეისტები და მოციგურავეები, მაგრამ სკანდალების ტალღამ უამრავი შეკითხვა გააჩინა ნორჩი სპორტსმენების აღზრდის მთელი სისტემის მიმართ. სპორტის მინისტრმა საფრანგეთის შესაბამის სპორტულ ფედერაციას განმარტება მოსთხოვა. იუწყებიან, რომ ამ ფედერაციის ხელმძღვანელმა შესანიშნავად იცოდა, რაც იქ ხდებოდა, მაგრამ რატომღაც დუმილს ამჯობინებდა.

**ისრაელის სახელმწიფოს შექმნის უპირველესი მოწინააღმდეგეები ბრიტანელები იყვნენ. სწორედ ისინი არწმუნებდნენ ამერიკელ მოკავშირეებს, მხარი არ დაეჭირათ ამ ისტორიული მოვლენისთვის. არგუმენტი: ისრაელის სახელმწიფო პროსაბჭოთა ორიენტაციის ქვეყნად ჩამოყალიბდებოდა ახლო აღმოსავლეთში**

ოცდამეხუთე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### რუბრიკის წარდგენა

„ოცდამეხუთე გვერდი" შორეული ანალოგიაა „ოცდამეხუთე კადრის". მიაჩნიათ, რომ სწორედ იგი უშუალოდ მოქმედებს ქვეცნობიერზე, ამიტომაც მას ხშირად იყენებენ მაყურებლისთვის განსაკუთრებული ინფორმაციის მისაწოდებლად. ფარულად და მოულოდნელად. ჩვენი 24-გვერდიანი გაზეთის ახალ რუბრიკას დასამალი არაფერი აქვს, მოულოდნელი და მწვავე თემები კი, რომელთა გამოქვეყნებისგან, როგორც წესი, თავს იკავებენ, ინებეთ!
დღეს პრემიერაა.

# იაკობ კედმი: პოლონელებმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უფრო მეტი ებრაელი დახოცეს, ვიდრე გერმანელებმა

## დენაციფიკაციის კონტურები

**„ნაციზმი ევროპული ცივილიზაციის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია", — მიაჩნია იაკობ კედმის, ისრაელის ცნობილ სახელმწიფო მოღვაწესა და სამხედრო-პოლიტიკურ ექსპერტს. იგი ამტკიცებს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დენაციფიკაცია სრულად მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიაში განხორციელდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანელი საზოგადოებრიობა ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა — უნდა გადაეფასებინა თავისი ისტორიული გამოცდილება, ჩამოეყალიბებინა სრულიად ახალი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა, გაეცნობიერებინა საკუთარი ბრალეულობა მსოფლიოს წინაშე და კანონით გათვალისწინებული სადამსჯელო ღონისძიებები განეხორციელებინა ფაშისტების, ნაცისტების, მათი მომსახურეებისა და ხელშემწყობთა მიმართ.**

— ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, გერმანიაში განხორციელებული დენაციფიკაცია საკმაოდ ეფექტიანი იყო, მაგრამ დენაციფიკაცია არ მომხდარა **უნგრეთში, რუმინეთში, პოლონეთში,** არც **უკრაინასა** და **ბალტიისპირეთის** რესპუბლიკებში, რადგან საბჭოთა მთავრობამ მიიჩნია, რომ იგი ეროვნებათაშორის დაპირისპირებას გამოიწვევდა, — ამბობს **კედმი,** — ბანდერელთა ხროვამ ათი წლით პატიმრობა რომ მოიხადა, გათავისუფლდა. ყველანი უნდა დაეხვრიტათ! ახლა ასპარეზზე მათი ყლორტები გამოვიდნენ.

რუმინეთიც ამ რიგში იყო მანამდე, სანამ ყოფილი ოფიცრები არ ამბოხდნენ, **მეფე მიხაიმ** საბჭოთა კავშირს ჩააბარა ქვეყანა, სანაცვლოდ მიიღო საბჭოთა ორდენი „პობედა" (გამარჯვება) და შინ წავიდა. იმას, რაც ამჟამად რუმინეთში ხდება, საფუძველი ჩაეყარა მაშინ, როცა დამნაშავეებს პასუხი არ აგებინეს.

რუმინეთში, უნგრეთში, იტალიაში დღეს ნაციზმის აღორძინება მიმდინარეობს. პოლონეთზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს.

— მინდა გაგახსენოთ, — განაგრძობს **კედმი**, — რომ **მეორე მსოფლიო ომის დროს „გმირმა" პოლონურმა „არმია კრაიოვამ" უფრო მეტი საბჭოთა მეომარი დახოცა, ვიდრე გერმანელებმა. უკრაინელები და ბალტიისპირელები კლავდნენ ებრაელებს გერმანელების ხელმძღვანელობით. პოლონელები სიცოცხლეს უსწრაფებდნენ თავიანთ მეზობელ ებრაელებს. მაგალითად, 1941 წლის 10 ივლისს პოლონურ დაბა ევბანისა და ახლომდებარე რაიონების მცხოვრებლებმა 1600 ებრაელი გამოასალმეს სიცოცხლეს, რის გამოც პოლონეთის პრეზიდენტმა კვასნევსკიმ ბოდიში მოიხადა (იხ. იან თომას გროშისა და ირენა გრუძინსკაია-გროშის წიგნი „ოქროს სამკალი".**

**ბანდერა** და **შუხევიჩი** ნაცისტები იყვნენ. ეს იცის ყველამ ჩემს ქვეყანაში *(ისრაელში).* ჩემი მეგობრები მიყვებოდნენ, რომ მათი მშობლები, ბებია-ბაბუები ბანდერელებმა მოკლეს. მოკლეს არა იმიტომ, რომ შინსახკომელები იყვნენ (რასაც მკვლელები თავის გასამართლებლად აბრალებდნენ), არამედ იმიტომ, რომ ებრაელები გახლდნენ — მასწავლებლები, ექიმები... მკვლევარებმა დაადგინეს, რომ **უკრაინაში ყოფილი საბჭოთა კავშირის 1,5 მილიონამდე ებრაელი დაიღუპა, პოლონეთში — 3 მილიონამდე პოლონელი იუდეველი.**

პოლონეთში ბევრი იყო ე.წ. მშვიდობის წმინდანი — შვიდი ათასი ადამიანი. მაგრამ ეს არ ამართლებს იმ პოლონელებს, რომლებმაც უფრო მეტი ებრაელი დახოცეს, ვიდრე გერმანელებმა. ლიტვაში ადგილობრივი მკვიდრნი ებრაელებს რომ კლავდნენ, უტყუარი ფაქტია.

**ნიკიტა ხრუშჩოვმა** 1945 წელს ცენტრალურ კომიტეტს თხოვნით რომ მიმართა, არ დაებრუნებინათ კიევში ებრაელები, იცით, რატომ? იმიტომ, რომ ისინი უნდა დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში, რომლებშიც უკრაინელები იყვნენ შეჭრილები, რაც ეროვნებათაშორისი ურთიერთობის გამწვავების მიზეზი შეიქნებოდა.

**უკრაინაში დენაციფიკაცია არ განუხორციელებიათ.** ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ებრაელი ოფიცერი შინ რომ დაბრუნდა, შეხვდა უკრაინელ კოლეგას, დალიეს და უკრაინელი ისე გამოთვრა, რომ წვრილად მოუყვა თანამეინახეს, როგორ ხოცავდა ებრაელებს. მან კი გაიყვანა ეზოში და მოკლა. უკრაინელმა არ იცოდა, რომ ის კაცი ებრაელი იყო.

კედმი დარწმუნებულია, რომ **ისრაელის სახელმწიფოს შექმნის უპირველესი მოწინააღმდეგეები ბრიტანელები იყვნენ. სწორედ ისინი არწმუნებდნენ ამერიკელ მოკავშირეებს, მხარი არ დაეჭირათ ამ ისტორიული მოვლენისთვის. არგუმენტი: ისრაელის სახელმწიფო პროსაბჭოთა ორიენტაციის ქვეყნად ჩამოყალიბდებოდა ახლო აღმოსავლეთში, რომელზეც გავლენის შენარჩუნება ინგლისის ინტერესებში შედიოდა. ისრაელის პროსაბჭოურობა საბჭოთა კავშირიდან წამოსული და ისტორიულ სამშობლოში ჩასახლებულ იუდეველთა გავლენით იყო გარანტირებული.**

**ყველას გასაგონად უნდა განვაცხადოთ: ნაცისტებს, ძირითადად, კომუნისტები ებრძოდნენ. ძეგლი კი ევროპაში ნაცისტების მიერ დახოცილ ჰომოსექსუალებს დაუდგეს. ამ ყველაფერმა საშუალება მისცათ (ცრულიბერალებს), კომუნისტები ნაცისტებთან გაეიგივებინათ**



**უკრაინელები და ბალტიისპირელები კლავდნენ ებრაელებს გერმანელების ხელმძღვანელობით. პოლონელები სიცოცხლეს უსწრაფებდნენ თავიანთ მეზობელ ებრაელებს. მაგალითად, 1941 წლის 10 ივლისს პოლონურ დაბა ევბანისა და ახლომდებარე რაიონების მცხოვრებლებმა 1600 ებრაელი გამოასალმეს სიცოცხლეს**

— რადგან საბჭოთა კავშირი ჯოჯოხეთის ნაშობია, მნიშვნელობა არ აქვს სხვას არაფერს: არც იმას, რომ ისრაელი დამოუკიდებელი ქვეყანა იქნება მათი, ვინც გადაურჩა საკონცენტრაციო ბანაკებს; არც იმას, რომ სსრკ ის მოკავშირეა, რომელმაც ორიოდე წლის წინათ დაამარცხა ნაცისტები და რომელსაც ინგლისელები და ამერიკელები დაჩოქილები ევედრებოდნენ, გაეძლიერებინა შეტევები აღმოსავლეთ ფრონტზე.

კიდევ კარგი, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა, რომელსაც პირადი ინტერესები ამოძრავებდა, ამ მრჩეველებს ყური არ ათხოვა. მიაფურთხა!

ეს მაგალითი მეტყველებს, რომ, როცა დასჭირდებათ რუსეთის დელეგიტიმაცია, ე.წ. პარტნიორები ყველა საშუალებას იყენებენ.

**კედმი ისტორიული სიმართლის აღდგენას მოითხოვს და კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევს კონიუნქტურულ გაყალბებას:**

**— დღეს ხშირად გამოდიან და ბევრს ლაპარაკობენ ესტონელებზე, რომლებიც ნაცისტებს ემსახურებოდნენ. ასჯერ მეტი ესტონელი იბრძოდა წითელ არმიაში. ბევრ მათგანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაც კი მიენიჭა.**

მაგრამ ამაზე არ ლაპარაკობენ.

რატომ არის შეუძლებელი ერთი ესტონელის მეორესთან დაპირისპირების იმგვარად წარმოჩენა, როგორც ეს ისტორიაში იყო?!

ომი რომ დაიწყო, ლატვიური არმია ჯერ კიდევ არსებობდა. მისი ბატალიონები წითელი არმიის რიგებში იბრძოდნენ. ამ ლატვიელების რაოდენობა ასჯერ აჭარბებდა „ტყის ძმების" რაოდენობას, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავდნენ.

„პატრიოტები"...

ამაზეც არავინ ლაპარაკობს.

**ევროპა ებრძოდა თავის კომუნისტებს.** ასე იყო ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, რუმინეთში, უნგრეთში. პოლონეთში მხოლოდ ის კომუნისტები გადარჩნენ, რომლებიც „არმია ლუდოვის" ჯარისკაცები იყვნენ. საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობა ვისგან შედგებოდა? ფრანკისტული ესპანეთიდან ლტოლვილი კომუნისტებისგან, რესპუბლიკელებისგან; იქ იყვნენ ებრაელები და ფრანგი კომუნისტები.

სხვა არავინ ებრძოდა ნაცისტებს!

დაივიწყეს ეს სიმართლე.

იტალიელი პარტიზანების ძირითადი რაზმები კომუნისტებისგან შედგებოდა. იუგოსლავიაშიც ასე იყო. ალბანეთში, საბერძნეთში იბრძოდნენ კომუნისტები **(კომუნისტებს საბერძნეთში ინგლისელები გაუსწორდნენ, ადგილობრივი კოლაბორაციონისტების დახმარებით).**

— რატომ დუმან ამის თაობაზე? რატომ არ ამბობენ სიმართლეს? მხოლოდ თავის მართლებით რატომ იფარგლებიან კომუნისტები? არაა საჭირო თავის მართლება! ამ ქვეყნების მოსახლეობას უთხარით, სინამდვილეში ვინ იბრძოდა!

ასეთი პროპაგანდისტული შეტევის მიზანი ერთადერთია — რუსეთის დელეგიტიმაცია. **მათ ყური რომ დაუგდო, რუსეთმა შექმნა „ალ-ქაიდა", „ისლამური სახელმწიფო", „ძმები მუსლიმები"; რუსეთმა დაიწყო ათი წლის წინათ სამოქალაქო ომი სირიაში. ეს სიცრუე უკვე აქსიომად ჩამოყალიბდა. წლების განმავლობაში ამახინჯებენ ისტორიას, ამიტომ ყველას გასაგონად უნდა განვაცხადოთ: ნაცისტებს, ძირითადად, კომუნისტები ებრძოდნენ. ძეგლი კი ევროპაში ნაცისტების მიერ დახოცილ ჰომოსექსუალებს დაუდგეს. ამ ყველაფერმა საშუალება მისცათ (ცრულიბერალებს), კომუნისტები ნაცისტებთან გაეიგივებინათ.**

ნაცისტების წინააღმდეგ მებრძოლების ღვაწლი წაბილწეს, ტალახში აზილეს.

სანამ ყველა მათგანის ხსოვნას პატივს არ მივაგებთ, ყველასი, ვინც ნაციზმს ებრძოდა, უპირველესად კი — კომუნისტებისას, შეუძლებელი იქნება ომის გაკვეთილების გათვალისწინება. მაგრამ დღეს ამაზე ისინიც კი არ ლაპარაკობენ, ვინც კომუნისტებად იწოდებიან, — ასკვნის იაკობ კედმი.

**უცხოური პუბლიკაციების მიხედვით მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დაცემასთან ერთად, მიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხების მკვეთრი შემცირება და უცხოეთში სამუშაოს საძებნელად წასული ადამიანების სამშობლოში დაბრუნება უმუშევართა რანგში კიდევ ერთი ფაქტორია ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გამწვავებისთვის“.

# უკრაინელი პარლამენტარი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მითითებების შესრულებამ უკრაინა ნახევრად კოლონიად გადააქცია



**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ნაკარნახევი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებით უკრაინა ნელ-ნელა იქცა დასავლეთის სანედლეულე დანამატად და დე ფაქტო ნახევრად კოლონიად, — განაცხადა უკრაინის უზენაესი რადას (პარლამენტის) დეპუტატმა, თავმჯდომარემ პარტიისა „ოპოზიციური პლატფორმა სიცოცხლისთვის“ ვიქტორ მედვედევმა. პარლამენტარმა თავისი განცხადება პოლიტიკური პარტიის ვებგვერდზე გამოაქვეყნა.**

მედვედჩუკმა ყურადღება გაამახვილა მსოფლიო ბანკის ინფორმაციაზე, რომელიც კორონავირუსის გავრცელების ფონზე ატეხილი აჟიოტაჟის გამო თითქმის შეუმჩნეველი დარჩა: **2019 წელს უცხოეთში მყოფმა უკრაინელებმა სამშობლოში 15,8 მლრდ დოლარი გადარიცხეს.**

„ეს ჩვენი ქვეყნისთვის გიგანტური თანხაა, რომლის წყალობითაც შარშან უკრაინელებმა თავი გაიტანეს, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული ანტისოციალური პოლიტიკისა. შეგახსენებთ, რომ 15,8 მლრდ დოლარი — ეს უკრაინის მშპ-ს 10%-ზე მეტია. ნიშანდობლივია, რომ უცხოეთში მომუშავე უკრაინელების მიერ 2019 წელს გადმორიცხული თანხა 6-ჯერ აღემატება 2019 წლის პირდაპირ ინვესტიციებს უკრაინაში“, — აღნიშნავს უკრაინელი პარლამენტარი.

„მაგრამ ეს გადარიცხვები 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდება, — ხაზს უსვამს მედვედჩუკი, — **მსოფლიო ბანკის პროგნოზით, მიგრანტების მიერ ფულადი გადარიცხვები კორონავირუსის გამო მნიშვნელოვნად შემცირდება 2020 წელს. გადარიცხვების მოცულობა განსაკუთრებით შემცირდება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ეს შემცირება იქნება 27,5%-იანი“.**

პარლამენტარი განმარტავს, რომ ეს უკრაინისთვის გამოიწვევს მშპ-ის 5%-ით შემცირებას. ამას დაემატება უმუშევრობის დახმარება სამშობლოში დაბრუნებული მილიონობით გასტერბაიტერისთვის, აგრეთვე, სამომხმარებლო ბაზარზე მოთხოვნების შემცირება. ეს და კიდევ სხვა ფაქტორები განაპირობებს მშპ-ის კიდევ 3%-ით შემცირებას.

ამრიგად, **სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დაცემასთან ერთად, მიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხების მკვეთრი შემცირება და უცხოეთში სამუშაოს საძებნელად წასული ადამიანების სამშობლოში დაბრუნება უმუშევართა რანგში კიდევ ერთი ფაქტორია ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გამწვავებისთვის.**

უკრაინელი დეპუტატი დარწმუნებულია: „იმისათვის, რომ უკრაინა იყოს სუვერენული სახელმწიფო, უარი უნდა თქვას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ნაკარნახევ პოლიტიკაზე, რომელმაც ქვეყანა ნახევრად კოლონიად გადააქცია“.

„ამ ნახევრადკოლონიური დამოკიდებულებისთვის თავის დაღწევა უკრაინისთვის ძირითადი ამოცანაა. სუვერენიტეტის მოპოვების გარეშე, მათ შორის ეკონომიკურ პოლიტიკაში, შეუძლებელია ქვეყნის გამოსვლა სისტემური კრიზისიდან“, — ასკვნის ვიქტორ მედვედჩუკი.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**




**2019 წელს უცხოეთში მყოფმა უკრაინელებმა სამშობლოში 15,8 მლრდ დოლარი გადარიცხეს. „ეს ჩვენი ქვეყნისთვის გიგანტური თანხაა, რომლის წყალობითაც შარშან უკრაინელებმა თავი გაიტანეს, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული ანტისოციალური პოლიტიკისა. შეგახსენებთ, რომ 15,8 მლრდ დოლარი უკრაინის მშპ-ს 10%-ზე მეტია. ნიშანდობლივია, რომ უცხოეთში მომუშავე უკრაინელების მიერ 2019 წელს გადმორიცხული თანხა 6-ჯერ აღემატება 2019 წლის პირდაპირ ინვესტიციებს უკრაინაში“, — აღნიშნავს უკრაინელი პარლამენტარი**



# ტრამპი: უკვე 30 წელიწადია, ბაიდენი არაკომპეტენტურია. ყველაფერი, რაც ოდესმე გაუკეთებია, იყო ცუდი. მისი საგარეო პოლიტიკა იყო კატასტროფული

## ტრამპს არ სჯერა გამოკითხვების, რომლებშიც ბაიდენი ლიდერობს

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ არ სჯერა საზოგადოებრივი აზრის იმ გამოკითხვების, რომლებშიც წინასაარჩევნო ბრძოლაში ლიდერად დასახელებულია დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ჯო ბაიდენი, — იუწყება Reuters-ი.**

„მე არ მჯერა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების. მე მჯერა, რომ ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები ძალიან ჭკვიანები არიან. და არ ვფიქრობ, რომ ისინი აქ (თეთრ სახლში) არაკომპეტენტურ ადამიანს დასვამენ“, — განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ არ მიიჩნევს ბაიდენს ადამიანად, რომელიც შეძლებს ქვეყნის მართვას, რადგან მან უკვე „წარმოაჩინა თავისი არაკომპეტენტურობა სენატორობისას და პრეზიდენტ ობამას პერიოდში ვიცეპრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას“.

„ის უკვე 30 წელიწადია, არაკომპეტენტურია, ყველაფერი, რაც ოდესმე გაუკეთებია, იყო ცუდი. მისი საგარეო პოლიტიკა იყო კატასტროფული“, — თქვა ტრამპმა.

სააგენტო Reuters-ის მიერ რამდენიმე დღის წინათ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ნოემბერში გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩევლების 44% მხარს ბაიდენს დაუჭერს, 40% — ტრამპს.

**eadiali.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# მეცნიერებმა დაასახელეს დაავადებები, რომლებიც კორონავირუსით ინფიცირებისას ზრდის სიკვდილის ალბათობას

**მწვავე რესპირატორული დაავადებების წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციის (ISARIC) ექსპერტებმა დაასახელეს დაავადებები, რომლებთან ერთადაც კორონავირუსის ინფიცირებისას იმატებს სიკვდილიანობა. ეს დაავადებებია: დემენცია (შეძენილი ჭკუასუსტობა), სიმსუქნე, გულსისხლძარღვთა დაავადებები, ასთმა და დიაბეტი.**

დიდ ბრიტანეთში კორონავირუსით ინფიცირებული 16 749 ადამიანის მონაცემების გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ პაციენტთა ნახევარზე მეტს ჰქონდა, სულ ცოტა, ერთი ქრონიკული დაავადება, ხოლო ასეთ პაციენტებში სიკვდილის შემთხვევების რაოდენობა 40%-ით მეტია.

თანმხლებ დაავადებათა შორის ყველაზე სახიფათო აღმოჩნდა **დემენცია** — ის ზრდის სიკვდილის ალბათობას 39%-ით. შემდეგ მოდის **სიმსუქნე**, რომელიც გარდაცვალების რისკს 37%-ით ზრდის, **გულსისხლძარღვთა** დაავადებები კი — 31%-ით. სიკვდილის შემთხვევების მატებას ხელს უწყობს, აგრეთვე, **ასთმა, დიაბეტი** და **თირკმლების** დაავადებები.



**Radiosputnik.ru-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**




# კიმ ჩენ ინი საზოგადოებაში გამოჩნდა

**ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი 1 მაისს 20 დღის განმავლობაში პირველად გამოჩნდა საზოგადოების წინაშე — მან ქალაქ სუნჩხონის სასუქების ქარხანა გახსნა. როგორც კორეის ცენტრალური სატელეგრაფო სააგენტო იუწყება, იქ მას შეხვდნენ შეძახილებით: „ვაშა!“**

„უმაღლესმა ხელმძღვანელმა, ამხანაგმა კიმ ჩენ ინმა პირადად გაჭრა ლენტი, რაც მშენებლობის დასრულებას ნიშნავდა“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა დაათვალიერა ქარხნის საამქროები, რომლებშიც იგეგმება ფოსფორისა და ფოსფორიანი სასუქების დამზადება.

ეს კიმ ჩენ ინის პირველი გამოსვლაა საზოგადოებაში 11 აპრილის შემდეგ. მისმა არყოფნამ ბაბუის, კიმ ირ სენის, დაბადების 108-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გააჩინა ვარაუდები კორეის ლიდერის ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის შესახებ.

**მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

**რამზეს სანგუინო ლაპარაკობს 7 ენაზე და ხსნის რთულ მათემატიკურ ამოცანებს. ამას გარდა, დედამისი ამტკიცებს, რომ რამზესს ტელეპათიის უნარიც აქვს — შეუძლია გამოიცნოს დედის მიერ ჩაფიქრებული ციფრები ან კარტები. თუმცა ბიჭს ტელეპათიის უნარი რომ აქვს, ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული მეცნიერულად. კვლევებს ატარებენ სპეციალისტები.**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უნიკალური უნარის მქონე 5 ადამიანი



**ძნელია პოვნა ისეთი ადამიანისა, რომელიც უარს იტყვის განსაკუთრებულ უნარზე. ფანტასტიკური ფილმები, წიგნები სუპერგმირებზე გვიბიძგებს, ვიფიქროთ, რა კარგი იქნებოდა, გამორჩეული ნიჭით რომ ვიყოთ დაჯილდოებული. არადა, ეს სუპერადამიანები ზებუნებრივი უნარებით მართლა არსებობენ. აი რამდენიმე მათგანი.**



## ქალი, რომელსაც ყველაფერი ახსოვს

ამერიკელი ქალი **ჯილ პრაისი** მსოფლიოში პირველი ადამიანია, რომელსაც დაუსვეს დიაგნოზი — ზეზუსტი ავტობიოგრაფიული მეხსიერების სინდრომი, ანუ ჰიპერტიმეზია. ასეთი დიაგნოზით მსოფლიოში სულ 60 ადამიანია. ჯილს 8 წლიდან დეტალებში ახსოვს თავისი ცხოვრების თითოეული დღე. ახლა ის 54 წლისაა. მოგონებები მის მეხსიერებაში უნებურად ჩნდება. პრაისი ამბობს: **„ეს ჰგავს დიდ ეკრანს, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად: ერთ ნაწილზე აწმყოა, ხოლო მეორეზე გამუდმებით აჩვენებენ წარსულს. მოგონების სტიმულატორად კი შეიძლება ნებისმიერი წვრილმანი იქცეს“.**

ეს ქალი რომ არა, მეცნიერები, ალბათ, ვერც იფიქრებდნენ ჰიპერტიმეზიის არსებობაზე. ჯილმა თვითონ მისწერა კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერ **ჯეიმს მაკგოს**, რომელიც იმხანად მეხსიერების ნეირობიოლოგიის ცენტრს ხელმძღვანელობდა. მაკგომ თავაზიანად უპასუხა, რომ ეს საავადმყოფო კი არა, კვლევითი ცენტრია და ურჩია, ექიმისთვის მიემართა. ის, რაც უპასუხა პრაისმა, მაკგოს დღესაც ახსოვს: „როცა, სადმე რაიმე თარიღს ვხედავ, მყისვე გადავდივარ იმ დღის მოგონებებში და ვხედავ ყველაფერს: სად ვიყავი, ვისთან ვიყავი, რას ვაკეთებდი. ასე ხდება გამუდმებით, უკონტროლოდ, ქანცის გაწყვეტამდე. შეიძლება ეს რაღაც ნიჭია, მაგრამ ჩემთვის მძიმე ტვირთია, ჩემი ტვინი გამუდმებით მახსენებს ჩემი ცხოვრების თითოეულ დღეს. ეს, უბრალოდ, მაგიჟებს!“

მაკგო დაინტერესდა ამ შემთხვევით. ის შეხვდა ჯილ პრაისს და უამრავი გამოკვლევა ჩაუტარა, სანამ დარწმუნდებოდა, რომ ყველაფერი მართლა ისეა, როგორც ქალი ამბობს. მაკგო ხშირად იმეორებს, რომ მეხსიერება — ეს არის ჩვენი ხიდი მომავალში, მაგრამ ჯილისთვის სხვაგვარადაა: „ფიქრი იმაზე, რომ ჩემი მეხსიერება მე კიდევ არაერთ წელიწადს გამიფუჭებს, სასოწარკვეთილებაში მაგდებს“.

2005 წლის 30 მარტიდან, მას შემდეგ, რაც ჯილს საყვარელი მეუღლე დაეღუპა, თანაცხოვრების არა მხოლოდ ბედნიერი წუთები, არამედ გარდაცვალებისას ფართოდ გახელილი თვალებიც ახსოვს, ამიტომ მაკგო მიიჩნევს, რომ მთავარი ის კი არ არის, რომ ჯილის მსგავს ადამიანებს ყველაფერი ახსოვთ, არამედ ის, რომ ჩვენ ვივიწყებთ. არადა, დავიწყება არა მხოლოდ ბუნებრივი ამბავია ადამიანის ტვინისთვის, არამედ აუცილებელიც.





## ადამიანი, რომელსაც შეუძლია, დიდხანს არ ისუნთქოს

არც ერთ ადამიანს არ შეუძლია სუნთქვის შეკავება **სტივ სევერინსენზე** დიდხანს. მისი რეკორდი 22 წუთია წყალქვეშ. სტივი გატაცებულია სპორტის ისეთი იშვიათი სახეობით, როგორიცაა წყალქვეშა ჰოკეი. მან სპორტის ამ სახეობით გატაცების შემდეგ აღმოაჩინა თავის თავში ეს უნიკალური უნარი. სევერინსენმა 2010 წელს დაამყარა რეკორდი სუნთქვის შეკავების ხანგრძლივობაში და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა — 72 მ გაცურა (წყალქვეშ) ყინულივით ცივ წყალში ჰიდროკოსტიუმის გარეშე. სტივი ამბობს, რომ მთავარია, შეძლო, ყურადღების გადატანა საკუთარი სხეულისა და ტკივილისგან.



## ყველაზე ამტანი ადამიანი

**დინ კარნაზესი** ზემარათონების შეჯიბრებების ლეგენდაა. ის მონაწილეობდა 150-ზე მეტ მარათონში, მათ შორის მსოფლიოში ყველაზე რთულ შეჯიბრებად აღიარებულ მარათონ „ბედუოტერში“, რომელიც სიკვდილის ველზე იმართება. იქ მან 217 კმ გაირბინა 50 გრადუს სიცხეში და ამას 27 საათი და 22 წუთი მოანდომა.

კარნაზესი მარათონულ დისტანციებზე, დიდი ხანია, დარბის. ის ამტკიცებს, რომ არასოდეს განუცდია წვა კუნთებში, არც კრუნჩხვა დამართნია. „გრძელ დისტანციებზე სირბილისას განსაზღვრული სიჩქარით შემიძლია დიდხანს ვირბინო“, — ამბობს დინი. ერთხელ მან 4 დღისა და 3 ღამის განმავლობაში შეუსვენებლად ირბინა, სანამ სირბილისას ჩაეძინებოდა.





## 5 წლის გენიოსი

**რამზეს სანგუინო** მხოლოდ 5 წლისაა, მაგრამ ჩვენს პლანეტაზე ერთ-ერთი გენიოსი ბავშვია. მას აქვს აუტიზმის მსუბუქი ფორმა. 1 წლის რამზესმა ისწავლა კითხვა, წლინახევრისამ კი იცოდა გამრავლების ტაბულა და მენდელეევის პერიოდულობის სისტემა.

რამზეს სანგუინო ლაპარაკობს 7 ენაზე და ხსნის რთულ მათემატიკურ ამოცანებს. ამას გარდა, დედამისი ამტკიცებს, რომ რამზესს ტელეპათიის უნარიც აქვს — შეუძლია გამოიცნოს დედის მიერ ჩაფიქრებული ციფრები ან კარტები. თუმცა ბიჭს ტელეპათიის უნარი რომ აქვს, ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული მეცნიერულად — კვლევებს ატარებენ სპეციალისტები. არსებობს ჰიპოთეზა, რომ ტელეპათია აუტისტი ბავშვებისთვის მშობლებთან ურთიერთობის ალტერნატიული მეთოდია.



## ადამიანი-ფოტოაპარატი

**სტივენ უილტშირიც** აუტისტია და, ამასთანავე, უნიკალური ნიჭით არის დაჯილდოებული — აქვს განსაცვიფრებული ფოტოგრაფიული მეხსიერება. ჯილ პრაისისგან განსხვავებით, მას თავისი ცხოვრების ყველა დეტალი არ ახსოვს. სტივენ უილტშირისთვის საკმარისია, ერთხელ შეხედოს, მაგალითად, ქალაქის რომელიმე კუთხეს და სურათს წვრილმან დეტალებში იმახსოვრებს, შემდეგ კი ესკიზებისა და მონახაზების გარეშე შეუძლია დახატოს.

სტივენი 1974 წელს დაიბადა ლონდონში. აუტიზმის გამო 5 წლამდე ვერ ლაპარაკობდა. საკუთარი შესაძლებლობების გამოხატვას ბიჭი ხელოვნებაში ცდილობდა. ბავშვობაში ყველაფერს ხატავდა, 8 წლისა კი მიხვდა, რომ ყველაზე კარგად შენობების ხატვა გამოსდის. უილტშირი მსოფლიოში განთქმული და არქიტექტურის თავისებური მხატვარია. მისი წარმატების რეცეპტი ნიჭისა და სწორი გადაწყვეტილებების შერწყმაა.



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# «აი თქვენ კეთილი ექიმი აიბოლიტი — ბილ გეიტსი!» ანუ მსოფლიო პანდემიის ტროას ცხენი



**ავტორებმა გადაცემისა „ადამიანი და კანონი“, რომელიც რუსეთის პირველ არხზე გადის, 16-წუთიანი ვიდეო მიუძღვნეს „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელ ბილ გეიტსს. ვიდეოს ჰქვია „მსოფლიო პანდემიის ტროას ცხენი“, მასში ავტორები მოგვითხრობენ კონსპიროლოგიურ თეორიებზე, რომლებიც ინტერნეტში ვრცელდება. ამ თეორიების მიხედვით, გეიტსს სურს, „გამოხშიროს“ პლანეტის მოსახლეობა.**

პროგრამა დაიწყო ფრაგმენტით Evont 201-ის შესახებ. ეს არის სწავლება, რომელიც განიხილავს პანდემიის გავლენას მოსახლეობასა და ეკონომიკაზე. ეს სწავლება ჩატარდა 2019 წლის ოქტომბერში, ორგანიზატორი კი იყო ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, აგრეთვე, ბილ და მელინდა გეიტსების ფონდი და საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი.

სიუჟეტში ავტორებს წარმოდგენილი ჰყავდათ ის ადამიანები, რომლებიც იზიარებენ კონსპიროლოგიურ თეორიებს **ბილ გეიტსის** მიმართ. მაგალითისთვის კი მოიყვანეს აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ჩატარებული ვაქცინაცია, რომლის შედეგადაც ადამიანები ავად გახდნენ სხვადასხვა დაავადებით და დაიღუპნენ კიდეც.

**„აი თქვენ კეთილი ექიმი აიბოლიტი — ბილ გეიტსი. გამოდის, რომ მილიარდერი მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აფინანსებს იმისთვის, რომ პლანეტის პოპულაცია შეამციროს“,** — ამბობს ხმა კადრს მიღმა.

ვიდეოს ბოლოს მაყურებელს სთავაზობენ, დაფიქრდნენ ვაქცინებზე, რომელთა შექმნასაც აფინანსებს „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი. გადაცემაში შემდეგ საუბარი შეეხო ე.წ. კაცობრიობის ჩიპიზაციას. პროგრამის ავტორების აზრით, ეს შესაძლებლობას მისცემს მავანს, სისტემიდან გათიშოს მიუღებელი ადამიანები.

კორონავირუსის გავრცელებაში ბილ გეიტსის მონაწილეობის თეორია ინტერნეტში პოპულარობით მეორე ადგილზეა. ყველაზე პოპულარული ვერსია კი არის ის, რომ ვირუსი შემთხვევით შექმნეს ჩინელმა მეცნიერებმა ლაბორატორიაში.

**360tv.ru ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# რა აკავშირებს ტეხასისა და უჰანის ლაბორატორიებს ერთმანეთთან

## აშშ-ში ფართომასშტაბიანი გამოძიება დაიწყო

**აშშ-ის განათლების სამინისტრომ წერილით მიმართა ტეხასის შტატის გამაერთიანებელ სტრუქტურას, წარუდგინოს ინფორმაცია სასწავლო დაწესებულებებისა და ჩინეთის ქალაქ უჰანის ლაბორატორიასთან თანამშრომლობის შესახებ, — იუწყება გამოცემა Wall Street Yornal-ი.**

გამოცემის მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, ლაპარაკია კონტრაქტებზე ან საჩუქრებზე უჰანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტისგან. წერილში ნახსენებია უჰანის ლაბორატორიისა და ტეხასის შტატის გალვესტონის ლაბორატორიის თანამშრომლობა. უწყებამ, აგრეთვე, მოსთხოვა ტეხასის შტატის უნივერსიტეტის სისტემის (UT System) ხელმძღვანელს დოკუმენტაცია ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და კიდევ 20 ჩინურ კომპანიასთან დაწესებულების შესაძლო კავშირების შესახებ. ამ კომპანიებს შორის არის Huawei და სანავთობე კომპორაცია China National Petroleum Corporation-ი (CNPC).

გამოცემა ხაზს უსვამს, რომ მოთხოვნა დაკავშირებულია სამინისტროს ფართომასშტაბიან გამოძიებასთან, რომ ტეხასის უნივერსიტეტს შეეძლო არასწორი მონაცემების წარმოდგენა ფულადი სახსრების გამოყენებაზე უცხოურ ვალუტაში. წარმომადგენლებმა სახელმწიფო სტრუქტურისა, რომელშიც შედის შტატის 14 უნივერსიტეტი, გამოცემას განუცხადეს, რომ სამინისტრო დროულად მიიღებს ორგანიზაციების პასუხს.



Huawei-მ და CNPC-მ, აგრეთვე, უჰანის ლაბორატორიამ გაზეთს არ უპასუხეს.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა არაერთხელ დააკისრა პასუხისმგებლობა ჩინეთს მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელებაზე და განაცხადა, რომ პეკინი მალავს ინფორმაციის ნაწილს.

ამასთანავე, ამერიკელმა მეცნიერებმა უარყვეს ინფორმაცია, რომ „კოვიდ-19“ შექმნილია ლაბორატორიაში.

კოვიდ-19-ის აფეთქება მოხდა ჩინეთის ქალაქ უჰანში დეკემბრის ბოლოს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კი კორონავირუსის პანდემია 11 მარტს გამოაცხადა.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# თეთრმა სახლმა აშშ-ის მთავარ ინფექციონისტს კონგრესში გამოსვლა აუკრძალა

**აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ ალერგიული და ინფექციური დაავადებების ეროვნული ინსტიტუტის ხელმძღვანელ ენტონი ფაუჩის ამერიკის კონგრესისთვის კორონავირუსით გამოწვეული ვითარების შესახებ ჩვენების მიცემა აუკრძალა, — იუწყება გაზეთი The Hill-ი.**

აშშ-ის კონგრესი გეგმავდა, მოესმინა **ფაუჩის** ჩვენება წარმომადგენელთა პალატის ასიგნებების შესახებ კომიტეტის სხდომაზე, რომელიც სწავლობს თეთრი სახლის მიერ გატარებული ინფექციის გავრცელების პრევენციების ზომებს.

„ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ თეთრმა სახლმა აუკრძალა ფაუჩის ჩვენების მიცემა“, — განუცხადა წყარომ გაზეთს. ამასთანავე, თეთრ სახლში ფაუჩის შესაძლო გამოსვლას კონგრესში „კონტრპროდუქტიული“ უწოდეს.

უფრო ადრე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **მაიკ პომპეომ** განაცხადა, რომ ჩინეთმა აშშ-ს გადასცა კორონავირუს SARS-Cov-2-ის ნიმუშები, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ 2 დღის წინათ.

**Regnum.ru-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# სამძიმარი



ქალთა კახეთის რეგიონული განყოფილება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჩვენი ერთგული მეგობარი და მხარდამჭერი, საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ თანათავმჯდომარე

ნელი გურგენიძე

და თანაუგრძნობენ მის ახლობლებსა და მეგობრებს.

* * *

თელავის ქალთა საზოგადოებრივი გაერთიანება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჩვენი საზოგადოების მოამაგე და მხარდამჭერი, საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ თანათავმჯდომარე

ნელი გურგენიძე

და თანაუგრძნობენ მის ახლობლებს.

* * *

ნათელა ვასაძე, ვიქტორია სირაძე, ნათელა ლაღიძე, ცისანა ჩიხლაძე, ნანა კეცხოველი, გულიკო დემურია, თამარ ხუციშვილი და მარინა დავითაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი პარტიული და საზოგადო მოღვაწე, საერთაშორისო ასოცოაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თანათავმჯდომარე

ნელი გურგენიძე

და თანაუგრძნობენ მის ახლობლებსა და მეგობრებს.

* * *

ნუგზარ ფოფხაძე და არმაზ სანებლიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი და კოლეგა, საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თანათავმჯდომარე

ნელი გურგენიძე

# საქართველოდან ღვინის ექსპორტი შემცირდა

**2020 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან ღვინის ექსპორტი 9,6%-ით შემცირდა.**

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, წელს პირველ კვარტალში ქვეყნიდან 44,261 მლნ დოლარის ღირებულების ღვინო გავიდა, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში კი — 48,976 მლნ დოლარის ღირებულების.

შემცირებული მოცულობა ყველა ძირითად იმპორტიორ ქვეყანაში თანაბრად ნაწილდება, შესაბამისად, მკვეთრი კლება არც ერთგან არ შეინიშნება. ტრადიციულად, ექსპოტირებული ქართული ღვინის ყველაზე დიდი წილი წელსაც რუსეთზე მოდის — 59,5%.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, „ბიზნესპრესნიუსი“ გვთავაზობს ჩამონათვალს იმ 10 ქვეყნისა, რომლებშიც 2020 წლის პირველ კვარტალში ქართული ღვინო ყველაზე დიდი მოცულობით გავიდა: რუსეთი (26,356 მლნ დოლარი), უკრაინა (5,094 მლნ), პოლონეთი (2,994 მლნ), ჩინეთი (2,058 მლნ), ყაზახეთი (1,225 მლნ), ლატვია (937,8 ათასი), გერმანია (795,7 ათასი), ამერიკა (691,9 ათასი), ბელარუსი (685,9 ათასი) და ლიეტუვა (463,8 ათასი).

აღსანიშნავია, რომ შარშან ათეულში იყო ესტონეთი, წელს კი ის ბალტიისპირეთის მეორე ქვეყანამ — ლიეტუვამ ჩაანაცვლა.

**ინტერპრესნიუსი**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009